

652
1976/3

146
96195530
80330101033



1

9

7

6

4

✓

ახალი გამარჯვებების გზით! 3

პოეზია, პროზა

- ზ. გორგილაძე — ლექსები . . . 5
- მ. ვარშანიძე — ჩემი დედულ-
 ლეთი ქრონიკები . . . 16
- ბ. მებრეველი — ლექსები . . . 38
- ა. შერვაშიძე — სარდლის კა-
 რავში მოთხრობა . . . 40
- ვ. ახვლედიანი — ორი ნოველა 59
- ბ. კუდუბა — გრძელუბ გამოკვა-
 ბულში მოთხრობა . . . 61

**ი. გოგებაშვილის „დედა
 ენის“ პირველი გამომცემის
 100 წლისთავი**

- რ. შამელაშვილი — „დედა ენის“
 სახელწოდების საკითხისათ-
 თვის . . . 75

მ ი ლ ო ც ვ ა

- პარმენ ლორია 80 წლისა . . . 83

წ ე რ ი ლ ე ბ ი

- ჯ. ნაპაშვილი — ცისფერი გზებით 85

წიგნების მიმოხილვა

- რ. ჩაჩანიძე — წიგნო, შენ იყავ
 საგალი . . . 94

ლიტერატურულ-მხატვრული და
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური
 ჟურნალი

საქართველოს საზოგადო-
 მწერლობის კავშირისა და
 აჭარის განყოფილების
 ორგანო

ბ ა თ უ მ ი — 1976

ივლისი — აგვისტო

13498

ქ. შარქისის საბ. სკ. სარ.
 საბჭოთაო რესპუბლიკა
 ა. ბოიშ

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ. მდივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ზათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 3-33-71.

ჩელმოწერილია დასაბეჭდად 18.8.76. საბეჭდი თაბახი 6, საგამომცემლო 5
შეკვეთის № 3483, ემ 00114, ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 20).

აჭარის უშრნალ-გაზეთების გამომცემლობა

საქართველოში ახლა ყველგან, ყველა უბანზე სუფევს ახალი შრო-
მითი შემართება, შემოქმედებითი პათოსი და ამადღებული განწყობილე-
ბა, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით
„პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლი-
ტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილე-
ბის შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანო-
ბის შესახებ“.

ეს დადგენილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე-
ტის ამასწინანდელმა პლენუმმა შეაფასა, როგორც უთვალსაჩინოესი ზო-
გადპარტიული, პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც მოასწავებს ახალ
ეტაპს რესპუბლიკის ცხოვრებაში, მისი ეკონომიკისა და კულტურის, ხა-
ლხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საკმარისია გონების თვალი გადავავლოთ საქართველოს პარტიული
ორგანიზაციის, რესპუბლიკის მშრომელთა ბოლოდროინდელ საქმიანო-
ბას, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მოპოვებულ წარმატებათა მასშტაბე-
ბი და მნიშვნელობა. ამ საქმიანობის ღრმა მეცნიერული ანალიზითა და
მომავლის ამოცანების ზღვრული სიცხადით იპყრობს ყურადღებას ახალი
დადგენილება. იგი გვისახავს პარტიის 25-ე ყრილობის გადაწყვეტილება-
თა განხორციელების, ეკონომიკაში არსებული ჩამორჩენის საბოლოოდ
დაძლევის, პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შემ-
დგომი სრულყოფის გზებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მაღალ შეფასებას აძლევს უკანასკნე-
ლი ოთხი წლის მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-
ტეტის, რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანოს მიერ გაწეულ მუშაო-
ბას და თვისებრივად ახალ დადებით ძვრებს, რომლებიც ცხოვრების ყვე-
ლა სფეროში იგრძნობა. დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ახ-
ლა მეტი ყურადღება ექცევა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რეს-
პუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და
კულტურის განვითარების საკითხებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორ-

განოების, ყველა მშრომელის ყურადღებას მიაქცევს გადაუჭრელ პრობ-
ლემებს, განსაკუთრებით კი ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი
პროდუქტის წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის მხრივ სასწრაფო სა-
კავშირო დონესთან ჩამორჩენას, და უმნიშვნელოვანეს ამოცანად საბავს
ყველა იმ რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების უთუოდ შესრუ-
ლებას, რომლებიც მოცემულია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის
1976-1980 წლების განვითარების ძირითად მიმართულებებში.

ამ ამოცანის შესრულების საიმედო გარანტიაა საქართველოს კომპა-
რტიის დიდი ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, მასე-
ბთან კავშირის განმტკიცება, პირველადი პარტიული ორგანიზაციების,
თითოეული კომუნისტის, ყველა მშრომელის აქტივობის, დისციპლინის,
პასუხისმგებლობის ზრდა.

ახლო წარსულში დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმა და ნაკლო-
ვანებებმა დიდი ზიანი მოუტანა მორალის სფეროს. ამიტომაც ჩვენი პა-
რტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელ-
ობას ანიჭებს მიზანდასახულ მუშაობას, რომელიც რესპუბლიკაში ხორ-
ციელდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში მაღალი იდეური
და ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებისათვის, პატრიოტიზმისა და
ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდისათვის. ამ საქ-
მეში ღირსეული წვლილი შეაქვთ ლიტერატურისა და ხელოვნების მუ-
შაკებს. „ბოლო წლების მანძილზე შეიქმნა მთელი რიგი ნიჭიერი ნაწარ-
მოებები, — ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — რო-
მლებშიც პარტიული პოზიციებიდან ღრმად არის გაანალიზებული თანა-
მედროვეობის საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც უმდერენ შრო-
მითი წარმატებების ჭეოიკასა და პათოსს, მშრომელი ადამიანების აქ-
ტიურ მოქალაქეობრივ პოზიციასა და მაღალ ზნეობრივ თვისებებს“.

ქართული მწერლობა, ისე როგორც მთელი ჩვენი მრავალეროვანი
საბჭოთა ლიტერატურა, ყოველმხრივ უჭერს მხარს ადამიანის საუკეთესო
თვისებებს, იგი ძლიერია თავისი პარტიულობით, იდეურობით, სიცოცხლის
დამამკვიდრებელი პათოსით, ადამიანისადმი, მისი შემოქმედებითი ძაღე-
ბისადმი რწმენით. მასში ყოველთვის ჰპოვებს გამოძახილს ყველაზე მნი-
შვნელოვანი, ყველაზე არსებითი, რაც ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის
დედააზრს შეადგენს.

ახლა, როცა პარტია მოგვიწოდებს ახალი გამარჯვებებისაკენ, როცა
წინ გვიდევს დიდი მამულიშვილური საქვეყნო საქმე, ქართული მწერლო-
ბა თავის სიტყვას იტყვის. და ეს სიტყვა იქნება ჩვენი ეროვნული ღირ-
სების გამოხატულება.



ა რ ა მ კ ი თ ხ მ

ზიროსიმას ჭვარტლი თანგავს დედამიწას...
და ჩინურ კედელთან წკმუტუნებს ატომები...
იუდა დაძრწის და ქრისტეს აძვალტყავებს...
ბაღდი, — მომავალი, თვალს შიშით აცეცებს...

რა შენი საქმეა, ან რა გენაღვლება,
წადი, გაიარე, — ლექსები დაწერე.

სამშობლო არ არის მხოლოდ აღტაცება,
სამშობლო არ არის მხოლოდ მწუხარება,
სამშობლო არ არის მხოლოდ გარდასული,
ან ძველთა აკლდამები, მტერი რომ დაცელეს...

რა შენი საქმეა, ან ვინ გეკითხება,
წადი, გაიარე, — ლექსები დაწერე.

აგერ, ყურისძირში ერი იძარცვება,
ქალი ბალიშდება, კაცი ჩალიჩდება,
სისხლი თეთრდება და შუბლი ტყუილდება,
ბობოლა უსახური გდევნის და გაძევებს...

რა შენი საქმეა, ან ვინ გეკითხება,
წადი, გაიარე, — ლექსები დაწერე.

მივდევ და მივტირი საყვარელ წუთისოფელს,
გადაუხდელ ვალით და ახალი სესხებით,
და ასე იქარგება ცხოვრების საყელოზე
ჩემი არამკითხე ლექსები.

ჩემი ღაღუნა,
 ჩემი ღუღნა,
 ჩემი ღოღნია,
 ერთი აქ ძომცა, —
 ძაღოშენინა და მაღოღნია.
 ერთი აქ მომცა, —
 ძაფუნგალა და მბატურგალა,
 ჩემი გონგალა, მაკონკალა
 და თავბურძგალა,
 გამაძღო შიში კისრის სუნით,
 თმებით, კოცნებით,
 ეჰ, ორ პარასკევს, ორ პარასკევს
 იეტს ვიცოცხლებდი.
 გადუქრებოდა ჩემს სიხარულს
 ჩრდილის ნასახიც,
 ჩემთან რომ იყოს, ჩემთან ახლა,
 ის მამაძაღლი.
 მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა
 ყოვლის მხარულით...
 თანდათან ვკვდები და გშორდები
 ამ სიყვარულით.

* * *

თუ რამემ მიშველა, სიცილმა მიშველა
 და სულ შემარიგა წარმავალ დროსთან...
 მგონია ფინთქალა სიმინდი იფშენება,
 ჯანმრთელი კბილები ქათქათებს როცა.

ყველა საიდუმლო იხსნება კედელი
 და ყველა თავის განძს ალაგებს კართან,
 ბევრი რამ აკლიათ ამ რკინის მკვნეტელებს
 თუთუნის შხამის და ჯაგრისის გარდა.

არც საყვედურები, არც რამ განგაშები,
წინ რაა ვინ იცის... რა დარჩა უკან,
ჯანმრთელი კბილები, ვით ბოშა ბავშვები
ტიტველნი ყრიან და ღეჭავენ ლუქმას.

ოჰ, სული დიადმა ეჭვებმა არია,
არია, დარია, რა ხდება ნეტავ!..
დამპალი კბილები პატივში არიან,
დამპალი კბილები... ოქროში სხედან.

* * *

წარწერა ე. მაღრაძის წიგნზე „გოდება“

რა არის მართლა ეს გოდება
ქუხილის მსგავსი?..
დავსწვი წვრილმანი ცდუნებანი,
ჭინჭივით დავსწვი.
დავსწვი უაზრო მძვინვარება,
ჩენჩივით დავსწვი,
და ჩემს სიყვარულს საძაგელი
პირონი ვასვი.
გიახლოვდები მწუხარებით
შემკულო ცაო,
სიმაღლეებში დაკარგულო
დაო და ტაო.
შენ ჩემი ყოფნის და არყოფნის
თაო და თაო,
შენ, უსაშველო საოცრებაჲ

ღრმად და ღრმად.
იმ უკვდავ ციაგს, მომავდავებს
უხმოდ რომ აფენ,
გიბრუნებ ისევ და გავრბივარ
გოდებით თავქვე.
აქ ახლა ქვაა...
ქვაზე ჩუმი ჩურჩულებს ხავსი,
რა არის მართლა ეს გოდება
ქუხილის მსგავსი?
ხავსივით ასე მეც ვჩურჩულებ
და ღროსთან ვდაობ,
პასუხს არავინ არ იძლევა,
ოჰ,
ცაო... ცაო...

კონსტა კოლხი

ორსანტიას,
ქარიატას,
ქაფათსა და მარტვილს,
თავს წაჰყრია გაზაფხულის ჭიჭვიანი ქვარტლი.



აბღავლებულ ჭალაკებში, ნამუხლარში დევთა,
ენგურს მიაქვს მთვარესავით, სამეგრელოს სევდურ
და იქ, სადაც რუხთან რუხი ბოკვერები წვანან,
მღერის მზის და ტკივილისას, ღვთაებრივი ნანა.

„არ წამოჰკრა ფეხი ამ ქეებს
და არც დააბიჯო,
ბონდოია, ნანასქუა, ბონდოია ბიჭო“.

წუთისოფლის უკმარობით, სიყვარულის ბეგრით,
მიირხევა სანახებში ძვალბოშორი მეგრი.

კვალში მისდევს ოჩოზინტრე, თუთარჩელაც მისდევს,
დაფნის ჯვარზე გაუკრიათ ოჯალეში, — ქრისტე.

და მწვანიან წყლისპირებში, წელწაფრენილ ცირებს,
ხელისგულზე მზე უდევთ და საყვედური მცირე.

„კანჭა კვიცზე გადევნებას,
ჩვენ მოგვხედო გიჯობს,
ბონდოია, შე უღმერთო, ბონდოია ბიჭო“.

წამით, ხვიჩა ვარსკვლავები მოწყურავენ თვალებს,
მოღეჭი და ეს ციგლია ცანგალები თვალე...

ბებერ ქვათა მხურვალეა მოიჩრდილე ხელით...
მღერის ვილაც შორეულში, ოდოიას მღერის.

როგორც წითელბატონები და მირონის წვეთა,
ტანზე აყრის საქართველოს ეს უკვდავი სევდა.

ბონდოია მიდის, მიდის...
და კოლხეთის ველზე,
ოდოიას აღარ უსმენს, ოდოიას ეძებს.

მ ო ნ ა ნ ი ე ბ ი თ

ირგვლივ მზეა და ოქროს ველია,
ცაცხვის ჩრდილები სდუმან და სდუმან...
უცებ გაოცდე, — არაფერია,
თავისი უკვე იმღერა გულმა.

აქა-იქ ობლად ყვავის იელი,
ყვავის იელი, იელი მარტო...
და ის მშვენიერ სიცარიელით
ველარ მიზიდავს და ველარ მართობს.

ყალბი ღიმილი ჩნდება ბაგეზე
და წამწამებზე კანკალებს ვერცხლი,
ალბათ... ვიღაცას თავსაც ვაბეზრებ
უკვე... გრძნობებში მიმქრალი ცეცხლით.

ალბათ... ვიღაცას ჩუმად ვწყინდები
იმ ყმაწვილური ცდომების ლანდით
და ჩემი ლექსიც ამასწინდელი
სიყვარულივით მოდიდან გადის.

რით გავიხარო! წყეულ იებით,
შენი გაცრეცილ ტუჩების ფერის?
სავსე ვარ ძველი მონანიებით,
მონანიებაც თავისას მღერის.

და რაღაც უხმოდ, წლებით დევნილი,
ჩემი საწუთროს ღვიძლი და მკვიდრი,
ოჰ, სამუდამოდ... დაშლილ გემივით
სულის და ხსოვნის ფსკერისკენ მიდის.

ირგვლივ მზეა და ოქროს ველია,
ცაცხვის ჩრდილები სდუმან და სდუმან...
უცებ გაოცდე, — არაფერია,
თავისი უკვე იმღერა გულმა.

* * *

გულო დადექი!
გულო დადექი!
მომატებია ვაზის ფოთოლს ფერი და სისქე,
ხელში მიჭირავს მე კოლხური მთვარის ნატეხი,
საით ვისროლო...
ისევე ცისკენ?

ვერ ვიტყვი ახლა; რაც არის, არის...
 სულში სხვა მზე და ზმუილი წვეთავს,
 უცებ, რძესავით აჭრილი ქალი
 ეჭურღულება ლოთსა და ცვედანს.

მიჭირს... ოჰ, შენთან მშვიდობაც მიჭირს,
 ასე ალყაც და განგაშიც მიდის,
 აფსუს, ბაზარში ზარხოში ბიჭი
 დედის მოწეულ ბოსტნეულს ყიდის!

* * *

მზე გულფოთოლას გულივით გასკდა
 და მყვირალობის დაიდგა ჯილა...
 თუმც აშიხირდა ქალების კასტა,
 მაინც მაგათი ჯილაგი მიყვარს.

მაინც... ეს ჩემი მაღალი შუბლი
 ახალს მოელის ქარებს და წვიმას,
 მას ვეყვარები ყველაზე უფრო
 ქვეყნად სიძულვილს მიცხადებს ვინაც.

* * *

დრო ისევ მიდის,
 დრო ისევ მოდის,
 ან რა დავკარგე, ან რა მოვძებნე...
 ასე ამბობდა ოდითგან ოდით
 პოეტი, ბრძენი თუ მეოცნებე.

წამყიდებია საწუთროს ცეცხლი,
 ცოტაც და... ალბათ მივალ წყარომდე,
 ქვეყნად ვერავინ ვერაფერს შეცვლის —
 გწამდეს, გიყვარდეს და გიხაროდეს.

თქვენს შუბლზე იდგა თბილი ამინდი,
დაღლილი ტალღის წყნარი ოხვრა, ნაზი ტლაშუნი,
თქვენ იყავთ ღინჯი და მსუბუქი... და მიაბიტი
და უსაშველოდ რაღაც ბავშვური.

ხსოვნა საცსეა იმ შავი თმებით,
თქვენს ნატიფ მხრებზე განძივით რომ დაჰქონდა
ქარებს...

ვიცი, დაშრება ლერწმიანში ცისფერი ტბები,
ჩემს ზვინზე ცეცხლიც ჩაქრება მალე.

ეჰ... ყველაფერი დაიწყო გვიან,
როგორც ყაჩაღი, კარზე მომდგარ დღეებს ვბარდები,
შეგჩერებივარ და მგონია ზეამით ხსნიან
ახალ სპექტაკლებს ძველი ფარდებით.

* * *

ჰკვიანი ქალი დასცინის ლამაზს,
ლამაზი ქალი დასცინის ჰკვიანს,
სულ ასე იყო, ამ ქალურ თამაშს
ადამის ვაშლის ნაფცქვენი ჰკვია.

ადამს კი... სადღაც მიუბრბის თვალი
და ველმინდვრებში მოხეტეს ბუნდად,
ჯერ უნდა ყოვლად ლამაზი ქალი
და მერე ქალი ჰკვიანი უნდა.

* * *

ხვართქალებს ხვართქლის მწვანე ფოთოლო,
ბაფურჩხელაში ფორჩხიობს სხივი,
გაბეჭდილია თივით გოდორი,
შეტკეჩილია გლეხკაცის წვივი.

მზეა დიდი და არა უდავო,
წიფლის ტოტებში ჭივჭივებს ჩიტი,
ახალგაზრდობა ველზე ბურთაობს
და სადამოით ქალაქში მიდის.

* * *

მოკრძალებული ოცნებით გიცდი
ყოვლად ბავშვური იმედის კართან,
დიდმა ქალაქმა სიცივეც იცის,
დაპირების და ხმაურის გარდა.

წამომავბოდებს რუსთველზე ყავა,
გონიოს მზე და მტირალას ნისლი,
მე ჩემს ქალაქში ამელამ წავალ
და იქ გამათბობს სიჩუმე მისი.

* * *

წარწერა ფრანსუა ვიიონის წიგნზე

რას ნიშნავს ნეტა ეს დიდება
ჩუმად მგლოვარი?!.
ამდენი განძის პატრონი ვარ
და... მათხოვარი.
აქ ხომ სივრცეა,
აქ ხომ ცაა,
აქ ხომ დრო არი,

ვისთა ნამუსრი,
ვისთა კიდევ ნაოქროვარი,
რას ნიშნავს ნეტა ეს დიდება
ჩუმად მგლოვარი?!.
ამდენი განძის პატრონი ვარ
და... მათხოვარი.

ბოლოები

მაბრმავებს სივრცე და მზის ქუჩები,
და ჩემი ლანდი მისდევს ამ კოცონს...
ბუნება მლოცავს ქალის ტუჩებით,
ქალს ამის მერე როგორ ვაკოცო.

თუმც დავაწყნარე ყველა ქაოსი,
მაინც... სინათლე ისევ შორს არი,
დროს უნდა მომწვდეს და გამოაცოს,
როდესაც მე ვარ გასაოცარი.

მხოლოდ ქალსა და ვნებას ემარხულობ
ბედნიერების ყრმა შემწირველი...
მეფეებს უნდათ რომ მიმსახურონ,
როდესაც თვით ვარ მეფე პირველი.

სიკვდილში მაინც არის საშველი
კვლავ დაბრუნების რწმენით, იერით...
ოჰ, ჩემგან უნდათ პურიც, ბავშვებიც
და კიდევ მე ვარ ბავშვი მწიერი.

მინდა გაფრენას ჰგავდეს ფახედვა,
მღუარ ღრუბელთა ბოინს პროფილი,
რომ ისევ ძრწოდეს მგოსნის სახელთან
დასამზობელი თუ დამზობილი.

ახალ კონცხებს და ახალ კუნძულებს
კვერთხის ნიჭით თუ ტახტის თარიღით,
მე სარდაფებში ვერ ვაძუნძულებ
საროსკიპოდან წასულ ქალივით.

კაცობრიობის სულში ნისლია
და ჩემს სიხარულს ბლავის ბოსელი,
მეფეს და მონას ერთი სისხლი აქვს,
ოღონდ სხვა სუნი და სამოსელი.

დროო, რა ნაზი გულით მიყვარდა
შენი ეკალიც, შენი იელიც,
ნუ გეშინია, არ დაგიკარგავ
რაც კეთილი გაქვს და გონიერი.

არ შეიძლება ეჭვმა დააცხროს,
ჩემი უბადლო ქნარის ზავთები,
შეგირიგდები მაგრამ არასდროს,
მაგრამ არასდროს არ დაგზავდები.

იშვა, მოკვდა და გაუჩინარდა,
 სამარეს ნესტის სიყრუე ალტობს...
 რა ესაქმება ტახტთან, ტირანთან,
 სივრცის, მუზის და ოცნების პატრონს.

ოქრო და სისხლი მუდამ ბრწყინავდა,
 და მუდამ იდო თაროზე ტილო,
 იმან იდაოს ტახტთან, ტირანთან
 ვინც სიკვდილამდე სიცოცხლეს ცდილობს.

* * *

ყრუ ქვითინი და ეჭვის დეზები
 ჩემს სამუდამო დამხობას ლამობს...
 ნუ გეწყინება, თუ კი მბეზრდები
 კარტივით გაშლილ ქალობის გამო.

გულგრილი ზაფრა ღღეებს ატყვია...
 ოჰ, უცაბედო ფოთლების ჩქამო...
 რაღაც დამალე და მომატყუე
 და გამახარე არაფრის გამო.

ცალი ბორბალი

დაუოკარი, დაუბორკავი,
 გაუმადლარი და უმეცარი,
 ძუძუმძუანი და საყვარელი
 მუდამ გარბიხარ, — მანონ...
 ბრბოს ღრიანცელი გივლის გარშემო,
 კანონი ნეტა ვისთვის არსებობს,
 ვინ მორჩილებდა კანონს.
 გლეხური ნიჭით და გერგილობით,
 გაურყვნელ გულით და თავხედობით.
 ცხოვრებას მიჰყვა და განიავდა,
 მაინც არაფერს ნანობს...

იმ აბრეშუმის კიბის ზმორებით
სახრჩობელამდე მიდის სორელი
და მორჩილდება კანონს.

ძუბლწარეცხილი და გარეცხილი
დროის ხონთქრები და ბურბონები
თქვენში განზავდა ოქროს ბაღლამით,
ღორთელის ჟინით, — ძმანო...

ქვეყნის ტკივილი მივლის გარშემო,
კანონი მხოლოდ ჩემთვის არსებობს
და ემორჩილება კანონს.

აღარ მივმართავ ქარის წისქვილებს,
ბოროტ ზმანებებს და მისტერიებს,
უნდილ ორგიებს და გრადაციებს,
ვიდრემდის ხანი ხანობს...

მივმართავ მუხას, ვით სახრჩობელას,
მივმართავ პოეტს, ვით მოწყალებას
და წავიკითხავ მათი მირონით
თქვენთვის დაწერილ კანონს.

მამია ჰაჩხანიძე

ჩემი დედუღეთი

ამბავი მესამე

შუამთოგა ანუ როგორ შეხვდა ქაზიმ მეჩონგურს მოჩახელას

ჩემს დედუღეთში დღეს თითქმის ყველა ცეკვავს „ჯალდინანას“, ანუ დღეს რომ ეძახიან „განდაგანას“. უწინ ვინ იცოდა ეს ცეკვა. განდაგანა ზეგნელების საყვარელი ცეკვაა. ძალიან მიყვარს განდაგანა. პოდა, ჩემს დედუღეთში განდაგანა შემოიტანა ქაზიმ მეჩონგურემ. თუ როგორ მოხდა ეს, მოდი ვაამბობინოთ თვითონ ქაზიმ მეჩონგურეს.

— მე ვიამბოთ ჭემალ? — შემეკითხა ქაზიმ მეჩონგურე.

— არა, შენი ნამბობი ჩაწერილი მაქვს და იმას წავიკითხავ. — ვუპასუხე მე, და ვკითხულობ ქაზიმ მეჩონგურის ნამბობს.

„განდაგანა ყაისარამ მასწავლა. ვინ არისო ყაისარა? მომისმინეთ და ყველაფერს გეტყვით. ყაისარა ზეგნელია, დანისპარაულიდან, გვარად მიქელაძეა. იგი ყოველ წელს ჩამოდიოდა ბათუმში თავის ორთვალათი და გასაყიდად ჩამოჰქონდა დაპწნილი ყველი და კარაქი. თქვენ იცით, დაპწნილი ყველით და კარაქით კეთდება ბორანი, ეს მთიელთა საუკეთესო კერძი. ბორანი პირველად ყაისარას სახლში ვჭამე. როგორ მოგხვდით მის სახლში? მოითმინეთ, ყველაფერს გეტყვით.

მზის ჩასვლის დროა. მოვდივარ ნურის ბაზრიდან. იყო ასეთი ბაზარი, სადაც ახლა პიონერთა პარკია, იქ იყო. მოვუხვდით თუ არა მოსახვევში, სამი კაცი შემეფეთა. ჩაცმულობით ერთი ზეგნელად შევიცანი, შინ მოქსოვილი შალის ჩაქურა ეცვა. ერთს გალიფე ეცვა და მეორეს ჩაშვებულ

შარვალი. ამ ორ ახალგაზრდას თვალები ისეთი ჰქონდა, უმაღლესი კაცებად შევიცანი, ვთქვი ან მძაბრელებია ან და ქურდები. ჩაქურდიანს თურმე კონვერტი დაუგდეს წინ, ჩაქურდიანმა აიღო და გამოეცხა. კონვერტი დაგივარდათო. მიუბრუნდა ერთი და კონვერტი გაშინჯა. აქ ფული იყო. შენ ამოგიღიაო. მეორეც იგივეს იმეორებდა. ყაისარა იფიცებოდა, არაფერც იყო კონვერტშიო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა, მით უმეტეს, რომ ეს განგებ გაუკეთეს. უთხრეს ასი მანეთი უნდა მოგვცე. თორემ პოლიციაში წაგიყვანათო... და ამ დროს მე წავაღეკი თავს. ქაზიმ მეჩონგურეს რას მოატყუებდნენ ის ოხრები, მაგრამ... და იარალი გუჩვენე — თავი გაანებეთ. თორემ გესვრით-მეთქი. შეშინებულმა ქურდებმა მოკურცხლეს. მერე მიუბრუნდო და ვკითხე ჩაქურდიანს:

— გეტყობა აქაური არა ხარ, ხულოელს ჰგავხარ იერით. მე ქედელს და ხულოელს იერით ვცნობილობ.

— ზეგნელი ვარ, დანისპარაულიდან. ყაისარა ვარ მიქელაძე. ყველი და კარაქი ჩამოვიტანე გასაყიდად. ხელო სახლში ვაპირებ წასვლას. ცოტა ოჯახში რაღაც ავითანო-მეთქი და კინალამ არ გამძარცვეს. მადლობა, ძალიან დიდი მადლობა. ვაცოდე მაინც ვინა ხარ? — მითხრა ყაისარამ.

— მე აგერ ახლოს ვცხოვრობ, ქაზიმ მეჩონგურე ვარ, ფაღავა. ხშირად მნახავ ყავახანაში.

— წამოდი ჩემთან, ვისაუბროთ, დღეიდან შენზე უკეთესი კაცი ვინ მეყოლება, — თქვა ყაისარამ და ხელი ხელზე მომკიდა. მეც დაგვყვი და წავედით ხანში, სადაც მას ორთვალა ედგა. იმ ორთვალაში ცალი ცხენი ემა. ხანში რომ შემეყვანა, პირველად მისი ორთვალა მაჩვენა, მერე თავისი ცხენი — კარგი ლურჯა ჰყავდა. ოთახში რომ შევედით, ასე ხუთი კაცი დაგვხვდა. ყველა ზეგნელი იყო, აბა, ხანში ან ზეგნელი იქნებოდა ან ქედელი. მთიელებს ემსახურებოდა ეს სასტუმრო — ხანი. ოთხი ცეკვობდა, ხოლო ერთი ფიტარზე უბრაზუნებდა, თითქოს დოღს უკრავდა, თან ლექსს ამბობდა:

ლოყა შენი ვარდისფერი,
ზედ შაქარი მოგეყარა,
რა იქნება შენც გიყვარდე,
გენაცვალა მთლად ქვეყანა,
პარნონანა, თარნონანა, ჯალდინანა.

ეს რა კარგი ცეკვაა-მეთქი, გავივირევე. ყაისარამ მითხრა, ჩვენში ამას დიდი-პატარა, ქალი და კაცი ცეკვობს. რაკი შენ მოგეწონა, დანისპარაულში ისე არ წავალ, თუ არ შეგასწავლე ეს ჯალდინანაო. გამაცნო მეზობლები და თან დასძინა — ჩემ ქაზიმ მეჩონგურეს ჯალდინანა უნდა ვასწავლოთო და იმ დღიდანვე, იმ წუთიდანვე მომდეს ყელში საბელი და ჰაიდა, მეც ამავეცეკვეს. ბევრი რა გავაგრძელო და, ისე ვისწავლე ჯალდი-

წანა, ხულები ველარ მჯობნიდნენ. მერე ყაისარამ მიიხრა, მე დოღს უნდა გავემგზავრო სახლში, გეხვეწები წამომყევი სტუმრადო. მე ყაისარას სხვა დროისათვის გადავუღე სტუმრობა და დავემშვიდობე, ჩემს სოფელში, ალის ქორწილში ჯალდინანა ვიცეკვე, დოღს უკრავდა ჩემს სოფელში. შვილი ხასანი, მე ვასწავლე, როგორ უნდა დაეკრა დოღი. ჩემი ცეკვა რომ ნახეს, გადაიჩენ. ვინ არ მეხვეწა, მასწავლეო, რატომ დავუშლიდი ჩემს სოფლებს, გამეხარდა, რომ მათაც მოუნდათ ჯალდინანა... და ასე ჩემს სოფელში ვასწავლე ჯალდინანა არა მარტო ბიჭებს, არამედ გოგონებსაც. ხულოში გოგონებიც, ქალებიც ცეკვობენ თურმე შუამთობაზე. რა არის შუამთობა? ო, თქვენ რა იცით, რა არის შუამთობა. მეც არ ვიცი იგი, მაგრამ ყაისარამ მასწავლა, უფრო სწორად, მანახა და მეც მისი მონაწილე გამხდა. რაო? არა. მე ერთხელ ყაისარამ სტუმრად წამიყვანა დანისპარაულში, სწორედ მაშინ. შუამთობა რომ იყო.

ცოტა რამ ჩვენს მგზავრობაზე უნდა გითხრათ. გზაში ცხენი დაოჩნდა, სიარული გაუჭირდა და ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს კენესოდა. ყაისარას შეეცოდა ცხენი და გზაში ხშირად ვასვენებდით. ყაისარამ თქვა, ქედამდე როგორმე ავალწიოთ და იქ შევასვენოთ, ერთ კარგ კაცს ვიცნობ, მკურნალია, განსაკუთრებით ყვავილს მკურნალობს. საქონლის ავადმყოფობაც ესმის, და იქნებ წამალი მოგვცესო.

— ვინ არის ის კაცი? — ვკითხე მე.

— აბდულ მიქელაძე. ნასწავლი კაცია. ქართული წერა-კითხვა იცის და ქართული წიგნებიც აქვს. აბდულს მთელი აჭარა იცნობს.

მე გამეხარდა, რომ კარგ კაცს გამაცნობდა ჩემი ყაისარი.

სალამო ხანი იყო, როცა აბდულ მიქელაძის სახლს მივადექით.

მივადექით თუ არა სახლს, ბავშვებმა იცნეს ყაისარა და გამოცვივდნენ. ყაისარმა ისინი კამფეტებით დაასაჩუქრა და აბდულ ეფენდი შინ თუ ბრძანდებო, ჰკითხა. საცაა მოვა, აბდულ ეფენდი, წისქვილზეა წასულიო. მობრძანდითო, შეგვეპატიჟა დიასახლისი. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ჩვენ დავბინავდით აბდულ მიქელაძის ოჯახში. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა აბდული. როგორ გაეხარდა ჩვენი სტუმრობა! თბილისიდან სტუმარი მყავსო, ჩემი ძველი მეგობარია, ზაქარია ჭიჭინაძე. მან მასწავლაო ქართული წერა-კითხვა და ახლა „ივერიაში“ წერილებსაც მიბეჭდავსო. ზაქარია წასულა ჯამეში, იქ ხალხს შეეხვდებიო. ჯამესთან ხალხი თავს იყრის, და უყვარს მათთან საუბარი. ყველა მას ზეპერიას ეძახის და თავისიანად თვლისო. ასე გაგვაცნო მისი სტუმარი აბდულ მიქელაძემ, თითქოს მოგვახარა ზასურველი კაცის სტუმრობა. ჩვენი სტუმრობაც რომ გაეხარდა!

აბდული პირველად ვიხილე, კარგი კაცი ჩანდა, კეთილი, სათნო სახე ჰქონდა. ყაისარმა თავისი გაჭირვება შესჩივლა დოსტაქარს. ნუ გეშინიაო, და უმაღვე გაშინჯა ცხენი, მერე რაღაც გადააყლაპინა, თივა ბლომად

დაუყარა და ყაისარას უთხრა: — ახლა დილამდე ნუ შეაწუხებ, დაჩვენოს ცხენმა, უნდა ჭამოს, უნდა იძინოსო.

მალე მობრძანდა ზაქარიაც. გაეხარდა ჩვენი გაცნობა, აბა, ჩვენს დაუყარი და იმდერე რამეო. და განა თავს არ გამოვიჩენდი ისეთ კაცთან, როგორიც ზაქარია იყო? ჩამოვკარ და ჩამოვკარ სიმებს თითები და ვიმდერე და ვიმდერე. ზაქარია შემპირდა, ქართულ წერა-კითხვას გასწავლი, შენც მოგნახავო. შუალამემდე მამლერეს. მერე ძილი ნებისა ვუსურვეთ ერთმანეთს.

აღიონზე ავდექით. ცხენი მომჯობინებულიყო, ყაისარამ შეაბა ორთვალაში, დავემშვიდობეთ აბდულ ეფენდის. ზაქარიას ეძინა და აღარ გავლვიძეთ.

გავუდექით გზას ხულოსაკენ.

გზადაგზა ისეთი რამე არ მინახავს, რომ გიამბოთ. მთები და კლდეები ყველას გინახავთ. ჰოდა, ხულო მთებით და კლდეებით საცსეა. ო, რა ტყეებია, გაუვალი ტყეები! რა ჩანჩქერებია! ერთი სიტყვით, ბუნებაა ისეთი, ჩემისთანა უსწავლელი კაცის ენა შესაფერს რას იტყვის.

დაბა ხულოში რომ მივალწიეთ, ზევიდან ცხენით ვილაც ბეგი ჩამოდიოდა, ორი კაცი თან ახლდა.

— ვინ არის იგი? — ვკითხე ყაისარს, რომელმაც ცხენი გვერდზე მიაცენა და გასუსული იჯდა ორთვალაში.

— სუ! ჯემალ ბეგია! — ჩურჩულით თქვა მან.

— ყაისარ, ის ჯემალბეგ ხიმშიაშვილია? — ისევ ვკითხე მე.

— ჰო, ის არის, ჩუმად იყავ, ცუდი არ წამოგცდეს, თორემ თავებს წაგვაცილს, მრისხანეა, — თითქმის კანკალით თქვა მან.

— ჩემო ყაისარ, მემედ ბეგმა რა გვითხრა იცი? ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი ჩემი პირველი მტერია, მას უნდა აჭარა სულთანს მისცეს, მე კი ეს არ მინდა. ჰოდა მე მებრძვის ეს უჯიშო. თან გაიხსენა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, რა დიდებული კაცი იყო, ილიასთან, აკაკისთან, ვისთან არ ჰქონდა საქმე და ურთიერთობაო, რუსებთანაც ჰქონდა საქმე და მოყვრობაო. ასეთი, ჩვენი ქვეყნის მოყვასი იყო შავშეთის მმართველი ნური ბეგ ხიმშიაშვილიცო. მაგრამ ყველაზე უფრო ვაჟკაცი თურმე მათი ბაბუა, ახალციხის ფაშა სელიმ ხიმშიაშვილი ყოფილა. ო, რამდენი რამე მიაბო სელიმზე მემედ ბეგმა! ჯემალ ბეგი გადაგვარებული აჭარელიაო. მე ველაპარაკებოდი ყაისარას, ზოლო ის კანკალებდა, კი არ მისმენდა. მერე მითხრა, თუ რატომ კანკალებდა. თურმე ჯემალ ბეგს ყაისარას მამა ცემით მოუკლავს და მიზეზი დღესაც არ ვიციო. მოგკლავს და კაცი არ დაიჭერსო. როგორც იქნა, ჩავგვიარა ჯემალ ბეგმა და ჩვენც ჩვენს გზას გავუდექით...

„ესეც შენი დანისპარაული. რა შორს ყოფილა!“ გავივლე გულში. ყაისარამ მითხრა: — ამელამ ჩემთან გავათევთ, ხვალ კი ყანლიზე ავალო,

ჩემი ცოლ-შვილი იქა მყავს, თეთრობშიო. ყანლისთან ახლოსაა —
მეს მარტო მე და ყაისარა ვიყავით სახლში, დილამდე ფიქრებზე
ძინა. ხან რას ვფიქრობდი და ხან რას. დილით ჩამეძინა. ყაისარა
შენენა ჩემი გაღვიძება და კაი ორი საათი მიცადა. მერე გასაღვიძებლად
ჩემთან შემოვიდა. მე უკვე ტანზე ვიცვამდი.

ცხენს ავკიდეთ ბარგი-ბარხანა და გავუდექით გზას ყანლისაკენ.
პაპანაქება სიცხე იყო, მაგრამ მთაში საჩრდილობელს რა გამოლევს!
ნაძვები და ნაძვები! ცამდე აწვდილი წიფლები, მუხები... წყაროები და
რა წყაროები! ჩემი ყაისარას მთების წყაროები კარგია, მაგრამ არ მგონია
ჯობდეს ჩემი ცქინიოლის წყაროებს.

თეთრობს რომ მივალწიეთ, შუაღლე კარგა ხანია გადასული იყო. ყა-
ისარამ ცოლს უთხრა: — ეს ჩემი ძმია, მამასადავ, შენიც ძმია. არ დავი-
ნახო პირზე ჩამობუტრული, მოდი და ჩვენთან დაჯექიო. პირველად მორ-
ცხვობდა ყაისარას ცოლი გულბეაზი, მაგრამ მერე შემეჩვია, მეც შევეჩ-
ვიე ამ ოჯახს, შინაურივით ვიყავი.

ბარიდან, — ესე იგი სოფლებიდან, ყველა მთაში ამოსულიყო — ქა-
ლი და კაცი, დიდი და პატარა, შეამთობა იწყებოდა. — რა არის შეამ-
თობა? — მკითხავთ თქვენ. კი, გეტყვით, ჩემო ბატონო. შეამთობა დიდი
სეირობის დღეებია მთაში. ოც დღეზე მეტს გასტანს. ყოველდღე მიხლო-
რში იკრიბებიან ქალები, კაცები, ბავშვები და ჩაღდება ლხინი. ვინ მლე-
რის, ვინ ჭიბონს ან გარმონს უკრავს, ვინ დოლს, ვინ სალამურს. არის
ლექსობა და ერთი ამბავი. ქალები ცალკე ზიან, მამაკაცები ცალკე. ქა-
ლებიც მღერიან და კაცებიც, ქალებიც ცეკვობენ და კაცებიც. ჰოდა,
მესამე დღე იყო, რომ ხმა გავარდა — ქოჩახელა მოდისო. როგორ მინდო-
და ქოჩახელას ნახვა, ძალიან აქებდნენ ამ კაცს. ნატვრა ამისრულდა კი-
დეც. მე მინდორში, სადაც ხალხი იყო შეკრებილი, პირისპირ შევხვდი
ქოჩახელას. ყაისარამ უთხრა მას — გაიცანიო, ბათუმელია, ქაზიმ მეჩო-
ნგურე, შენსავით ლექსების თქმა უყვარსო. მაშინ ქოჩახელამ ჭიბონს ჩა-
პბერა და სიმღერით მკითხა:

ქაზიმ ჩემო, მეჩონგურე,
შენ ამ მთაში რა გინდოდა?

მეც ჩამოვკარი სიმებს და სიმღერით ვთქვი:
შენი ნახვა ჩემო ქოჩავ,
აბა, სხვა მე რა მინდოდა.

ქოჩახელამ თქვა:

მე ხულოში ტოლი არ მყავს,
ბარშიც არვინ მეგულებს,
როგორ ბედავ ჩემთან შაირს.
რომ გავჩუმდე, მთხოვს გუნება.

ქაზიმ მეჩონგურემ თქვა:

სად არ ვიყავ, ვინ არ შემხვდა,
ნუ ფიქრობ რომ ეს ქორია,
შევხვდი ხუსენ ბაჯელიძეს,
შევხვდი მემედ ჭყონიასაც,
ვერ მაჯობეს და მე მიძმეს,
ნუ გგონია ეს ქორია.

ქოჩახელამ თქვა:

ერთსაც ვიცნობ, მეორესაც
და მაქასლელ ბურანასაც,
ვერ მაჯობეს, ვერ ვაჯობე...
ხედავ, თავზე მბურავს რაცა?
მემედ ბეგმა მისაჩუქრა
სირმიანი ყაბალახი,
რა კაცია დალოცვილი,
ჩემო ქაზიმ, გყავს ნანახი?

ქაზიმ მეჩონგურემ თქვა:

ნანახი მყავს ის ვაჟკაცი,
გეტყვი, რაც მე დამაბარა,
მერე ერთად წავალთ ბარში,
ან ჩამოხვალ თვითონ ბარად...

ქოჩახელამ ველარ მოითმინა და ყურში მიხურჩულა: — რა დავაბარა მემედ ბეგ აბაშიძემო. მე ვუთხრე ყველაფერი. ალტაცებით თქვა: — ოღონდ მემედ ბეგმა ბრძანოს და მე შავ ზღვაში გადავვარდებიო.

ო, რა დრო გავატარეთ. ქოჩახელამ მითხრა, ერთი რამე ვქნათო. რაო? ვკითხე მე. მოდი, ერთად გამოვიგონოთ ერთი კარგი ლექსი და იგი სიმღერად დავუტოვოთ ამ ჩვენს საყვარელ მთებს. გამოვიგონოთ მეთქი... და ჩვენ იაილებში სამ დღეს აღარ გამოვიჩენილვართ, თუმცა სულ გვეძახოდნენ ცეკვა-თამაშის მოყვარულნი. არც ქალებს გავუგონეთ... და ასე გამოვიგონეთ შუამთობაზე სასიმღერო ლექსი. მე და ქოჩახელამ ცოტა არაბული წერა-კითხვა ვიცოდით და არაბული ასოებით დავწერეთ... დავწერეთ და მერე დავიზეპირეთ. დავიზეპირეთ და მერე სხვებსაც დავაზეპირებინეთ. დაუკრავდა მეგარმონე, დაუკრავდა ქოჩახელა, დავუკრავდი მე... და დაიწყებოდა სიმღერა. ხმა გადადიოდა კაციდან კაცზე, ქალიდან ქალზე... და ასე ედებოდა მთებს. გახსოვდეთ მარად ეს სიმღერა ჩემო ძმებო და დებო. აი, მომისმინეთ... მღერიან ქოჩახელა და ქაზიმ მეჩონგურე. ვმღერით ყველა... და გუგუნებდა ჩვენი ხმები. ხშირად შივა და შიგ ვიმეორებდით: ჰარონანა, თარონანა, ჯალდინანა.

მოისმინეთ, მოისმინეთ ჩვენი სიმღერა მშობლიურ მოთბო

...თეთრობს ახლოს, წყაროს გაღმა,

სადაც ფიჭვი ცამდე წვდება,

შუამთობის ლხინი ჰქუხს და

ტაში დაჰკრეს ყმაწვილებმა,

ტაში დაჰკრეს გოგონებმა,

ტაში დაჰკრეს არწივებმა,

ერთმა ვაჟმა ლამაზ გოგოს

თხოვა მასთან დაწყვილება,

მიუცეკვა ჯალდინანა,

ქალის იყო აწი ნება...

„აჰყევ ქალო, არ იქნება

მზეჭაბუკის გაწბილება!“

მაგრამ ქალი გაუფრინდა,

დაგმო ვაჟის ტრფიალება,

ვაჟის გულში სიყვარული

ცეცხლის ალად ტრიალებდა.

მხოლოდ ახლა გაუმელავნა,

გაუმელავნა ხვამიადი,

ქალმა თითქოს დანა დაჰკრა

და სირცხვილის ზღვაში დადის.

დაგრეხვენ გრძელ-გრძელ ჭორებს

და ვაჟს გულში დაარჭობენ.

მეხს და სიცილს დააყრიან,

ვერ აიტანს, ამაყია.

აწრიალდა, აგრიგალდა,

გადავარდა სწორი გზიდან:

ქარქაშიდან ნელა-ნელა

დანა რისთვის ამოზიდა?!

უცებ მკერდში მიიჯახა,

თავი სიკვდილს მიანება.

ცა კივილით დააღამეს

დებმა შავმა თმიანებმა.

ცხრა მთას გასწვდა დედის გმინვა, —

თეთრობიდან თრიალეთსა...

შეწყდა ცეკვა და სიმღერა,

ტაში აღარ გრიალებდა...

ეჰ, ასეთი გლოვის ზარი

მთას ჭრილობად დააჩნდება...



ვათის დედა განუგეშოთ:
— შენი შვილი გადარჩება!
ვათი სიკვდილს გამოვტაცოთ,
განუგეშოთ ასე თანაც:
თავს რად იკლავ მეგობარო,
მომხდარაო ამისთანა.
დაეწაფე მთების წყაროს,
დარდმა რისთვის აგიტანა,
ო, ვინ იყო შენისთანა
ლაღატისთვის ალვისტანას
მკერდში დანა გაიტარა.
იქნებ ქალს სხვა შეუყვარდა,
არ მომხდარა ასე განა?!

მთაში ქალი რამდენია,
სულ მაისის ვარდებს გვანან.
მზეთუნახავს მოგინახავთ,
მართლაც ვარსკვლავს სჯობდეს თვალად,
დაჯაბნიდეს ლერწამს ტანად.
ისეთ ქორწილს გადაგიხდით
მოვიწვიოთ ცხრა მთიდანაც,
ყანწებს დავცლით, ქვევრებს დავცლით.
ცას შევახლით იაენანას...
ჰეი, დარდი გადიყარეთ,
ლხინის მოშლა დამენანა,
ისევ ვჭექოთ სიმღერები,
ისევ ვკეცოთ ჯაღდინანა.
ქოჩახელავ, ჩაუბერე,
ჩემო ქაზიმ აჰყევ თანა,
ქალ-ვაჟებო, ჰარნონანა,
თარნონანა, ჯაღდინანა!“

ამბავი მემოთხე

გოდება ანუ გახსენება პირველი

რაო? რატომ ვტირი? მე, ქაზიმ მეჩონგურე ტყუილად როდი ავტირ-
დები. მომაგონდა, გულის მოსაყლავი ამბები მომაგონდა. დედას ვტირი?
არა. მამას ვტირი? არა. ჩემს იმ მეზობლებს ვტირი, სამშობლო რომ ენა-
ტრებათ. აჰა, აგერ არ არის! მიწა მოენატრა, ზედ დაემხოს და ჰკოცნოს და

ჰკოცნოსო. ეს წიფლები და წაბლები მოენატრა? აგერ გავარდნი, გიწიწი, ეხვიოს და ეხვიოს ხეებსო, ისინიც ალერსით ხელემა მოხვევებს, ჰკოცნებს დაარხევენ, ფოთლებს ააშრიანებენ და მოჰყვებიან საამო ჩვენი ხეები. ძიავ, რამდენიც გინდა ჰკოცნე შენი მამულის ამაყი ხეებიო. მაცვალი გინდა, შავთვალა გოგოს თვალების მსგავსი? წადი ცქინიოლში, ცხენისწყალახე, რამდენიც გნებავს იმდენი ჰკრიფე და პირი ჩაიგეძრილე, გააუფლიდი კალათა და სახლში ჩამოიტანეო. პატარა გოგონა არა გყავს? დაუდგი მაცვლით სავსე კალათა და ჭამოს და ჭამოსო იმ ეშმაკუნამ. სოცო გინდა? რამდენიც გინდა იმდენია ჩვენს ტყეში. შველი მოგენატრება? ისიც არის, მაგრამ ცოდვა არ არის შველის მოკვლა?! კურდღელი გიხდა? პო, რამდენია ჩვენს ჩირგვნარებში! დათვიც არის და მგელიც, ტურნა და ფოცხვერიც. ასე მეტყვი შენ.

ჩემო მეგობარო, შენ ვერ მიმიხვდი ქაზიმ მეჩონგურეს? კარგად დამიგდე ყური. მე ვდარდობ იმ მეზობლებს, ერთ დღეს მუჰაჯირად რომ აიყარნენ და წავიდნენ ოსმალეთში. რა უნდათ ოსმალეთშიო, გაკვარვებით იტყვი შენ. მეც ასე ვამბობ, ჩემო საყვარელო კაა კაციო, მაგრამ ეს ასე არის და რას იზა? ამ რამდენიმე წლის წინათ იყო, რომ მუჰაჯირად აიყარნენ ჩემი სოფლიდანაც და გაუდგნენ ბნელ და მწყურარე გზას. ამ მიწას კაცი დატოვებს? ერთი შეხედე რა მიწაა, სამოთხეა, სამოთხე ჩემი სოფელი! სამოთხეა, სამოთხე ჩემი აჭარა! ჰოდა, ამ სამოთხეს კაცი დატოვებს და ჯოჯოხეთში წავა? არა, იქნებ იქაც კარგი მიწაა, მაღალი ხეები დაეშომწონედ დგანან მთაზე, საამოდ შრიანებენ ნაირჩეხები და თუჩინჩეხი, მაგრამ შენი მიწა, შენი მამულ-დედუღი სხვაა. ბებიაჩემი იტყოდა, სხვაგან ას წელს სიცოცხლეს, ჩემს მამულში ორი დღე სიცოცხლე მირჩევნიაო. რატომ ასე ფიქრობ-მეთქი, ვკითხე ბებიაჩემს, მან ასე მიპასუხა: იმიტომ შვილო, რომ ამ მიწაში ჰყრია ჩვენი ძველების, ჩვენი მამა-პაპების ძვლები... და იგი კაცად ვარგა, რომ არ უყვარდეს თავისი მამა, თავისი პაპა? ბალახიც კი ჩვენი ძვლების საფლავებზეა ამობიბინებული. არა, საფლავები სადღა ატყვია, მაგრამ სად არ იქნებოდა საფლავი. მეჩე ნელ-ნელა ყველაფერი იშლება, იშლება საფლავებიც... და შვილთაშვილებისათვის სასაფლაოები, ბალახოვან და ყვავილოვან მინდვრებად იქცევა. დავხნავთ, დავთესავთ და მოვიყვანთ მოსავალს, გავავსებთ ბედლებს სიმინდით, ჭვავით, ლობიოთი. ქვევრებს გავავსებთ ხეჭეჭურით. გავადრო და ყველა ეს ადგილი იქცევა საფლავებად... გავა ხანი და ეს საფლავები წაიშლება, ყანებად, ბაღებად იქცევა. ჰოდა, ჩემო შვილო, ეს მიწა შენი სისხლი და ხორცია, შენი დედაა, შენი მამაა, შენი დაა, შენი ძმაა, შენი ბიძაშვილია, შენი ნათესავია, მკვიდრია. გიყვარდეს იგი ისე, როგორც გიყვარს დედა, მამა, შვილი, ძმა, და... ასე მითხრა ჩემმა ჭკვიანმა და დალოცვილმა ბებია და როგორ დამავიწყდება მისი ნათქვამი. და კაცი მამულ-დედულს

რომ მიატოვებს, ან უშკუთა, ან რაღაც დიდი გაჭირვების ბრალს, ან მართლაც დიდი გაჭირვება გვექონდა, მაგრამ კაცი გაჭირვების დროს უნდა გამაგრდეს, არ უნდა დაეარგო გონება, უნდა გაუძლოს მესხა მარცხსა და ხილს. მაგრამ ხელზე ყველა თითი თანასწორია? ასეა კაციც. ზოგი სულგრძელია, ზოგი სულმოკლე, სუსტი. ზოგ კაცს ცხოვრება ისე გაიტაცებს, როგორც ბუბუქსელს ქარი და შორს გადაეარგავს. ასე მოხდა ჩვენშიც. ხელისუფლებამ გაგვეჭირვა საქმე, გვახრჩობდნენ, გვაწიოვებდნენ რუსი მოხელეები, უმოწყალოდ ციხეშიც თავს ამოგვაცოფებდნენ ხოლმე. კარგ დღეს პირი არ უჩანდა. გამწარებულ კაცს ადვილად გადააგდებ გზიდან. და სოფელს საწყალ კაცს მტერი არა ეტოთ და ორი პყოლია წადი კაცო წადი ოსმალეთში და თავს უშველე, აქ რა გინდა, ამ ჯოჯოხეთშიო, ჩასძახოდნენ ისინი დასაწყლებულ, დაბეჩავებულ ხალხს. ოსმალეთში მიწას მოგცემენ, სახლ-კარს მოგცემენ, მეტი რა გინდა შე უბედურო. გაჭრობა გინდა? ივაჭრე, იყიდე და გაყიდე. ერთ წელიწადში ერთ ფუთ ოქროს დააგროვებ. იცხოვრებ ისე, როგორც გინდაო. ო, რამდენი მტერი პყოლია პატროსან კაცს. მამაჩემი ეუბნებოდა მეზობლებს, ნუ მოტყუვდებით, თორემ ბოლოს ინანებთო, მაგრამ ვინ დაუჭერა. მიეზობელი სოფლებიდანაც წავიდნენ, ქობულეთიდანაც წავიდნენ, ზემო აქარიდანაც წავიდნენ... რაც უფრო წაიღეს, იაფად მიჰყიდ-მოჰყიდეს, რისი წაღებაც შეიძლებოდა, აჰყიდეს ცხენებს, ჯორებს, ან ჟრმებზე შეეკრეს და ჰაიდა... გასწიეს შორს, შორს...

და მახსოვს ის დღე.

სულოს მამაც წავიდა (ახლა სულო ბიძას, რომ ვეძახით).

— რატომ გვტოვებ მერჯან? სადაც ჩვენ ვართ, შენც იქ იყავი, ნუ გატყუებენ, დარჩი, — უთხრა მამაჩემმა სულოს მამას.

— ძალიან შეძნელება ჩემი სოფლის დატოვება ჩემო ქიბარ, მაგრამ რა გქნა. სულერთია, ხვალ თქვენც ჩემს გზას დაადგებით. — უპასუხა მერჯანმა მამაჩემს და კამეჩებს სახრე გადაუქირა.

სულო ტიროდა, ვულამოსკენით ტიროდა. გოგო ხატივე (ახლა რომ დეიდა ხატივეს ვეძახით) ხეს მიჯარებოდა და სლუტუნებდა. სულო და ხატივე ყოველდღე ერთად თამაშობდნენ, ერთად მიდენიდნენ საქონელს ცქინიოლში... ხშირად ერთად მწყემსავდნენ ცხვრებს, უყვარდათ ერთმანეთი და მერე როგორ! მამაჩემმა ერთი თვალი მოავლო ასლუტუნებულ სულოს. მერე ხატივეს და მერჯანს საყვედურით უთხრა: — ეს ბავშვები მაინც შეიცოდეთ და ნუ დააშორებთ ერთმანეთს, დარჩით, დარჩით ჩვენო საყვარელო მეზობლებო!

— არა, ჩემო ქიბარ, ხვალ ხატივეს მამაც ჩვენს გზას დაადგება. ეს აუცილებლად ასე მოხდება, რადგან ცხოვრება ძალიან შეიცვალა, ხალხად არ გვაგდებს მთავრობა, ქრისტიანი რომ არ ვართ, კარგად არ გვეყურებს,

არ გვნდობს. ჰგონია, რომ ჩვენ გავყიდით რუსის მეფეს. ჩვენ საწყალი, უბრალო ხალხი ვართ. მაგრამ ამაყები ვართ, მტკიცე სული გვაქვს. რაღა-ტი არ გვიყვარს, ასეთნი იყვნენ ჩვენი ძეგლები და ასეთნი ვართ ჩვენც. მოლაღატეს ჩვენში არ გაიტანენ, მოჰკლავენ... ჰოდა, ჩვენ რა გვჭირდება მეფე, არ გვიღალატია ძიავ და არც ვაპირებთ ღალატს, — თქვა მერჯანმა და ერთი მაგრად ამოიოხრა. ეტყობოდა, ცეცხლი ენთო გულში, ჩაუქრობელი ცეცხლი, რომელსაც ვერ გაანელებდა ვერც ჭოროხი და ვერც ზღვა. უცებ ხმა ჩაუკვდა. ჩიბუხს დასწვდა, გატენა, კვესით მოუკიდა და კვამლში გაეხვია.

— ვიცი, ჩემო მერჯან, რა ცეცხლიც გაქვს გულში, მაგრამ უცხოეთში ამ დარდსა და ცეცხლს რა გაგიქრობს, უფრო უარესად გახდება, დარჩი მეზობელო, დარჩი, თორემ ღამის გული გამისკდება. როგორ, გავიხედო დილით და შენი სახლის კვამლი ვერ დავინახო, შენი სულო ვერ დავინახო, შენი მეთუღე, ჩვენი საყვარელი ადამიანი, მეზფულე ვერ დავინახო, როგორ გავძლებ, როგორ. დარჩი ჩემო მეზობელო, დარჩი, — ევედრებოდა მამახიმი ქიბარი და თან თვალებზე მომდგარ ცრემლებს ხელით იწმენდდა.

მეზფულე სახლს ვერ შორდებოდა. დედაჩემმა ხათუნამ თქვა, კერიას ზედ დაემხო, აკოცა და აკოცა, ღვარა და ღვარა ცრემლეზიო.

— რაკი ასე ძნელია შენს კერიაზე მოშორება, უთხარი მერჯან-ალას, დარჩეს, ნუ მიდის ოსმალეთში, ნუ გაავერანებს აქაურობას, — უთხრა დედაჩემმა.

— დაგიჯერებს მერჯანი, დაგიჯერებს! — ეს ისე გულმოკლულად თქვა მეზფულემ, რომ ყველას ცრემლები წასკდა.

მეზფულემ კერიას ცულით მიატეხა კიდე, გაახვია ცხვირსახოცში და უბეში ჩაიდო. მერე ხელები აღაპყრო და თქვა:

— ღმერთო დაუქციე იმას ცხოვრება, ვინც ჩვენ აგვყარა ჩვენი ოჯახიდან. მე რად მინდა ოსმალეთი, ჩემი ბაღდადი, ჩემი სამოთხე ჩემი სოფელია, ვეყურებანე ჩემს სოფელს, ვშორდები საყვარელ მეზობლებს, ვშორდები ჩემი დედა-მამის საფლავებს, ვშორდები ჩემს ნათესავებს და მივდივარ სად, სად, არავინ იცის. ღმერთო, ღმერთო შენ შეგვიბრალე! — ბოლო სიტყვები ისე სასოწარკვეთით თქვა, რომ მხეცი უნდა ყოფილიყო, ექვა გული უნდა გქონოდა, რომ არ გეტერა და ჩვენ ცტიროდით, წამსვლეღნიც და დამრჩენიც.

მიდიოდა მეზობელი და ჩვენ მივაცილებდით. მიდიოდა, სად, ვინ იცის. შეეგუებოდა თუ არა უცხო სოფელს, ექნებოდა თუ არა ლუკმაპურის შოვნის საშუალება, ეყოლებოდა თუ არა ჩვენისთანა გულშემატკივარი მეზობლები, ვინ იცის, ვინ იცის!..

სოფლის ბოლომდე ჩავაცილეთ, მერე ვკოცნეთ და ვკოცნეთ, მაგდობიანი გზა ვუტურეთ. მამაჩემი ასე გამოეშვიდობა.

— მერჯან, გული მეუბნება, რომ შენ ისევ ჩვენთან დაგეგმევენ, ღმერთმაც ასე ქნას. თუკი გაგიჭირდება, არ გაჩერდე, რომელი გზითაც წახვალ, იმ გზასვე დაადექი, შინ მოგიყვანს, ჩვენთან მოგიყვანს, შენს სახლში მოგიყვანს. ჩვენ შენს სახლ-კარს არ გავავერანებთ, კერძას არ გავაცივებთ, ეზოში ეკალ-ბარდებს არ გავზრდით, დაგელოდებით ყოველდღე. ნახვამდის ჩვენო საყვარელო მეზობელო.

— ნახვამდის, ნახვამდის ჩემო მეზობელო, — თქვა მერჯანმა და აქვითინდა. ისე გულამოსკვნით აქვითინდა, რომ ვერც ერთმა ტირილი ვერ შევიკავეთ. ო, რა შემზარავად ტიროდნენ ქალები. მამაჩემს ვთხოვე, მე ქალაქშივე გავაცილებ-მეთქი, ცოტა ხელ-ბარგს წავაღებინებ-მეთქი... და გავყევი უბედურ ჩემს მეზობელს.

ქალაქში რომ ჩავედი, მერჯანმა ურემი ყავახანასთან გააჩერა, ერთ წამს ყავახანაში შევივლი, ნაცნობებს და ნათესავებს ვნახავ, იმათაც დავემშვიდობებო. შევიდა ყავახანაში და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გამოვიდა. ერთი ჩაქურდიანი მოხუცი გამოჰყვა. ალბათ მერჯანის ნათესავი იყო. მუჭა-მუჭა ღვრიდა ცრემლებს. ამ დროს ვიღაც შუახნის კაცი მოვიდა და იკითხა:

— რა ამბავია, რამ დაგაღატდიანათ, იქნებ დაგეხმაროთ რაში, მითხარით თქვენი გასაჭირი.

— არა, არაფერი გვიჭირს. გასაჭირი ის არის, რომ ეს ჩემი ნათესავი მუჭაჭირად მიდის ოსმალეთში და დაშორება გვეძნელება, — უპასუხა ჩაქურდიანმა მოხუცმა.

— არაფერია, ნუ დარდობთ, ოსმალეთის მთავრობა თქვენ არაფერს მოგაკლებს, მიწას მოგცემს, სახლს მოგცემს, მუშა ხარს მოგცემს. მეტი რა გინდა. სოფელი არ გინდა, ქალაქში იცხოვრე, რომელ ქალაქშიც გინდა იმ ქალაქში იცხოვრე, ოქროებს მოგცემს სესხად, შეიძინე ღლეჯანი, ივაჭრე და ივაჭრე რამდენიც გინდა. ერთ წელიწადში გამდიდრდები და სულს მოითქვამ. აქ რა გინდათ, უთხარი თუ ყველას, რომ ოსმალეთში წავიდნენ, — ეს თქვა შუახნის კაცმა და მხარზე ხელი დაუთათუნა მერჯანს.

— ასეთი კეთილი კაცი ვინ ბრძანდებით, მაინც ვიცოდეთ, — ჰკითხა მოხუცმა.

— ჩემი ვინაობა რად გინდათ. მე თქვენი კაცი ვარ, თქვენებური ვარ, დავდივარ სოფელ-სოფელ და ყველას ვურჩევ, წავიდნენ ოსმალეთში. მე ოქროსახელი მაქვს — სედაიმილეთელი ვარ, — ამაყად თქვა მან.

— რაო?! ვერ გავიგე ვინა ხარ! — გაიოცა მოხუცმა.

— არა უჭირს, მერე გაიგებ ვინცა ვარ და ბევრს დაშლოცა და ეშვებოდა სედაიმილეთელი.

მე ვიცოდი რა ოხერიც იყო სედაიმილეთი. ერთხელ პა: მარკანდოვს მითხრა — სედაიმილეთლები ჩვენი აჭარის პირველი მტრები არიანო. ვთხოვე განეზავტა, რაა ნიშნავდა ეს... და პაიდარი სომიყვა წველაფერა. კარგად სახსოვდა, რაც მითხრა პატივცემულმა პაიდარმა და მე ათათაც განვუთარტე, თუ ვინ იყვნენ სედაიმილეთლები, მაგრამ ვის დაგვიყვანა. მე ყმაწვილს თა დაეჯერებო. აბაშიძეები აჭარის გაქრისტიანებას ფიქრობენ და იმით რა დაეჯერებო. პოტ, გაჩუმდი, მითხრა ნოზუცმა და ზეც ესა ჩავიკმინდე.

უსვე დაღვა დაშორების წუთები.

სტიროდა მოხუცი.

სტიროდა მერჯანი.

სტიროდა სულო.

სტიროდა მეხფულე.

რა ნაღვლიანი ღღე იყო ის ღღე, რა ნაღვლიანი! რა დამავიწყებს იმ ღღეს!

გულში ჩამიკრა მერჯანმა.

გულში ჩამიკრა მეხფულემ.

გულში ჩავიკარი სულო.

წავიდნენ ისინი.

რა დარჩა ჩვენ შორის? — დარდი და ცრემლი...

მე ვფიქრობდი... ვფიქრობდი... მერე შევედი ყავახანაში, მივჯექი კუთხეში და მკლავებში ჩავემხე. მოვიდა ვიღაც და შემანჯღრია:

— ჰეი, მეგობარო, ქაზიმ მეჩონგუტრევ, რამ დაგაღონა?

ავწიე თავი და დავინახე სპარსელი მომღერალი — მირზაჯანი. მან მითხრა, ვიმღეროთო, ხომ ხედავ, ქვეყანა იქცევა, რუსი მეფე ომს არ ათავებს, სულთანი ომობს, ფრანცია ომობს, ვინ არ ომობს, საწყალი ხალხი იფლიტება. მოდი, ცოტა არაყი დავლიოთ, თავი მოუყვდეს მუსლიმანობას, ჩვენ ხომ კაცნი ვართ, დავლიოთ ცოტა — აღარ მომეშვა და მივატოვე ყავახანა. ღღეს ხასიათზე არა ვარ და მომეშვი-მეთქი. მირზაჯანმა მომამძახა:

— რასაც ღღეს მიიკლებ, ხვალ ინანებ, ომარ ხაიამმა გვიანდერძა, დავლიოთ ღვინო და ვეალერსოთ ლამაზ ქალებს, მეტი არაფერი შეგვჩეხებაო. შენ არ გავიგონია ომარ ხაიამი? — მირზაჯანისაგან პირველად მოვისმინე ომარ ხაიამის სახელი და მართლაც რომ არაფერი ვიცოდი ამ კაცის შესახებ. მირზაჯანი ისეთი ვინმე იყო, ხან ამ ქალაქში იყო და ხან იმ ქალაქში. ხან სად მოგზაურობდა და ხან სად... და კარგა ხანია არ ჩანდა. ახლახან დაბრუნებულა. კი მეხატოებოდა მისი, მაგრამ მე სხვა დარ-

დები მკლავდა და მირზაჯანს ბოდში მოვუხადე, ავად ვარ-მეთქი და გა-
ვახანდიან გამოვედი.

— მე შენთან საუბარი მინდა, მერე გნახავ, — მომაცხადა მირზაჯანი.

მე მარცხნივ ქუჩაზე შევუბნე და უმაღლეს ოფიცსას დღუქთან გავ-
ჩნდი. მწითური კაცი იყო, კეთილი, კაცთმოყვარე. მამაჩენს დიდ პატრის
სტუმრად. რაც არ უნდა წაგველო ოჯახისათვის, ფულს არ გვკითხავდა. ენ-
დობოლა მამაჩემს.

— რატომ ხარ ქაზიმ დაღონებული? — მკითხა ოფანესმა.

ჩემი დადარდიანების მიზეზი რომ ვუთხარი, თავი გააქნია და თქვა:

— კაცო, შენი თავი შენ უნდა გებას, ვილაცას რატომ უნდა დაუჯე-
რო და მიატოვო შენი ოჯახი, შენი სოფელი. მე რომ მომკლა, ვერსად წა-
ვალ. მამაშენიც ხომ არ გადაირევა და არ წავა?

— არა, ჩვენ არსად არ წავალთ! — მტკიცედ ვუთხარი მე.

— ეთქვათ, და მამაშენი ვინმემ გადააცდინა და წაიყვანა, შენ რას
იზამ? — გამომცდელად მკითხა ოფანესმა.

— მე რას ვიზამ? რას და აქ დავრჩები. რა ვქნა, ძალიან ძნელია მო-
შორდე დედ-მამას, მაგრამ მე მაინც აქ დავრჩები, მე არსად წავალ ჩემი
ქვეყნიდან: თუნდაც დიდი ვაჭარი გავხდე უცხოეთში, კაპიტალისტი გავ-
ხდე და მილიონერი გავხდე, მაინც არ წავალ. ჩემი დარიბული ლუკმა
მირჩევნია, ჩემი წყარო მირჩევნია, ჩემი ცქინილი მირჩევნია, ჩემი მთა
მტირალა მირჩევნია. — ვუთხარი მე. თან ის ვთქვი, ქალაქელმა კოწიამ,
რომ მანწავლა.

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ

და მისროლია ისარი,

სად მამა-პაპა მეგულვის,

იმათი კუბოს ფიცარი,

სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, —

ჩემი სამშობლო ის არი.

ვინ არის კოწია, იტყვიან თქვენ. კოწია გამაცნო მამამ, იგი მუშაა. დიდი
ხანი არაა, რაც გუბრიდან ჩამოვიდა, ყავახანაში უყვარს სიარული, მამას
სტულ ეხვეწება, სოფელში რა გინდა, ხომ ხედავ, საყოფი მიწა არა გაქვს,
არც უღელი ხარი გყავს, ნახშირით ან შენს ორმოში გაყინული თოვლის
გაყიდვით ვერ გამდიდრდები. ქარხანაში თვეში ორჯერ ფულს მიიღებ,
ხელს მოიბრუნებ. ქაზიმი სოფელში იყოს, შენ კი ჩემთან წამოდიო, ევე-
დრებოდა კოწია. ბოლოს სძლია მამა, მაგრამ ამაზე მერე ვიამბობთ.

ჰო, კოწიას ყავახანაში უყვარს სიარული. ჩემი სიმღერა უყვარს. მეც
რატომ ვაწყენინებ ამ ხნის კაცს და ჩამოვკრავ ჩემი ჩონგურის სიმებს,
ღმერთმა ამის ნიჭი მომცა და ვინმეს დავამადლი! ჰოდა, კოწიამ ეს ლექ-

სი მასწავლა და მის მერე ვმღერი და ვმღერი ამ ლექსს. მიყვარს ეს სიმღერა.

დიდხანს ვისაუბრეთ მე და ოვანესმა. ბევრი რამე დამარცხდა — შენს მოყითხვა უთხარი და მალე მნახოსო. ეტყობოდა, ოვანესს ძალიან უყვარდა მამაჩემი და ალბათ შიშობდა, ისიც ოსმალეთში არ წავიდესო. იქნებ ამაზე უნდოდა მამაჩემთან საუბარი...

* * *

მგონი მეორე დღე იყო, საღამოხანს მერჯანის ეზოში თავი მოეყარათ ქალებს და სტიროდნენ. სტიროდნენ კი არა, ბლაოდნენ, საცოდავად ოხრავდნენ.

— უბედურო მერჯან, ვინ იცის რა მოგივა გზაში.

— საწყალო მერჯან, როგორ შენივე ხელით დაითხარე თვალები.

— ვინ იცის, იქნებ ყაჩაღები ამოგზოცავენ გზაში. ამბობენ, რომ იმ გზაზე ყაჩაღები დადიან, ხალხს ძარცვავენ და ჰკლავენო.

— საბრალო ბიჭო სულს, შენ ხომ ვერ გასძლებ, თუ ვერ ნახე ხატიჯე. ან ხატიჯე როგორ გასძლებს უშენოდ. თქვენ ხომ ერთად გარეკავდით საქონელს მთაში. გზა და გზა ჩურჩულებდით, რა გქონდათ იმდენი სალაპარაკო? ვინ იცის, ვინ იცის.

— ახ, დაქცეული ოჯახო. ღმერთო მიხედე გზააბნეულს და გაჭირვებულს. ამინ!

ჰგოდებდნენ ქალები და ჰგოდებდა მარტოდ მიტოვებული სახლიც. ჩამიჩუმში არ ისმოდა. ამ ტირილსა და ვაებაში ჩამობნეულა კიდეც. შიგ ფეხის შედგმა ვერავინ გაბედა. ამ გავერანებულ სახლს მალე შეითნები დაებატრონებიანო, და აქ გავლა საშიშარი იქნებაო, ამბობდნენ ქალები. ამ დროს სახლში უცებ რაღაცამ გაიჩხაკუნა. ქალები გაისუსნენ, შიშმა აიტანა ისინი. ყურს უგდებდნენ. უცებ შავი კატა გამოვიდა სახლიდან, ერთი ქალებს ელვარე თვალებით გადახედა და ისევ სახლში გაუჩინარდა. ერთმა ფანატკოსმა ხანშიშესულმა ქალმა თქვა: — ეს შეითანი იყო, ჩქარა მოვმორდეთ ამ სახლს, თორემ კარგი დღე არ დავადგებაო, და ადგილიდან უმაღვე მოწყდნენ, ბილიკი სწრაფად ჩაირბინეს და თავიანთ სახლებს მიაშურეს.

* * *

არ მახსოვს ვინ მითხრა — ხატიჯე ლოგინად ჩავარდნილაო. ვიფიქრე, რა დაემართა ამ საყვარელ გოგონას-მეთქი და გადავწყვიტე მენახა. ხატიჯეს ჩონგური ძალიან უყვარდა, კარგად უკრავდა კიდეც. ამიტომ ჩონგურიც თან წავიღე.

— მობრძანდით, მობრძანდით, — მომადახა ხატიჯეს დედამ თუნთულმა.

— მოვბრძანდი პატივცემულო თუნთულ-ხანუმ და თან მოვბრძანე
სიხარული და სიყვარული: ამ ოჯახს ღმერთმა სიკეთე ნუ მოაქვს.
შევედი თუ არა სახლში, ხატიჯე ვიკითხე.

— ცოტა უქეიფოდაა, — მითხრა თუნთულ-ხანუმმა.

— რა დაემართა?

— თვალწაქრულია, უკმური აქვს აყოლილი. ჯაჭვში გატარება უნდა.
ჩაქვში არის ერთი ქალი, რომელიც ასეთ ავადმყოფებს წამლობს და იმის
დიდი იმედი გვაქვს, — თქვა თუნთულ-ხანუმმა. ვუცქეროდი დაღონებულ
და გაფითრებულ დედას, რომელიც მუჟს მუჟზე იჭირებდა, სწუხდა, თი-
თქოს ხმამაღლა ამოიხვრა უნდოდა, მაგრამ რცხვენოდა.

— თუნთულ-ხანუმ, მომცემთ ნებას ვნახო ავადმყოფი? — ვკითხე მე.

— შენ განა დაგეშლება, ჩვენიანი ხარ და შედი, მიბრძანდი, — და
მან იმ ოთახის კარი გაშიღო, სადაც ხატიჯე იწვა. შევედი ღიმილით და
მივესიყვარულე:

— კარგად ყოფილხარ გოგოვ, კარგად, ცუდი ფერი არ გადევს პირ-
ზე. არაფერია: მალე აღგები.

— შენს პირს შაქარი, ნეტამც ასე იყოს, — თქვა თუნთულ-ხანუმმა.

ბევრი ვისაუბრეთ, ვაცინე და ვაცინე. ქაზიმ მეჩონგურემ მარტო
ჩონგურის დაკვრა კი არ იცის, ზუმრობაც იცის.

თუნთულ-ხანუმს ვილაცამ დაუძახა, იგი გარეთ გავიდა და ხატიჯე და-
ვიმარტოხელე:

— ამბობენ, სიყვარული ძნელიაო. შენ შეყვარებული ხარ. ვინც
გიყვარს, ვიცი. ნუ გრცხვენია, პირს ნუ მიბრუნებ. სულმომითხრა, ბევრი,
ბევრი სამი-ოთხი თვე გავძლო, შერე გამოვიპარები, ჩემი ხატო რომ არ
ვნახო, მე მოვკვდები, ისიც მოკვდება უჩემოდო. ასე მითხრა სულმომ ჩუ-
მად. მან თქვენი საიდუმლო სიყვარული მე გამანდო. საცაა წერილს მი-
ვიღებ, შენს მადიერ მიწწერ, ან შენ რასაც მეტყვი, იმას მიწწერ, მე სიზ-
მარი ვნახე, შენს მხრებს ვარდი მოესხა, ხოლო სულოს მხრებზე ბუღბუ-
ლები ისხდნენ და ვარდის უგალობდნენ. ეს სიზმარი რა არის-მეთქი, გვი-
თხე დედაჩემს და მითხრა: სულოს და ხატიჯეს ქორწილი მალე იქნებაო.
არ იღარდო ჩემო კარგო დაიკონა. ყველაფერი ისე ასრულდება, როგორც
შენ, სულოს და მე გამეხარდება.

ეს ვუთხარი და ჩონგური მოვმართე, — დავუკარი და თანაც დავამ-
ლერე.

— დაუკარი და იმღერე ჩემო ქაზიმ, ასე მოუხდება ავადმყოფს, —
მოულოდნელად მომადახა თუნთულ-ხანუმმა.

— თუნთულ-ხანუმ, მე ყოველდღე მოვალ, რომ გავამხიარულო ჩვენი
გოგონა, რომ ადრე წამოვაყენო ფეხზე...

იმ დღიდან მართლაც ყოველდღე დავდიოდი ხატიჯეს სანახავე მე-
ვიყავი პირველი მისი მახარობელი, როცა სულს მამისაგან წეროდა მო-
ვიდა.



წერილი პირველი

— ჩემო საყვარელო ქიბარ, — წერდა მამაჩემს სულს მამა მერჯა-
ნი. — ჩვენ ჩავედით ტრაპიზონში. აქ დავჩით ერთ კვირას. რაც გვქონდა
თითქმის დაგვეხარჯა და კინალამ მათხოვრობა დავიწყეთ. ერთი კვირის
შემდეგ გავგამწყესეს მახლობელ სოფელში. თავი შევაფარეთ ერთ ძველ
ქოხს, რომელიც უპატრონოდ იდგა ტყის პირად. ვინც მუჰაჯირად წაშო-
ვიდა, ვინ სად დასახლდა და ვინ სად. გვეგონა, აქ ოქროს სასახლეებს აგ-
ვიშენებდნენ, მაგრამ ეს მოლოდინი არ გაგვიძარღვდა. მიგვატოვეს უპა-
ტრონოდ და ის არის. პირველად ცოტა ბრინჯი და სიმინდი დავიჭირგეს,
მერე კი იანიც შეგვიწყვიტეს. რას იზამ, შენ უნდა ეცადო და თავი გაი-
ტანო. მაგრამ როდემდის? ძალიან დაღონებულია ჩემი სულ. სულ იქა-
ურობა აბოლებს, გული არ უწყნარდება, ხანდახან ტირის კიდეც. ვნახოთ
როგორი იქნება ხვალინდელი დღე. თუკი ძალიან გაგვიჭირდება, სხვაგან
წავალთ. იქნებ ჩვენს მამულში დაგბრუნდეთ, მაგრამ მოგვიშვებთ რუსის
მეფე? არ ვიცი, მუჰაჯირად წასულებს აღარ მიგვიღებს მგონი და ეს არის
ჩვენი სადარდებელი.

სულს სალამს უთვლის ხატიჯეს. ხომ არ მოიწყინაო უჩემოდ. კარგი
მეგობრები იყვნენ, დამასავით იყვნენ და ერთსაც დაიმორცესაც გაუძნე-
ლდა დაშორება.

ღმერთმა მშვიდობით გამყოფოთ მეზობლებო.

წერილი მეორე

ხასანმა თავის მუჰაჯირ ძმა მერჯანისაგან ახლახან კიდეც მიიღო წე-
რილი. რა გულსაყლავ ამბებს იწერება, ზოგი მუჰაჯირი შიმშილობსო. მე
რა მაქვს, რომ გაჭირვებულს დავეხმარო. ყველა თავის თავის ცდილობს. ანდა რა უნდა ქნა, შენთვის თუ არ ეცდები, ხვალ
შიმშილი მოგკლავს, უცხო ქვეყანაში გაჭირვებაში ჩავარდნა ძნელია.
შენს სოფელში კაცს რა გიშავსო, გაგიჭირდება მეზობელს თხოვ. ერთს არ
ექნება, მეორეს ექნება, მეორეს არ ექნება მესამეს ექნება. პოდა, ბო-
ლოსდაბოლოს თავს დააღწევ გაჭირვებას. აქ კი მტრისას. გაჭრებიც არი-
ან, ალებიც, ბეგებიც, ოქროებს აჩხრიალებენ, მაგრამ შენ ვერ რას მოგ-

ემს. გაჭირვება ერთია და ახლა სულს რომ ავად გავვიხდა, იმას ვკავ-
რობთო დიდი-პატარა არც სიცხე აქვს, არც თავი სტკივა და არც გულს,
მაგრამ ავადაა. რალაცას ჯავრობს და რას ჯავრობს ჯერაც ვერ გავვივია.
ალბათ იმას ჯავრობს, რომ ბავშვობიდან შეჩვეულ თავის ტოლშემსრულებელს
ხედავს, ჩვენს მეზობლებს ველარ ხედავს, ჩვენი სოფლის მთებიდან მზის
ამოგორებას ველარ ხედავს. დილით დაჯდებოდა ეზოში ჩემი სულიკო და
სულ მთებისკენ იცქირებოდა, სიმღერას წამოიწყებდა, მეზობლის ბალ-
ნებს ეძახოდა და ეუბნებოდა: — ბალნებო, აი, შეხედეთ მზეს, რა კარ-
გიაო. ახლა წევს ლოგინში და კვნესის. ვეფერებით. არაფერს ვაკლებთ,
ის კი ჩუმად არის, თითქოს ყურადღებას არ გვაქცევს და ამით უფრო
გულს გვიცლავსო. ეჰ, კიდევ რას არ იწერება მერჯან ბიძია. ჩემო მერჯან
ბიძია, რას გეტყვი იცი, მე ქაზიმ მეჩონგურე, შენი მეზობელი, შენი კარ-
გის მდომი? დამიგდე ყური, მაგრამ რასაც აქ, ჩემთვის გულში ვიტყვი,
იმას სტრიქონ-სტრიქონ მოგწერ. იცი მერჯან ბიძია რამხელა ცოდვა ჩაი-
დინე, რომ აქედან წადი და მუჰაჯირად საღდაც დაეხეტები? ავადაა სუ-
ლო. ავადაა ხატიჯეც. უნდა ცითხრათ, ან უკეთუ ხართ შენც და ხატიჯეს
მამაც ან და ორივე უგულოები. ვერ ატყობდით ამ ყმაწვილებს ვერა-
ფერს? რატომ დადიოდნენ სულ ერთად საბანაოდ მდინარეში. რატომ
დადიოდნენ ერთად ცქინიოლში, რატომ დადიოდნენ ერთად ყანაში, რა-
ტომ ჩურჩულებდნენ სულ ერთად? რას ჩურჩულებდნენ, რა ჰქონდათ
აქდენი სალაპარაკო? ნუთუ ერთხელაც არ დაფიქრებულხართ ჩემო მერ-
ჯან ბიძია? ჰოდა, მე ქაზიმ მეჩონგურეს არაფერი გამომეპარება. კაცს
სულში ჩაეხედავ და ამოვივითხავ რას ფიქრობს, რა დარდი აქვს, რა
უხარია და რა სწყინს. ჰოდა, განა ერთხელ ჩამიხედია სულოს გულში!
განა სულ არ ვიცქირებოდი ხატიჯეს გულში. მერე რაო, მეტყვი შენ გა-
ოცებით. მერე და ის, რომ სულოს უყვარს ხატიჯე, ხატიჯეს უყვარს
სულო. ჰოდა, არ იცი შენ სიყვარული რაა? აბა, ისე ითხოვე ქალი, რომ
არ გინახავს, არ გცვარებია? თუ ასეა, ძალიან ცუდი გიქნია ჩემო მერჯან
ბიძია. წმინდა მუჰამედი ქალის დანახვას და შეყვარებას უშლიდა ვინმეს
თუ. პირიქით ამბობენ, წმინდა მუჰამედის ქალები უყვარდაო. ჰოდა, მას
თუ ქალების სიყვარული არ დაეშლებოდა, შენ ერთი ქალის სიყვარულს
ვინ დაგიშლის. ჰოდა, ნახე, შეიყვარე. შეაყვარე თავი და ისე დაქორწინ-
დი ძიავ. მთლად ხოჯას და მოლას ნუ უჯერი. ამბობენ, ქალსა და კაცს შო-
რის სიყვარული ღმერთმა დააწესაო. ჰოდა, იმას რა სჯობია, ვინც შეგიყ-
ვარდება და წაიყვან ცოლად. ვინც გიყვარს იმასთან უფრო მშვიდად არ
იცხოვრებ? მოკლა უნდა ზოგიერთი მშობელი. გოგოს ისე გაათხოვებს,
რომ ბიჭი არ უნახავს და ბიჭს გოგო არ უნახავს. რა ჩვეულებააა ეს. აბა,
ამოახრჩვე ჩადრში ქალი, არ ჰკითხო არაფერი, გაყიდე ბარემ. ამბობენ,
არის ისეთი ქვეყნები, სადაც ქალებს ჰყიდიანო, ბარემ ჩვენც შემოვიღოთ

ასეთი წესი და ვყიდოთ და ვყიდოთ ჩვენი გოგონები. ზოგიერთი მშობელი არ ჰყიდის თუ? თუ ბაზშიში არ გამოგართვა, ისე გოგოს არ მოიკვდეს. არ გეგონოს ბაზშიშად ცოტა რამე უნდოდეს. ოქროები საჭირო, ოქროები. ეჰ, რა შორს წამიღო ფიქრებმა... ჩემო სულს, ჩემო ხატულას, რომ თქვენ გიყვართ ერთმანეთი. მოკვდეს ქაზიმ მეჩონგურე, თუ თქვენ არ შეგყაროს ერთად. დავადები და მივწერ მერჯან ბიძას, რომ დაუბრუნდეს მის ოჯახს, მის სოფელს, დაუბრუნდეს თუკი სურს შვილის სიცოცხლე, თორემ ბოლოს ინანებს. მე ვწერ წერილს და მერჯან ბიძას ვუგზავნი.

წერილი მასამ

მუჰაჯირი მერჯან ბიძა თავის ძმას ხასანს ატყობინებდა:

— ჩემო საყვარელო ძმაო ხასან, უბედურება დამატყდა თავს. ჩემი გოგონა, ჩემი საყვარელი გოგონა ქვესერი გარდამეცვალა. ვაიმე, რა გლოვა გვქონდა მუჰაჯირებს! რად მინდა თავი ცოცხალი. ჩემმა მეუღლემ ცინალამ თავი მოიკლა. სულს ჰკუთხე არაა. საწყალი ჩემი სული ავადაა და როგორ უნდა აიტანოს დის სიკვდილი! ღმერთმა არ შეგვიბრალა, არავინ არ შეგვიბრალა. მაშ, არ ყოფილა ღმერთი ქვეყანაზე, თორემ რას ერჩოდა ჩვენისთანა საწყალ ადამიანებს!

წერილი მამოთხ

— ჩემო ძმაო, ხასან, — იწერებოდა მერჯან ბიძა, — ერთი წელი არაა, რაც წამოვედი მუჰაჯირად და ზედიზედ თავს უბედურება დამატყდა. როგორ გითხრა ჰო, რა ენით ვთქვა ჩემი უბედურება, ჩემი დარდი, გულში ცეცხლი მაქვს, ცეცხლი და ჩემი გული და ჯიგარი იწვის, იწვის და იხრახება ამ ცეცხლში. იტყვი, კიდევ რა დამართა ისეთი ჩემს ძმასო. ცოლი მომიკვდა ძმაო, ცოლი. ამაზე მეტი უბედურება რაღა იქნება — ჯერ გოგო მომიკვდა, ახლა ცოლი, არაფერი აღარ მინდა ამქვეყნად, არც ფული მინდა და არც სიცოცხლე. მაგრამ იმას ვნატრობ, ერთი მიმიყვანა ჩემს ქვეყანაში და იქ თუნდაც წიფლის ძირას; სადაც ცივი წყარო ჩუხ-ჩუხებს, იქ მომკლა. სიკვდილის ხანს ხომ ერთ ჩემს ცივ წყაროს დავლივე. ეს არის ჩემი ნატვრა, მეტი არაფერი მინდა...

ეს იყო და ეს, მერე შეწყდა მერჯან ბიძის წერილები. მერჯანის ძმა ხასანი ჯავრით არ იყო, ალბათ რაღაც დამართაო ჩემს ძმას, თორემ როგორ არ მომწერდაო წერილს. აქეთ ეცა, იქით ეცა, ეგებ ვინმესაგან შევიტყობ ამბავსო, მაგრამ ვერაფერი გაიგო. წარმოიდგინეთ ახლა, რა დღეში იქნებოდა ხასანი.

— ჩემო საყვარელო ბიძავ ხასან, მე აღარავინ აღარ მყავს, მხოლოდ ჩემი ძეგაა. მხოლოდ ერთი კვირაა, რაც დავსაფლავებ, აღარავინ დამრჩენია, იმედად. მეზობლებიც მიმოიფანტნენ, მე დავრჩი მარტო ამ სოფელში, სადაც ახლა ვცხოვრობ. წამოსვლას ვერ ვახერხებ, ვერც სხვა მოდის. ამბობენ, თურმე რუსის მეფეს უნდა თხოვოთ, რომ ნება დაგვრთოს ჩამოსვლაზე, ჩვენს ნებაზე წამოსვლა თურმე არ შეიძლება. აბა, რაღა ვქნა არ ვიცი, ვამიჭირდა. იძულებული ვაგხდი და ერთ მდიდარ კაცს მოჯამაგირედ დაუდექი. ასამენებელს კარგი ცოლი ჰყავს, ვეცოდები და დედასავით მეფერება, მივლის, მაჭმევს. მაგრამ ჩემს გულს რა დააწყენარებს, ჩემს დარდიან სულს რა დააშოშმინებს, ჩემს ცეცხლს, მთლად რომ მთუთქავს, რა ჩააქრობს! თუკი ბედმა არ გამწორა, და ჩემს სამშობლოს დავუბრუნდი, მე ვიცი. მე გამოვიქცევი, მე ჩამოვალ და აბა ერთი გამაგდონ ჩემი სოფლიდან.

ჩემი დიდი მოკითხვა გადაეცით ხატოებს და მის მშობლებს. ხატოებს ჩემად უთხარი, რომ მე იგი მიყვარს, მიყვარს და მეყვარება. ეს სიყვარული მე სამშობლოში მომიყვანს — მელიქოს...

წერილები... წერილები...

ყავახანაში რომ შევედი, კუთხეში შევნიშნე გულო-ალა კაიკაციშვილი და რეკებ ნიჟარაძე. კიდევ სამი ისხდნენ.

გულო-და: — კაცო, რა ვქნა არ ვიცი, მუჰაჯირების სიცოდვისგან ვიწვი. რას არ მწერენ, პირდაპირ ცრემლებს ვერ ვიკავებ. აი, ხელავთ ამ წერილებს!

და გულო-აღამ ამოიღო ჯიბიდან წერილების კონა და დედო მავი-
დაზე. ერთი წერილი გადამალა და კითხულობს:

— ჩემო გულო-აღა, საყვარელო ადამიანო, ჩვენო იმედო, კეთილო ანგელოზო. შენ არ დაგიჯერეთ და ვიღაცეებს აყყევით. შეგვაცდინეს და ავიყარეთ მუჭაჭირად, მივატოვეთ ჩვენი მამულ-დედული და სხვის ქვეყანაში გადმოვიხვეწეთ. არც სახლი გვაქვს და არც კარი, ვყრივართ მინდორში. საქმელი არ გვაქვს და სასმელი. ცოტა ფული რაც გამოგვყვა, უკვე შემოგველია. ლამის მათხოვრებად ვიქცეთ. ერთი უბედურებაც ის დამეშართა, რომ გზაში შვილი მომიკვდა. ვაიმე, ჩემო შვილო, სადღაც მინდორში დაგმარხე და მიგატოვე. აწ მისი საფლავის ნახვას ვერც ველირსები. თვალი დაუდგა ჩვენს დამღუპელს. გულო-აღა, შენ გეყუბრანე, მეზობლების სახელით, ყველა აქაური მუჭაჭირის სახელით გეხვეწები,

შენ გავლენიანი კაცი ხარ და თხოვე რუსის მეფის მთავრობას, დაგვან-
რუნოს და უკან დაგვიბრუნოს ჩვენი სახლ-კარი და მიწა. გეხვეწებოდა
საყვარელო გულო-ალა.

შენი თევრათ ცეცხლადე.

გულო-ალამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლები მოიწმინ-
და. მერე მიუბრუნდა რეჯებ ნიჟარაძეს და ვედრებით უთხრა:

— ჩემო რეჯებ, მეც შენთანა ვარ, მაგრამ შენ უნდა იკისრო თავბა-
შობა. მომისმინე. ერთი და ორი მუჰაჯირი იწერება ასე? განა მარტო ქო-
ბულეთელი მუჰაჯირები იწერებიან ასე? არა, სხვებიც, ასე გულმოსაკლავ
წერილებს იწერებიან თურმე სარფელი მუჰაჯირებიც, აჭარისწყლელი
მუჰაჯირებიც, ქედელი მუჰაჯირებიც. მაშასადამე უჭირთ მუჰაჯირებს.
სეღამილეთლები მუჰაჯირებს აშენებას ჰპირდებოდნენ, ატყუებდნენ
საზიზღრები. და აი, ხედავ, ხალხი იღუპება, ჩვენი სისხლი და ხორცია,
ჩვენებურებია. მათი სიკვდილით ჩვენ დაგვაკლდება. მათი სიცოცხლე
ჩვენი სიცოცხლეა. რა ვუყოთ მერე, რომ შეცდნენ. შეცდომა კაცს უნდა
აპატიო. ჰოდა, ვაპატიოთ ჩვენს ძმებს, შევქმნათ დელეგაცია და სათავეში
შენ ჩაუდგე. დაგწეროთ დიდი არზა და ამ დელეგაციამ მეფის ნაცვალს
მიართვას თბილისში. ქართველი პატრიოტები ჩვენ ყოველმხრივ დაგვი-
ჭერენ მხარს და მეფის ნაცვალთანაც მიგყვებიან. მე სხვა საქმეები
მაქვს, ჩემო რეჯებ, შენ უნდა იკისრო ეს საქმე. ხალხის მადლს მოიგებ.
მერე მომიბრუნდა მე და მკითხა:

— ქაზიმ, შენს სოფელში როგორ ხარო, რას იწერებიან მუჰაჯირები?
და მე მოვუყევი მათ თუ რას იწერება მერჯან ბიძია. ერთი ამოიგვ-
ნეშა გულო-ალამ და ისევ რეჯებს მიუბრუნდა.

— ჰო, ისიც უნდა მეთქვა, რომ რუსთა ხელმწიფის მოხელეებმა აჭა-
რლებს ღალატი დაგვწამეს და რამდენი კაცი ციხეში ჩააგდეს, არავინ
იცის. არზაში უნდა დავუმტყიცოთ მეფის ნაცვალს, რომ აჭარლებს არა-
სოდეს უღალატია რუსის ხელმწიფისათვის, მოგონილია ყველაფერი და
პატიმრები გაანათავისუფლონ.

— ჩემო გულო-ალა, — ეუბნება რეჯებ ნიჟარაძე, — შენთან ერთად
შევადგენთ არზას. დელეგაციის სიას მე ჩამოვწერ და განახებ.

— შენი სოფლიდან წარმომადგენელი შენ იქნები ჩემო ქაზიმ, —
მითხრა გულო-ალამ.

— კი ბატონო — ეუბასუხე მე. გამეხარდა, რომ ამხელა საქმეში
უნდა გამრიონ, უნდა ვნახო თბილისი, უნდა ვნახო ის ადგილი, ჩვენი დი-
დი პოეტები რომ ასვენია.

მოილაპარაკეს როდის და სად შეხვედრილიყვნენ პარასკევს. ალი
ჯაფარიძის ბინაზე შევხვდეთო. მე მკითხეს, თუ იცი სად არისო ალი ჯაფა-

რძის ბინა. კი-მეთქი... და დამიბარეს, პარასკევს დილით ათ საათზე შენ
იქ მოდიო. გული მიფანცალებდა, რა დიდ საქმეში ჩამრიეს-მეთქი. რას
იზამ, უნდა გაბედო, დიდი საქმეებიც უნდა იკისრო კაცმა. სასიკეთოდ
უნდა დადო თავიც, თუკი ამით რამეს დაეხმარები შენს კარგ მეზობელს,
შენს მამულიშვილს, შენს სოფელს, შენს ქვეყანას. მზად ვარ ჩემო ხალხო,
ჩემო ქვეყანავ, ქაზიმ მეჩონგურემ თქვენთვის ვიცოცხლო, თქვენთვის
ვიმღერო და თქვენთვის მოვკვდე...

(გავრძელება იქნება)

* * *

მივყვები ღელისპირს,
დამშრიალებს ურთხმელი.
რალაც სევდა შემპყრობს
ენით გამოუთქმელი.
აქ კალმახებს ვიჭერდი
თმაქოჩორა ყმაწვილი,
მაშინდელი ფიჭვები
დგანან ცამდე აწვდილი.
ოცდაათჯერ მას შემდეგ
ხეს ფოთლები დაცვივდა;
გული ამბობს — აქ შესდექ:
თავი ფიქრობს — რად გინდა!
ღელეს ცისფერს, ვით ლაყვარდს.

ახლა დავაკვირდები,
მაშინ რად არ მხიბლავდა.
კამკამი ამ ზვირთების
და ტყეების მშვენება —
ფოთლები და ჩიტები.
მაშინ რად არ მატკობდა
ჩხრიალი ამ წყაროთა?
ნორჩი ბიჭი რომ ვიყავ,
რატომ არ მიხაროდა?
მივყვები ღელისპირს,
დამშრიალებს ურთხმელი.
რალაც სევდა შემპყრობს
ენით გამოუთქმელი.

1976 წლის 24 იანვარი

ღამეა. დარდი ცეცხლად მედება.
ვცდილობ, სხვა კარგი ვიფიქრო რამე,
და ოხვრით ვამბობ — აღარ თენდება
ეს დანისლული, პირქუში ღამე!
გარეთ კი თოვლად ჩამოდის ზეცა,
ტყე გალურსულა წელგადრეკილი;
თოვლის სიმაღლე შეაკრთობს მხეცსაც,
მძიმე თოვლის ქვეშ ქმინავს ხეხილი.
ამ ყიამეთში სახლიდან წახველ,
უკან არასდროს არ დაბრუნდები,

ობობასავით ფიქრის ქსელს ვარხევ,
მაწევს ფიქრების აბლაბუდები.
მიწა დაგყურებს ახლა მაღლიდან,
ბნელში ხარ, აწი ვერ ნახავ ნათელს,
შენ დღეს, სალამოს წახველ სახლიდან
და პირველ ღამეს მიწაში ათევ.
ღილით მეზობელს აღარ გასძახი,
აღარ მოისმის ტკბილი სალამი,
კიბესთან გღია შენი ნაჯახი,
დადუმებულა შენი მარანი.
აღარ პატიეებ სახლში ძმა-ბიჭებს,
ვანშამზე სახლში აღარ გელიან.
თუმცა ოთხმოც წელს გადაბიჯე,
მამის სიკვდილი მაინც ძნელია!
იყავი სოფლის დიდი ნუგეში,
ჭირში და ღვინში კაცი ქებული
და ამ ცხოვრების მძიმე უღელში
ნიშა ხარივით იყავ შებმული.
იყავ მთიბველი, მეხრე, ტყისმჭრელი,
ნევენახე და ხორბლის მთესველი;
შენ შვილიშვილის შვილსაც მოესწარ,
მიწაში გიდგას მუხის ფესვები.
მუდამდღე ბედმა ჯაფა გარგუნა,
და გეძახოდნენ მაინც იღბლიანს;
წისქვილის ბორბალს ერთ თვეს აბრუნებს,
რაც შენ სათიბში ოფლი გიღვრია!
ოცნებით გხედავ: ტყიდან მოდიხარ,
ტანზე მუშლი გაქვს ეკალ-ქაცვების,
ხან სასაფლაოს მაღალ გორიდან
შენს კარ-მიდამოს უხმოდ გასცქერი.
დასჩერებიხარ უწერის ტყეებს,
სადაც დაკაცილი ბიჭი ფეხმარდი,
სად ცულით ჭრიდი სატივე ხეებს,
სადაც ფიცრებად მორებს ხერხავდი.
ახლა ღამეა. ცეცხლად მედება
დარდი და ვცდილობ, ვიღონო რამე.
ლექსი მთავრდება, მძიმედ თენდება
თოვლში ყელამდე ჩაფლული ღამე.

ამიან შაკვაშიძე

ს ა რ ლ ის კ ა რ ა ვ შ ი

სმოლენსკის ამბებმა ნაპოლეონი დააწმენა, რომ მას უჩვეულო მტერთან ჰქონდა საქმე. იგი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მხედართმთავარმა უნდა გაითვალისწინოს არა მარტო სამხედრო და ეკონომიური პოტენციალი, არამედ სხვა ფაქტორებიც, უმთავრესად ეროვნული თვისებები და ხასიათი იმ ხალხისა, რომელსაც ებრძვი.

ნაპოლეონმა კი თავიდანვე ვერ გაითვალისწინა, რომ მას საქმე ექნებოდა არა მარტო მოწინააღმდეგის მხედრობასთან, არამედ ხალხთანაც, რომლის დაპყრობასაც იგი აპირებდა. მხოლოდ ესპანეთსა და რუსეთში წააწყდა იგი ნამდვილ სახალხო ომს. და ნაპოლეონმა ნათლად შეიგნო, რომ თუ კარგად არ იცნობ სულიერ სამყაროს, ზნეჩვეულებას, ძალასა და შესაძლებლობას იმ ხალხისა, რომელსაც ებრძვი, წარმატების ნაცვლად დაღუპვა გელის.

საფრანგეთის არმიის შტაბში თითქმის ყველაფერი იცოდნენ რუსეთის ორივე არმიის მთავარსარდლების ურთიერთობის შესახებ. იცოდნენ, რომ ბაგრატიონი და ბარკლაი-დე-ტოლი ერთმანეთს ვერ იტანდნენ, რომ ბარკლაი-დე-ტოლის შეცვლას ითხოვდა ყველა.

— აღვილი შესაძლებელია ბაგრატიონი დაინიშნოს რუსეთის გაერთიანებული არმიის მთავარსარდლად და იგი იომებს მისებურად. ეს კი ძლიერ ძვირად დაგვიჯდება ჩვენ... იგი ის ბაგრატიონია, რომელსაც ოცი ომი და ასორმოცდაათი ბრძოლა აქვს გადახდილი, — მარშალ ბერტიეს ეს სიტყვები ყურადღებით მოისმინა მარშალმა დავუმ და აღვილად მიხვდა, რომ ბერტიეს რაღაც გეგმა ჰქონდა შედგენილი ბაგრატიონის წინააღმდეგ. როდესაც ბერტიეს გეგმას გაეცნო, ჯერ აღშფოთდა კიდეც, მა-

გრამ ბერტიემ დაარწმუნა, რომ მისი გეგმა ბაგრატიონის თავიდან მოშორების ერთადერთი საშუალება იყო.

— თქვენ მართალი ხართ, — უპასუხა დავუმ ბერტიეს, ერკუნულში
ხატავდნენ ჩვენ არ შეგვფერის ასეთი საშუალებით გავანადგუროთ ჩვენი ღირსეული მოწინააღმდეგე. ეს რომ გაიგონ, საქვეყნოდ თავი მოგვეჭრება.

— ჩვენ რა შუაში ვართ. საქმე ისე მოეწყობა, რომ თვითონ ბაგრატიონის მეუღლე იქნება თავისი ქმრის დამამხობელი.

— მაინც არ ვარგა. ეს მაინც ჩვენი ხელშეწყობით უნდა მოხდეს და განა საკადრისია ჩვენთვის, ასეთი დამამცირებელი მოქმედებით გავუსწოროდეთ მტერს? რატომ გავიწყდებათ, რომ ჩვენ ფრანგი მეომრები ვართ, ფრანგები ყოველთვის განთქმული იყვნენ თავისი რაინდობითა და ვაჟკაცობით.

— მე ერთხელ კიდევ მოგახსენებთ, რომ ამ საქმეში ფრანგი მეომრის სახელი სრულებითაც არ გამოჩნდება... და ერთხელ კიდევ გარწმუნებთ, რომ ცოლი გაუსწორდება ქმარს... აი, ყველაფერი.

— თუკი ასეა, რა გაეწყობა? — უპასუხა დავუმ ბერტიეს და ამ დროს მოისმა ეტლის ზარების ქლარუნი, რომელიც მალე შეწყდა. ეტლი სახლის სადარბაზოსთან შეჩერდა. იგი მტვერითა და ტალახით იყო დასვრილი, ეტყობოდა შორი გზა გამოეწვო. ეტლიდან გადმოვიდა არაჩვეულებრივად ლამაზი, დიდებული ქალბატონი, იგი მაშინვე იცნეს ბერტიემ და დავუმ. ეს იყო ელისაბედ პავლეს ასული ბაგრატიონი, რომელიც უმაღლეს ბერტიეს კაბინეტში მიიპატიეს.

ელისაბედს განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით შეხვდნენ ბერტიე და დავუ.

— ო, თქვენ უწინდებურად მშვენიერი და თვალწარმტაცი ბრძანდებით ქალბატონო! — თქვა და თავაზიანად შეეგება ბერტიეს საპატიო სტუმარს. მარშალი ქალს განსაკუთრებული პატივისცემით ეამბორა ხელზე, ასევე მოიქცა დავუ.

— თქვენი ჩამოსვლით ჩვენს ბანაკს შუქი მოეფინება! — მისთვის ჩვეული სიდარბაისლით მიმართა მარშალმა დავუმ ელისაბედს.

— ო, თქვენო ბრწყინვალეებო! — ისეთი ტონით წარმოთქვა ელისაბედმა, თითქოს ამბობდა: „არ ვარ ასეთი ქებოს ღირსიო“.

— თქვენ ზუსტად დათქმულ დროს ჩამობრძანდით. რა ისმის ვენაში? — შეეკითხა ბერტიე.

— ყველას ყურადღება აღმოსავლეთისაკენაა მიპყრობილი, ჩემი გამოგზავრების დღეს მთელმა ვენამ შეიტყო მისი უდიდებულესობის მიერ ვიტებსკის დაკავება.

— მე გავიგე, რომ თქვენ ჯერ კიდევ ბაგრატიონის ჯვარს ატარებთ, როგორც მისი მეუღლე.

— დიახ! ბაგრატიონის კანონიერი მეუღლე ვარ, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, უკვე კარგა ხანია ჩემი რეზიდენცია ვენასა და ჰაოინში გახლავთ!

— ამგვარად, თუმცა რუსეთის ქვეშევრდომი, მაგრამ ჩემი იმპერატორის ქვეყნის მოქალაქე ბრძანდებით. — ბერტიემ თვალები ჯერ ჭერს მიაპყრო, შემდეგ მოულოდნელად მოუბრუნდა ელისაბედსა და სემპარავად შეეკითხა. — მითხარით, მშვენიერო ქალბატონო, თქვენ ბედნიერი ხართ?

— მე ბედნიერი ვარ თქვენი ბრწყინვალეების ყურადღებით... რომ რუსეთში გამგზავრების საშუალება მიძლევა... რომ თქვენი შემწეობით საშუალება მექნება მოვხვედე ბაგრატიონის არმიის ბანაკში.

— მე სულ სხვას გეკითხებით, გიყვართ ბაგრატიონი?

— მე მის სახელს დიდად ვაფასებ, გარდა ამისა იგი ჩემი მეუღლეა.

— ამ დიდი სახელის მქონე ადამიანის კარგად ყოფნა თქვენს ინტერესებსაც შეადგენს, არა?

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეებ!

ბერტიე წელში გაიმართა, მაგიდაზე თითები აათამაშა, თავი მაღლა ასწია, ჭერს თვალი შეავლო და შემდეგ დამრიგებლური ტონით დაიწყო:

— დღეს თუ არა, ხვალ რუსეთს დააჩოქებს ჩვენი ძლევაგამოსილი არმია. როცა სახელმწიფო იღუპება, პირველ რიგში მისი მხედართმთავრები ნადგურდებიან. ჩვენ სრულებითაც არ გვინდა, ჩვენი იმპერიის ერთი უმშვენიერესი ქალბატონთაგანი დაქვრივდეს და ისიც ჩვენი მახვილით. თქვენ შეგიძლიათ თავიდან აიცილოთ უბედურება, ეს თქვენზეა დამოკიდებული!

— მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ თქვენი ყურადღებით, მაგრამ მაოცებს თქვენი ასეთი თავგამოდება თქვენივე მოწინააღმდეგის სასარგებლოდ!

ბერტიეს არ მოეწონა ელისაბედის ნათქვამი და პირდაპირ საქმეზე გადავიდა, სათქმელი თითქმის მჭკპრით დაიწყო.

— ნუთუ თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით, მშვენიერო ქალბატონო, რომ თქვენი კავშირი ავსტრიის კანცლერ მეტერნიხთან ალტაცებაში მოიყვანს რუს პატრიოტებს?

ელისაბედი შეკრთა და უნებურად აღმოხდა მხოლოდ ორად-ორი სიტყვა:

— თქვენო ბრწყინვალეებ!

— თქვენ ეს-ეს არის ჩამობრძანდით ვენიდან და ამიტომ თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ გრაფმა მეტერნიხმა ავსტრიელთა ოცდაათი-თასიანი კორპუსი გამოჰყო შვარცენბურგის მეთაურობით რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ელისაბედმა ნებისყოფა მოიკრიფა და ახლა იგი თვითონ გადავიდა მეტევაზე.

— თუ მეტერნიხი ოდესღაც ჩემი სალონის ხშირი სტუმარი იყო, მაშინ სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მე სამშობლოს მოღალატე ვარ. როგორც ვატყობ, თქვენი ჭურვილია, ბაგრატიონი ჩემი შემწეობით ჩამოაშორეთ რუსეთის არმიას.

ბერტიეს ძლიერ არ ესიამოვნა, რომ ელისაბედი მიუხედა საწადელს და ახლა უკვე სულ სხვა მხრიდან შეეცადა თავისი განზრახვის განხორციელებას.

— მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ბაგრატიონს შესთავაზოთ ასეთი შეურაცხყოფელი გამოსავალი. ერთადერთი, რაც თქვენ შეგიძლიათ და ვალდებული ხართ გააკეთოთ, ეს არის, დაიცვათ თქვენი მეუღლე, არმიისა და იმპერატორის სახლისაგან, არმიაში იგი მეორე რიგში ჰყავთ, მეფის კარზე არ აფასებენ... მას, ეს ჩვენ კარგად ვიცით, უწოდებენ აზიელს, უცოდინარ მჩხეაქს და სხვა მრავალ ასეთ დამამცირებელ მეტსახელს. ასე ეპყრობიან პეტერბურგის სასახლის კარზე გამოჩენილ მხედართმთავარს, რომელიც თავისი სახელით ამშვენებს მთელი ევროპის სამხედრო მოღვაწეთა პლეადას. ეს კი, ჩვენთვის, როგორც სამხედრო პირებისათვის, ფრიად საწყენია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ და თქვენი მეუღლე მოწინააღმდეგენი ვართ.

— ბაგრატიონმა ყველაფერი ეს ჩინებულად იცის, მაგრამ თავის ვალს, როგორც რუსეთის არმიის მხედართმთავარი, ბოლომდე შეასრულებს.

— მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მწვავედ აგრძნობინოთ ბაგრატიონს, რომ მას შეურაცხყოფენ და ამცირებენ. იგი მაშინ უფრო აქტიურად დაიცავს თავს და სულ მალე შესაფერ ადგილსაც დაიკავებს თავის სამშობლოში. თქვენ, როგორ ფიქრობთ, გრაფ?

ბერტიე მრავალნიშვნელოვნად შეეკითხა დავუს და ელისაბედისაგან დაფარულად თვალი ჩაუკრა მას.

— ამის შესახებ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ზედმეტია შეეკითხოთ ცოლიან კაცს; „ჰკვიანი და ღამაზი ცოლი ადვილად შესძენს ხოლმე ქმარს როგორც მეგობრებს, ისე მტრებს“.

დინჯად უპასუხა დავუმ.

ბერტიე კი კვლავ შემპარავი ხმით შეეკითხა ელისაბედს.

— ცნობილია თუ არა თქვენთვის, ქალბატონო, ასეთი სახელი: ეკატერინე პავლეს ასული?

ამ სახელის გაგონებაზე ელისაბედი შეკრთა და სახე გაუფითრდა.

— იმპერატორ ალექსანდრეს და, პავლე პირველის ქალიშვილი?..

— იგი ძალიან დაახლოვებულია ბაგრატიონთან, თქვენს მეუღლეს-

თან... და ეს როგორც პეტერბურგში, ისე პარიზშიც არავისთვის სარგებ-
ლობას არ წარმოადგენს.

— კი, მაგრამ იგი უკვე ვიურტემბერგის კრონპრინცის პიტიმ-
ლავთ. — თავის დასამშვიდებლად წარმოთქვა ელისაბედმა. თუმცა სინა-
მდვილეში ეჭვის ჭია უღრღნიდა გულს.

— მით უფრო საწყენი და შეურაცხყოფელი უნდა იყოს თქვენთვის
მათი ასეთი დაშოკიდებულება. პეტერბურგის კარისაგან თქვენი ძეგულის
ჩამოშორებით შეგიძლიათ სამაგიერო გადაუხადოთ თქვენს მეტოქეს.

— ყველაზე ძვირფასი გენერალ ბაგრატიონისათვის სამშობლოს ინ-
ტერესებია... და ამიტომ...

— ყველაზე მაღლა ღირსება და თავმოყვარეობა დგას, გენერალ ბა-
გრატიონს ერთიც და მეორეც შეუღლებს.

ელისაბედს სიბრაზისაგან მთელი ტანი აუცახცახდა, მაგრამ თავი შე-
იკავა და დაშვიდებული ხმით უბასუხა, თუმცა მისი თვალები ცეცხლს
აფრქვევდნენ.

— გავბედვ და მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ თქვენ
არ გეკადრებათ ასე გაჰკილოთ ის ადამიანი, რომელიც, თქვენივე სიტყვე-
ბით რომ ვთქვათ, თავისი სახელით ამშვენებს მთელი ევროპის სამხედრო
მოღვაწეთა პლეადას. რაც შეეხება რუსეთს, მას ძლიერ უყვარს თავისი
სახელოვანი შვილი, რუსეთის არმიისათვის ბაგრატიონი უსაყვარლესი
სარდალია.

— ეს ჩვენც კარგად ვიცით... ჩვენ გვინდოდა გვეთქვა, რომ...

— თქვენ უკვე თქვით რაც გინდოდათ. და თქვენი ნათქვამი ძლიერ
მაოცებს. ნუთუ გჯერათ, რომ რუსეთი ბაგრატიონს არ აფასებს?

— კი, ეს ასე არის... ჩვენთან კი ასეთი მხედართმთავარი პირველი
იქნებოდა მარშალთა შორის და მეფედ დავსვამდით ევროპის ნებისმიერ
სახელმწიფოში.

— მისი მეუღლე კი პირველი მარშლის მეუღლე და დედოფალი იქ-
ნებოდა, — დაუმატა ბერტიემ.

— თქვენ მე საგონებელში ჩამავდით.

— ესე იგი, რაც შეეხება მთავარს, ჩვენ უკვე შევთანხმდით. დანარ-
ჩენზე მისთვის ჩვეული თავაზიანობით გაირჩება ნეფშატის თავადი მარ-
შალი ბერტიე.

ისე წარმოთქვა მარშალმა დავუმ ეს სიტყვები, რომ გეგონებოდათ
საქმე უკვე მოგვარებულიყო. მარშალმა ბერტიემ კი საწერი მაგიდის უკრა
გამოაღო, შუშის პატარა ფლაკონი ამოიღო და ელისაბედს გაუწოდა.

— საყმარისია სულ ოთხი წვეთი გაუროთ ღვინოში, ან რაიმე კერ-
ძში და ბაგრატიონი სიზმარში ხმამაღლა გადმოალაგებს თავის გულის-

ტკივილს. და თქვენ მაშინ, მშვენიერო ქალბატონო, დარწმუნდებით, რომ მას კავშირი აქვს იმპერატორ პავლეს ასულთან და გაგიყვებით უეცრად იგი... რომ მან სხვას უანდერძა მთელი მისი...

— გაჩემდით, ღვთის გულისათვის! — უნებურად შეჰყვირა ელისაბედმა, — ნუთუ აქამდე დაეცით, რომ ასე ლაჩრულად გინდათ გაუსწორდეთ მოწინააღმდეგეს და ისიც ჩემი შემწეობით?!

— ეს კი უკვე მეტისმეტია! — თითქმის წამოიყვირა დავუმი.

— რატომ გვაყენებთ შეურაცხყოფას, მაშინ, როდესაც ჩვენ თქვენთვის მხოლოდ სიკეთე გვინდა. — უკმაყოფილო ტონით მიმართა ელისაბედს მარშალმა ბერტიემ და სახეზე აღმუჩი მოედო.

ელისაბედი დაიბნა და შიშნარევი ხმით შეეკითხა მარშლებს:

— რა არის ეს? — მიუთითა წამლის ფლაკონზე.

— ინდური სასწაული. — უპასუხა ბერტიემ.

— საწამლაგია. — მტკიცედ მოუჭრა ელისაბედმა.

— როგორ გეკადრებათ. ნუთუ შარავნის ყაჩაღებად გვთვლით. ეს ხომ სასწაულომოქმედი წვეთებია... საკმარისია მხოლოდ ოთხი წვეთი და ადამიანი ძილში ხმამაღლა ამოალაგებს თავის გულში ნადებ სურვილსა და მიზნებს...

ბერტიეს სიტყვა შეაწყვეტინა ელისაბედმა და გადაჭრით უთხრა:

— არ მჯერა, საწამლაგია, ნამდვილად საწამლაგია!

გულმოსულმა ბერტიემ რამდენიმე წვეთი ჭიქაში ჩაასხა ფლაკონიდან, წყალი შეურია და გადაკრა. ფლაკონი კი ისევ უჭრაში ჩადო. ელისაბედი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და იმ წუთშივე ბოდიში მოიხადა.

— მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, თურმე ვცდებოდი. თუ შეიძლება, მიბოძეთ ეგ წამალი.

ბერტიემ იმ წამსივე გამოაღო უჭრა, ამოიღო ფლაკონი და გაუწოდა ელისაბედს, რომელმაც ფლაკონი თავის რედიკიულში შეინახა.

— დარწმუნებული ვარ, ჩვენს შორის ინციდენტი ამოწურულია და მეგობრებად დავრჩებით? — ტკბილი ხმით შეეკითხა ბერტიემ.

— ო, თქვენო ბრწყინვალეზავ! მაპატიეთ! — მორცხვად წარმოთქვა ელისაბედმა და თავი დახარა.

— ამ საღამოსვე გაგამგზავრებთ. ბაგრატიონის ბანაკამდე სულ რაღაც ოცდაათი ვერსია. ახლა კი, ცოტახნით მოისვენეთ, სადილზე დაგესწრებით მე და მარშალი დავუ. თანახმა ბრძანდებით, ქალბატონო?

— მოხარული ვიქნები, ბატონებო!



სიცხე იყო, პაპანაქება.
 მალღობზე, ბაგრატიონის კარვის მახლობლად, დიდი ხის ქვეშ
 წამოწოლილი ჯარისკაცები დაბალი ხმით მღეროდნენ.

კარავიდან ბაგრატიონი გამოვიდა. იგი უმუნდიროდ იყო, პერანგის
 ამარა, გულგაღებლი. ქუსლებჩაყეცილი ფეხსაცმელი ეცვა. სარდალს
 ეტყობოდა, რომ დიდხანს მუშაობდა და მოთენთილობის დასაძლევად რა-
 მდენჯერმე გაიზმორა, ხელები არწივის ფრთებივით გაშალა, შემდეგ
 მუხლებზე ჩაიყვია და მარდად წამოდგა. ჯარისკაცებმა თვალი მოჰკრეს
 საყვარელ სარდალს, სიმღერა შეწყვიტეს და სმენაზე დადგნენ. ბაგრა-
 ტიონმა გულკეთილად გაუღიმა ჯარისკაცებს, ხელით ანიშნა, დამსხდარი-
 ყვნენ და ახლოს მივიდა მათთან.

— დასხედით, ძმებო! მეც თქვენთან ჩამოვჯდები ცოტა ხნით. წინა-
 აღმდეგი ხომ არ იქნებით, არწივებო? — ბაგრატიონმა თავისი ძველი
 თანამებრძოლი ჯარისკაცები შეამჩნია და ახლა მათ შეეკითხა. — შენ
 რას იტყვი, პახომ, შენც, ვასილ, ჩემო ძველო მეგობრებო?

— პირიქით, თქვენო ბრწყინვალეზავ, ბედნიერად ჩავთვლით თავს. —
 სხაპასხუებით უპასუხეს ჯარისკაცებმა. ვილაცამ პატარა ნოხი მოიტანა და
 ბაგრატიონს დაუგო.

— არა, ნოხი არ მინდა, ჩემო ძვირფასო, ასე ჯობია, — ბაგრატიო-
 ნი ჩრდილში წამოწვა გვალვისაგან გადამწვარ ბალახზე და ერთხელ კი-
 დევ სიამოვნებით გაიზმორა. ირგვლივ ჯარისკაცები შემოუსხდნენ და ის-
 ეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ადვილად შეიძლებოდა ყოველი მათგანის
 გულისძგერის მოსმენა.

— ვასილ, მე მიყვარს შენი ჩიბუხით თუთუნის გაბოლება. ხომ არ
 დაიშურებ ჩემთვის? ერთხელ გავაბოლებ, ძველო მეგობარო!

ვასილი მარდად წამოდგა, ჩიბუხი ამოიღო ჯიბიდან, მერე სათუთუ-
 ნეც, ჩიბუხი თუთუნით გატენა და ბაგრატიონს გაუწოდა. — თქვენო
 ბრწყინვალეზავ, ინებეთ! — იმავე წუთს ყოველი მხრიდან კვესაბედის
 ჩხაკუნის გასმა და მალე ათამდე ხელი ერთიმეორეს ეცილებოდა ანთებუ-
 ლი აბედიტ... ბაგრატიონმა ჩიბუხი გააბოლა. კვამლის რგოლებს ბავ-
 შვური სიხარულით უშვებდა. მან ალერსიანად მიმართა ჯარისკაცებს, რო-
 მლებიც სარდალთან ასე ახლოს ყოფნის გამო უხერხულად გრძნობდნენ
 თავს.

— რა მოხდა, ძმებო, რატომ გაჩუმდით? ნუთუ სიცხემ დაგიკარგათ
 სიმღერის გუნება?

პახომი წამოდგა, ჩაახველა, გასწორდა და ისე მიმართა ბაგრატიონს.

— იტყვიან ხოლმე, თქვენო ბრწყინვალეზავ, არის ქვეყანა, რომელ-

საც აფრიკას ეძახიან. და იქ ასეთ სიციხეში, თურმე, ბოდიშს ვაძლევდნენ დაშობილად დადიანს. არის თურმე კიდევ სხვა სახელმწიფო, მგონი პიმ-პანეთს ეძახიან, ამბობენ რომ იქაც არ გრილა.

პახომი ისეთი უშუალოებით და ისეთი ეშმაკური ღიმილით ლაპარაკობდა, რომ ბაგრატიონს უნებურად გაეცინა, ჩამქრალ ჩიბუხს დახედა და ისე უპასუხა:

— შენ მართალი ხარ, ჩემო პახომ... ესპანეთში არ გრილა, იქ ახლა სიციხემ დააჭირა, მეტადრე ფრანგებს. ესპანელები სისხლსა და ოფლს აღენენ ბონაპარტეს განწირულ ჯარებს.

— აი, ჩვენც რომ ასეთი დღე დავაყენოთ... თორემ გული მეტს ველარ აიტანს ამდენ უკანდახევას, თქვენო ბრწყინვალეზავ.

ალაპარაკდნენ ჯარისკაცები და ბაგრატიონს ძალზე ეამა, რომ ისინი ასეთი საბრძოლო სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი.

— ჩემო არწივებო, უკანდახევასაც ბოლო მოეღება, ბარკლაის ნაცვლად კუტუზოვი გვყავს. — კმაყოფილებით წარმოთქვა ბაგრატიონმა.

— ჩვენ გვეგონა, თქვენ იქნებოდით, თქვენო ბრწყინვალეზავ! — ღიანიხლოთ თქვა პახომმა.

— ო, არა, კუტუზოვი ჩვენი მეგობარია, იმან კარგად იცის, თუ სად დევს გამარჯვების გასაღები. — დამამშვიდებლად უპასუხა ბაგრატიონმა.

— ეს კი გადაწყვეტილი საქმეა. ხიშტებით მოვსინჯავთ ურჯულოების მუნდირებს. — ხმამაღლა წამოიძახა გათამამებულმა პახომმა.

— კი, კონდახსაც არ დავაკლებთ. — დუმატა ვასილმ.

— კონდახით, ტყვიით, ყუმბარით, ხიშტით, ყველაფრით, რითაც კი შეძლებთ, — შეაგულიანა ბაგრატიონმა გამოცოცხლებული ჯარისკაცები.

— დიდება შენ, ღმერთო. მოვესწარით ნანატრ დღესაც, თორემ სული წაწყმედამდე მივიდა, — ამოიოხრა გრძელწვერა ჭაღარა ჯარისკაცმა.

ბაგრატიონმა აღერსიანად გადაავლო თვალი თავის დევგმირ მეომრებს და გული სიამაყით აევსო, შემდეგ მზერა შეაჩერა პახომზე, რომელიც თვითონ პეტრე ბაგრატიონის სახელობის ეგერთა პოლკის ძველი ჯარისკაცი იყო.

— პახომ, ძვირფასო, გახსოვს—სუვოროვთან ერთად? გახსოვს პრაღა, იტალია, შვეიცარია, შენგრაბენი, პრეისიშ — ეილაუ, სილისტრია, ფინეთი, შვეცია, ალანდის კუნძულები? კარგი დრო იყო პახომ, რას იტყვი, ა?

ღიმილით შეეკითხა ბაგრატიონი და აღერსიანი თვალებით შეაქყერდა. სარდლის ასეთი ყურადღებით გახალისებულმა პახომმა მკერდზე ჩამოკიდებულ მედლებს ხელი გადაუსვა და უმაღლეს უპასუხა.

— მაშინ თქვენთან ერთად, თქვენო ბრწყინვალეზავ, გამარჯვების მეტს არაფერს ვაკეთებდით. არმიამი, სადაც თქვენ იყავით სარდლად, მუდამ დიდებით მოსილნი ვიყავით და ახლაც უძლეველთა და გამარჯვე-

ბულთა შარავანდედით შევიმოსებით, ჩვენი იარაღი თქვენი ხელმძღვანელობით მუდამ ბასრი და მრისხანეა.

უცებ ყველას ყურადღება მიიპყრო ბაგროვმა, რომელიც ვიღაც არისტოკრატიული შეხედულების ქალთან ერთად მოდიოდა ბაგრატიონის სასახლეში. როცა ისინი საკმაოდ მოახლოვდნენ, ბაგრატიონი ფეხზე წამოდგა და შესახვედრად გაეშურა. კარავთან ისინი ერთმანეთს შეხვდნენ.

— თქვენო ბრწყინვალეებავ, ეს ქალი... — დაიწყო ბაგროვმა, მაგრამ ქალმა სიტყვა შეაწყვეტია.

— არ უნდა... მე თვითონ... — თქვა ქალმა და ბაგრატიონს მიუახლოვდა.

— დაგეტოვებ მარტო... — უბრძანა ბაგრატიონმა თავის ადიუტანტს და ბაგროვი იმ წუთშივე მოშორდა იქაურობას.

— ეს იყო თორმეტი წლის წინათ... ღმერთო ჩემო, რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ქალმა და განაგრძო. — ჰო, თორმეტი წლის წინათ ერთმა ახალგაზრდა კაცკასიელმა, სახელგანთქმულმა გენერალმა, მეფის კაპრიზების შემწეობით, ჯვარი დაიწერა პეტერბურგის ულამაზეს ქალიშვილზე... ჩემი აზრით თქვენ ძალიან გავხარო იმ გენერალს.

— პეტერბურგში, თორმეტი წლის წინათ... — გაიმეორა ქალის სიტყვები ბაგრატიონმა და შემდეგ თითქოს რაღაცა გაახსენდაო, ცნობისმოყვარეობით დააქერდა ქალს, რომელსაც სახეზე შავი ვუალი ჰქონდა ჩამოფარებული და განაგრძო. — ჰო, იქ მაშინ ერთმა ლამაზმა და მეტად ცბიერმა წარჩინებული გვარის ქალიშვილმა სასახლეში გზა გადაუჭრა გენერალს, გაეცნო და თავი შეაყვარა... შემდეგ კი იგი ეშმაკებმა გადაიბირეს და შეყვარებულს სიცოცხლე გაუშწარა... ჯიუტი და ახირებული მეფის ბრძანებით ის ქალიშვილი მაინც ცოლად გაჰყვა იმ გენერალს, რომელსაც თავის დედასთან ერთად ჯოჯოხეთი აგემა და ისინი დაქორწინების პირველსავე დღეებშივე გაშორდნენ ერთმანეთს. ჰო, მას შემდეგ თორმეტმა წელმა განვლო...

— პოტრ ივანოვიჩი! — წამოიძახა ქალმა და სახიდან ვუალი მოიხადა.

— ელიზავეტა პავლოვნა?! — თითქმის შეჰყვარა გაოცებულმა ბაგრატიონმა და მიუხედავად იმისა, რომ თორმეტმა წელმა განვლო, მან მაინც იცნო ელისაბედი, რომელიც ახლა უფრო ლამაზი და უფრო მომხიბვლელი მოეჩვენა. ბაგრატიონმა ელისაბედი კარავში მიიპატიჟა. მალე ჯარისკაცებმა მისი ბარგიც მოიტანეს და ცოლქმარი ფართო კარავში უხერხულობის გამო თავს ვიწროდ გრძნობდნენ.

— როგორ გამოცვლილხართ, თავადო პეტრე! მაგრამ ახლა უფრო მომწონხართ. — თამამად წარმოთქვა ეს სიტყვები ელისაბედმა და ისეთი თვალებით შეხედა ბაგრატიონს, რომ მას უმაღლესი გაახსენდა, თვალნათ-

ლივ წარმოიდგინა ქორწინების პირველი დღეები, როცა აიღო სილამაზის ციხე-სიმაგრე და მთელს პეტერბურგში განთქმული ულამაზესი ქალიშვილი მისი მონა-მორჩილი გახდა.

ქალის
უკეთესობა
გინებლობა

ელისაბედი ახლა უკვე ოცდაათი წლის იყო, იგი დასრულებული, დაქალბებული, უფრო ლამაზი, უფრო თვალწარმტაცი გამხდარიყო და ეს მზეთუნახავი ქალი თუმცა ანდამატივით იზიდავდა, ბაგრატიონს თავი ისე ეჭირა, თითქოს მის ირგვლივ არაფერი მომხდარო, მაგრამ ძარღვებში სისხლი შადრევანივით უჩქეფდა.

— ძვირფასო, სად შეიძლება ტანსაცმელი გამოვიცვალო? — თქვა და ელისაბედმა ისეთი ღიმილით შეხედა ბაგრატიონს, რომ რკინასაც დაადნობდა.

თითქმის თავბრუსხვეული ბაგრატიონი გონს მოვიდა და იმ წუთშივე აბრეშუმის ფარდა დაიღია კარვის კუთხეში.

— აი აქ. — ბაგრატიონმა ფარდის უკან მიუთითა.

ელისაბედმა თვალი გადაავლო თავის ბარგს, ბაგრატიონი მიუხვდა და შეეკითხა.

— რომელი?

— აი ეს. — უპასუხა ელისაბედმა და ტყავის დიდ ჩემოდანზე მიუთითა.

ბაგრატიონმა ჩემოდანი ფარდის უკან მიიტანა და ელისაბედიც თან მიჰყვა. ბაგრატიონი უკან გამობრუნდა, სკამზე ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ფიქრს მიეცა. ცოტა ხნის შემდეგ ელისაბედი ფარდის იქიდან გამოვიდა; ტანთ გამოეცვალა, ოქროთი და ბრილიანტებით შემკული, ძვირფას კაბაში გამოწყობილი ქალღმერთივით წამოადგა თავზე ბაგრატიონსა და ალერსიანი ხმით შეეკითხა.

— რამ ჩაგაფიქრათ, თქვენო ბრწყინვალეებ?

— მე მაინც ვერ გამიგია, როგორ მოხდა, რომ გაგახსენდით და ისიც ასეთ დროს? — თითქოს უნებურად წამოცდაო ბაგრატიონს და თვალი აარიდა ელისაბედს, ცდუნებასავით რომ აღმართულიყო მის წინაშე.

— თავადო პეტრე... მეგობრობა ასეთ დროს უნდა...

— მეგობარი თორმეტ წელიწადში მხოლოდ ერთხელ გაგახსენდათ? ანდა რა მეგობარს ეძებთ სამშობლოს დამცველთა შორის რუსეთის მტრებით სავსე ვენისა და პარიზის სალონების პატრონი?

— ო, პეტრე, თავადო პეტრე, თქვენ თურმე სრულებითაც არ გამოცვლილხართ... მერწმუნეთ, ჩემო ძვირფასო, მე მინდა სამუდამოდ დაგიბრუნდეთ! მე მინდა ბოლო მოეღოს ყველა უსიამოვნებას, რაც ჩვენს შორის არსებობდა ამ თორმეტი წლის მანძილზე. შეიდი წლის წინათ, როდესაც თქვენ ავსტრიაში ბრძანდებოდით კუთუზოვთან ერთად, კუთუზოვი ეწვია ვენას. იგი იყო სასახლეშიც, სადაც თქვენც მოგელოდნენ,

მეც გელოდით, ო, როგორ გელოდით, ჩემო ძვირფასო, თავად პეტრე!
მაგრამ თქვენ არ ინებეთ მობრძანება, იქნებ ამის მიზეზი მე ვიყავი, მე,
რომელიც ისე მოუთმენლად გელოდით ვენაში და ვფიქრობდით, რომ
ლდებოდა ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი... მაგრამ იმის გამო, რომ
ასე მოიქცეთ, მე დავრწმუნდი, რომ აღარ გაინტერესებდით, რომ თქვე-
ნთვის აღარც კი ვარსებობდი. მე კი... მე კი საშინლად ვღელავდი, როცა
გავიგე, რომ თქვენ მცირერიცხოვანი არიერგარდის უფროსად დაგნიშნეს
მრავალრიცხოვანი მტრის ჯარების წინააღმდეგ, რათა დაგეცვათ კუ-
ტუზოვის არმიის უკანდახევა და... შენგრაბენი! თქვენი სამხედრო ნიჭის
ეს მართლაც რომ უჭკნობი გვირგვინი. შემდეგ აუსტერლიცი, პრეისმი-
ეილაუ, ტილზიტი და ვინ იცის კიდევ რამდენი... მთელი სამი წელიწადი
ავსტრიის შემდეგ გაუთავებელ ომებში იყავით და ვერსაიდან მოგაწვდი-
ნით ხმა. შემდეგ, ნაცვლად იმისა რომ ოდნავ მაინც დაგესვენათ, რაც მეც
მომცემდა საშუალებას მომიძებნეთ, თქვენ ისევ იბრძოდით ფინეთში,
შვეიციაში, ალანდის კუნძულებზე... თქვენ სახელი და დიდება მოიპოვეთ,
მე კი იმედი დამეკარგა, რომ ოდესმე გიხილავდით, ანდა ხმას მოგაწვდე-
ნდით. რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ძნელი ხდებოდა თქვენთან
დაკავშირება. ჩრდილოეთის შემდეგ თქვენ სამხრეთში გადაგისროლეს
და მოლდავეთის არმიის სარდალმა აიღეთ მაჩინი, გირსოვო, კიუსტენჯის
ციხე-სიმაგრე, დაამარცხეთ მანამდე უძლეველი სერასკირი სამფუნჯული-
ანი ხოზრევ-მეხმედ ფაშა ალუბოელი და ალყა შემოარტყით სილისტრიას,
იარაღი დააყრვენით უძლიერესი ციხე-სიმაგრეების იშმაილისა და ბრა-
ილოვის გარნიზონებს და რუსეთის იმპერიის ყველაზე დიდი ჯილდო ან-
დრია პირველწოდებულის ორდენი მიიღეთ.

ბაგრატიონი სულგანაბული უსმენდა ელისაბედს, რომლის სიტყვები
სიმღერასავით წვდებოდა მის ყურთასმენას და ამავე დროს მოჩადობუ-
ლი, სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდა დიდი ხნის უნახავ მე-
უღლეს.

— საიდან, საიდან იცი ამდენი რამე ჩემს შესახებ?! — მოულოდნე-
ლად წამოიძახა ბაგრატიონმა. ელისაბედი ჯერ შეკრთა, სიტყვა რომ შეა-
წყვეტინა აღამიანმა, რომელიც ცეცხლმოდებული თვალებით შეჰყურე-
ბდა და სმენად გადაქცეული უსმენდა მას. შემდეგ მისვდა, რომ მისმა
სიტყვებმა ძლიერი ზემოქმედება მოახდინა ბაგრატიონზე და მხიარულად
გაღიჟისკისა, თან უფრო თამამად განაგრძო.

— საიდან იცი ჩემს შესახებ ამდენი?! თქვენ თურმე გიკვირთ, ჩე-
მო ძვირფასო თავად პეტრე... გიკვირთ ის, რომ თქვენი კანონიერი მე-
უღლე, მიუხედავად იმისა რომ იგი ამდენი ხნის განმავლობაში უცხოეთ-
ში ცხოვრობდა, ასეთი ინტერესით ადევნებდა თვალს თქვენს საოცრად
გმირულ ცხოვრებას. განა სხვაგვარად შემეძლო თქვენს მეუღლეს, რო-

მელიც ამდენი ხნის განმავლობაში ქმარს მოშორებული დღემდე სიამაყით
ვატარებ თქვენს გვარს, როგორც თქვენი კანონიერი მეუღლე. თქვენ
კარგად იცით, რომ ჩემი სალონები, როგორც ვენაში, ისე განსაკუთრებით
პარიზში, უბრწყინვალესია პრინცესა საგანის სალონთან ერთად. ჩემს
სალონში კვირაში სამჯერ თავს იყრიდნენ საფრანგეთის უმაღლესი არის-
ტოკრატიის ბრწყინვალე წარმომადგენლები და საფრანგეთისა და უცხო
სახელმწიფოთა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთა შორის
ძალიან ბევრ წარჩინებულ ადამიანს უთხოვია ჩემი ხელი, მაგრამ მე არა-
ხოდეს არ მომსგლია აზრად ცოლად გავყოლოდი სხვა ვინმეს და დღემ-
დე სიამაყით ვატარებ ბაგრატიონის გვარს. და ეს იმიტომ, რომ ამ ხნის
განმავლობაში თქვენც უცოლოდ დარჩით, ალბათ იმიტომ რომ ჩემს
შემდეგ სხვა ვერავინ შეიყვარეთ, ანდა იმის გამო, რომ აღარ გჯეროდათ...
აღარ გჯეროდათ ქალის სამაგიერო გრძნობის გამოძევება და სამუდა-
მოდ შეიძულებთ ქალთა ჯილაგი. მე კი, მაშინაც, როდესაც თქვენი ბრწყი-
ნვალეობა და იმპერატორ პავლეს ასული, ალექსანდრე პირველის ღვიძლი
და ეკატერინე ერთმანეთს დაუახლოვდით და თქვენს შორის სიყვარულმა
დაისადგურა, დიახ, მაშინაც არ გავთხოვდი, მიუხედავად იმისა, რომ გუ-
ლზე ცეცხლი მეკიდა და სამაგიეროს გადახდის სურვილი მოსვენებას არ
მაძლევდა.

მალე ისიც გავიგე, რომ მეფის კარზე მოკალათებულმა დიდებულე-
ბმა თქვენს მხურვალე სიყვარულს ცივი წყალი გადასხეს მხოლოდ იმის
გამო, რომ ისინი ძლიერ შეშინდნენ რუსეთის სამეფო დინასტიის შეცე-
ლის საშიშროებით. თუმცა თქვენ არაპირდაპირი, მაგრამ მაინც ქართველ-
თა მეფეების დინასტიის შთამომავალი ხართ და ამიტომ საშიშრად მიიჩ-
ნიეს თქვენი და რუსეთის მეფის ასულის დაქორწინება, რის საფუძველ-
ზეც შესაძლებელი შეიქნებოდა რუსეთის დინასტიის შეცვლა, მით უმე-
ტეს, მთელი რუსეთისათვის ისეთი საყვარელი მხედართმთავრის მიერ,
როგორიც თქვენ ბრძანდებით... და ისიც ბაგრატიონთა დინასტიის უბრ-
წყინვალესი წარმომადგენელი და რომ ეს არ მომხდარიყო, ჩაშალეს
თქვენი ქორწინება, მაგრამ ღმერთმა უწყის, ჩაშლილია თუ არა თქვენი
ურთიერთობა, თქვენი კავშირი.

— იგი უკვე სხვისი ცოლია და მისი გული სხვას ეკუთვნის.—ძლივს
წარმოთქვა ბაგრატიონმა და ისე გაწითლდა, თითქოს დანაშაულში გამო-
იჭირესო.

— მართალია, იგი უკვე პრინც ვიურტემბერგელის ცოლია და მისი
გული ქმარს ეკუთვნის, მაგრამ თქვენ ვისი ქმარი ბრძანდებით, ვის ეკუთ-
ვნის თქვენი გული... ჰო, ვინ არის თქვენი გულის საუზრე?

— ელისაბედ, ვერა, ვერ გცნობ ძვირფასო ელისაბედი!..

ელისაბედმა იგრძნო, რომ ბაგრატიონის გული არ გაცივებულა, რომ მას, როგორც ეტყობა, კვლავინდებურად უყვარს დიდი ხნის უნახავი ცოლი. ეს ზომ თვითონ წარმოთქვა: „ძვირფასო ელისაბედ!“ თვალებში სითბო იგრძნო.

— მე ვხედავ, თქვენ გიკვირთ, მაგრამ არ გამტყუნებთ... ჩვენი ერთად ცხოვრების პირველ დღეებში მე მხოლოდ ექვებსა და ბოღმას გიღვიძებდით... მაგრამ მერწმუნეთ, მე არა ვარ დამნაშავე... მხოლოდ შემდეგ გავიგე თქვენი პიროვნების სიღიაღე... დღეს მთელ ევროპაში თქვენი სახელი ყველას პირზე აკერია. თვითონ ნაპოლეონს არაერთხელ უთქვამს, რომ თქვენი სახელი ამშვენებს მთელი ევროპის სამხედრო მოღვაწეთა პლეადას. აქ კი, ისინი ვინც მაშინ ჩემს გარშემო თავს იყრიდნენ, სასახლეში თუ სხვა დიდებულთა ოჯახებში, განსაკუთრებით უცხოელე-ბი, ყველანი ერთსულოვნად აფასებდნენ შენს საარაკო გმირობას, მაგრამ დასცინოდნენ შენს ვითომდა გაუნათლებლობას... ველურ აზიელს გიწოდებდნენ... თავადო პეტრე, თქვენო ბრწყინვალეზავ, ჩემი ბრალი არ არის, მე სრულებითაც არ მინდოდა გული გტკენოდათ. ახლა კი მე მტკი-ვა გული იმის გამო, რომ თქვენ კვლავინდებურად არ გაფასებენ. ყველას ეგონა, რომ რუსეთის გაერთიანებული არმიების მთავარსარდალი თქვენ იქნებოდით, მაგრამ ვაი რომ ასე არ მოხდა.

— ნუ, ამის შესახებ გთხოვთ, ნუ ვილაპარაკებთ... საბედნიეროდ დღეს რუსეთის გაერთიანებულ ლაშქარს სწორედ რომ შესაფერისი მთა-ვარსარდალი ჰყავს.

— რაკი თქვენ ასე ფიქრობთ, მეც თანახმა ვარ.

ბაგრატიონს გაეღიმა ელისაბედის სიტყვებზე და ახლოს მივიდა მას-თან. ელისაბედი მას მკერდზე მიეყრდნო, ხელები შემოხვია და მიუღლე-რსა.

— ჩემო ძვირფასო, ჩემო თმახუჭუჭა გენერალო!

ბაგრატიონმა ხელებში აიტაცა ქალი და...

* * *

მზე ჩადიოდა. გადაყვითლებული მინდვრების ირგვლივ მწვანე ტყე-ები თანდათან მუქ ფერს იღებდნენ. ბაგრატიონის კარავში დიდი ხნის უნახავი ცოლ-ქმარი ვახშამს მიირთმევდნენ. ისინი ერთმანეთს თვალებით ესაუბრებოდნენ, იმათ თვალებში კი სიყვარული და ბედნიერება გამოს-ჰყვიოდა. ოდესღაც ანჩხლი, მუდამ უკმაყოფილო ელისაბედი ახლა ისე-თი თბილი, ისეთი ალერსიანი და ყურადღებიანი იყო, ისეთი სიყვარულით ანთებული თვალებით შესცქეროდა ქმარს, რომ უზომო სიხარულით ავ-სებული ბაგრატიონის გული საგულეში ვერ ეტეოდა.

ელისაბედი გაუთავებლად ჭიკჭიკებდა თავისი თბილი, ხვეწილი ხმით.

— რა ბედნიერებაა, იმდენი წლის შემდეგ ისევ მშობლიურ მიწაზე, ისევ ერთად ვართ, თქვენო ბრწყინვალე! —

კი, ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ. და აი, ისევ ერთად არიან.

— ესეც ვახშამი არმიას მთავარ ბანაკში. — მხიარული ხმით წარმოთქვა ელისაბედმა, — ვახშამი ჩემს ძვირფას მეუღლესთან ერთად. აი, უკვე მზე ჩავიდა.

ბაგრატიონმა სანთლები აანთო.

— ხვალ კი, მზის ამოსვლისას, თანახმად დაპირებისა, პეტერბურგს გავემგზავრები, პეტერბურგს, სადაც მოუთმენლად დაგელოდები და მტერზე გამარჯვებულს გულში ჩაგიკრავ... და დავიწყებთ ახალსა და ბედნიერებით სავსე ცხოვრებას. ხედავთ, ძვირფასო, ჯარისკაცებს კოცონები დაუწოთა. მე არ დამეწყებია თქვენი საყვარელი სიმღერა:

ლამის სიბნელეს აქ მთვარე უტევს
და ზეცის თალი თავს გვახურია,
ბრძოლის ველებზე სიჩუმე სუფევს,
კარავთა შორის კოცონებია.
როს მეგობრები ღზინობდნენ ერთად,
თვითონ უფალსაც მოსწონებია.
მაშ ფიალები აღისფერ ღვინით
ავესოთ, ძმებო, ყველამ ბოლომდე...
დავტკბეთ სიმღერით, ლექსით და ღზინით,
რომ გული წარსულს აღარ გლოვობდეს,
ო, ყოვლის შემძლე ღვინოვ, ძლიერო,
შენა ხარ გმირთა მალხინუბელი!

როცა ორთავემ ღვინო შესვეს და ერთმანეთი გადაკოცნეს, ელისაბედს გაახსენდა ბერტიეს მიერ გამოტანებული წამალი, რომლის შემწეობითაც ბაგრატიონი ძილში ყველაფერს გადმოაფრქვევდა. ელისაბედს ტანში ეშმაკები შეუძვრა — მას საშინლად უნდოდა ბაგრატიონის ჭიქაში რამდენიმე წვეთი ჩაესხა, რათა მისი გულის საიდუმლოებისათვის დაედო ყური. ელისაბედის ყურადღება მიიპყრო ჩიბუხმა, რომელსაც ბაგრატიონი ჩაფიქრებული დასცქეროდა.

— ასე რად დასცქერით მაგ ჩიბუხს?

— აი, ეს ჩიბუხი, ალბათ, ცამეტი წლის წინ...

ამ დროს გარედან ვასილის სიტყვები მოისმა, როგორც ეტყობოდა, იგი ბაგროვს ელაპარაკებოდა, — ის ჩიბუხი ცამეტი წლის წინ იტალია-

ში ლაშქრობის დროს საკუთარი ხელით გამოვთალე და ამდენი ხნის გან-
მავლობაში მუდამ თან მქონდა. იგი ყველას მოსწონდა და ამიტომ ხშირად
არ ვხმარობდი. ალბათ მის ბრწყინვალეებას მოეწონა. ^{გამოვიყენე} ხელით გაკეთებული სათუთუნეც მოვუტანე. მინდა გადავცე. დაე, ორივე
ჰქონდეს იტალიაში გადახდილი ბრძოლების მოსაგონებლად.

— ახლაც მოვახსენებ მის ბრწყინვალეებას, — უპასუხა ბაგროვმა.
ამ დროს კარავიდან ბაგრატიონმა გამოიხედა.

— აა, ეს შენა ხარ, ჩემო ძველო მეგობარო? მაპატიე, დამავიწყდა
ჩიბუხის დაბრუნება. — ბაგრატიონმა ვასილის ჩიბუხი გაუწოდა.

ვასილიმ კი ბაგრატიონს სათუთუნე გაუწოდა და მოწიწებით მიმარ-
თა:

— თქვენო ბრწყინვალეება, აი ეს სათუთუნეც, მინდა გადმოგცეთ,
მიიღეთ საჩუქრად, თუ ინებებთ, ბედნიერად ჩათვალოს თავი თქვენმა
ძველმა ჯარისკაცმა.

— გმადლობთ ვასილი. მოდი, შენც იური, დავგლოცეთ, დღეს მე
უზომოდ ბედნიერი ვარ... ჩემი მეუღლე ჩამოვიდა.

ამასობაში ელისაბედმა დრო იხელთა და ბაგრატიონის ღვინის ჭიქაში
მარშალ ბერტიეს მიერ გამოტანებული წაშლის რამდენიმე წვეთი ჩააწვე-
თა. ბაგრატიონი ბაგროვისა და ვასილის თანხლებით კარავში შევიდა.
სტუმრებმა ელისაბედის დანახვისთანავე ნიშნად მისალმებისა თავი დაბ-
ლა დახარეს. ბაგრატიონმა თავის ჭიქაში ღვინო ჩაასხა, ვასილის გაუწო-
და, ბაგროვმა ღვინოზე უარი თქვა, ვინაიდან ჭრილობა ჯერ კიდევ არ
შეხორცებოდა.

— დიდხანს იცოცხლეთ, თქვენო ბრწყინვალეება! — მორცხვად წა-
რმოთქვა ვასილიმ და ღვინო ოდნავ მოსვა, ვინაიდან სარდლის წინაშე
თავს უხერხულად გრძნობდა.

— გაამოს! — თქვა ბაგრატიონმა და ვასილის ნამცხვარი გაუწოდა.
ნამცხვარი ვასილიმ პირთან მიიტანა, მაგრამ ხელები აუკანკალდა, შემდეგ
დაიკრუნჩხა და კუთვა დაიწყო... შეშინებულმა ელისაბედმა თავის ხელ-
ჩანთას წაავლო ხელი, დახურა და გულთან მიიკრა. ბაგრატიონმა შეამჩ-
ნია თუ როგორ გაფითრდა ელისაბედი, რომელიც თავის ხელჩანთას ჩას-
ჭიდებოდა. ბაგრატიონმა ხელჩანთა გამოსტაცა, გააღო და იქიდან წამ-
ლის შუშა ამოიღო.

— რა არის ეს?

— თქვენო ბრწყინვალეება... — ძლივს წარმოთქვა გაფითრებულმა
ელისაბედმა.

— რა არის ეს? — ხმას აუწია ბაგრატიონმა.

— ძილის წამალი... — წამოცდა ელისაბედს და ცრემლიანი თვალებით შესცქეროდა ვასილის, რომელიც საშინლად იკრუნხებოდა.

— ძილის წამალი?!

— ვაითუ, სხვა რამეა... მე არ ვიცოდი... ნუთუ ასეთი საშინელი აღძვრებები არიან ისინი... ნუთუ...

— კმარა... აი, თურმე რა ყოფილა თქვენი ჩამოსვლის მიზანი. რამდენ ვერცხლში, რამდენ ოქროში გაყიდეთ სამშობლო!

— მომისმინეთ, ორიოდ სიტყვა მათქმევინეთ, თქვენო ბრწყინვალეებ!

— საქმე სიტყვაზე უფრო მჭევრმეტყველია. — შესახა უზომოდ გაბრაზებულმა ბაგრატიონმა და ელისაბედს ზურგი შეაქცია. ვასილი ბაგროვის დახმარებით წამოაყენა, სკამზე დასვა და ბაგროვს უბრძანა.

— ჩქარა მკურნალი! — ბაგროვი იმ წამშივე გავიდა. ვასილიმ ოდნავ უკეთ იგრძნო თავი. ბაგრატიონმა ჭიქას დახედა. ღვინო ჭიქაში ნახევარზე მეტი დარჩენილიყო და ბაგრატიონს ვასილის გადარჩენის იმედი მიეცა. ელისაბედი ლოგინზე პირქვე დამხობილი გულისამაჩუყებლად ჭკითინებდა, მაგრამ ბაგრატიონს ოდნავაც არ ეცოდებოდა იგი. პირიქით, მზად იყო საკუთარი ხელებით დაეხრჩო ქალი, რომელიც მანამდე მისი სალოცავი იყო. ელისაბედი კი კვლავ განაგრძობდა ტირილს და თავისთვის ჩურჩულებდა.

— ღმერთო ჩემო, რა მომივიდა! — შემდეგ ბაგრატიონს მიუბრუნდა თვალცრემლიანი, ორივე ხელი მკერდზე დაიდო და ვედრებით უთხრა:

— მერწმუნეთ, თქვენო ბრწყინვალეებ, გაუგებრობა მოხდა, მე შემაჯდინეს... — ამ დროს კარავში ბაგროვი შემოვიდა მკურნალისა და ორი ჯარისკაცის თანხლებით და ელისაბედი დადუმდა. როცა ვასილი წაიყვანეს, ბაგრატიონი ბაგროვს მიუბრუნდა და გაბზარული ხმით უთხრა.

— საჩქაროდ მოამზადეთ ჩემი ეტლი და ეს ქალბატონი ფრანგთა ბანაკის მახლობლად ჩამოსვით. ისინი სიამოვნებით მიიღებენ ადამიანს, რომელმაც მათი დავალება თუმცა ვერ შეასრულა, მაგრამ... მაინც, მათი იმპერიის ერთგული ქვეშევრდომია.

ელისაბედი ცხოვრებაში პირველად ატირდა ასე მწარედ.

— აი, თურმე როგორი გულქვა ყოფილხართ... — თქვა ელისაბედმა და მის თვალებში ზიზღი გამოკრთა.

— უმჯობესია, გულქვა იყო, ვიდრე სულები. მოემზადეთ, დრო არ იცდის, თუმცა უკვე დაღამდა, მაგრამ საესე მთვარე ღდესავით ანათებს, აქედან ფრანგთა ბანაკამდე სულ რაღაც ოცი ვერსია.

ბაგრატიონი ისე გავიდა კარავიდან რომ ელისაბედისათვის არც შეუხებდავს.

ნახევარი საათის შემდეგ ელისაბედი ბაგრატიონის ეტლს თანავსა
ბანაკისაკენ მიჰყავდა. ბაგრატიონს მთელი ღამე თვალი არ მიუხუტავს.
მას ყოველი მხრიდან ვილაცეები ჩასჩურჩულებდნენ: „ნუ გიკვირბ, თქვე-
ნო ბრწყინვალეზავ, ადამიანის გაუმაძღარ გულს თვით ანგელოზიც შეუ-
ძლია გველად აქციოს“.

— რატომ, რატომ არის ქვეყნად ასეთი შეუსაბამობა?!

თითქმის ხმამაღლა წამოცდა ბაგრატიონს და ახლა პირაღმა დაწვა.
მაღლიდან მას კვლავ მოესმა: „სამოთხესავით სულწარმტაცო დედაყვაცო,
შენ სახელად ჯოჯოხეთი უნდა გერქვას“.

ბაგრატიონს მოეჩვენა, რომ ეს სიტყვები მას წამოცდა და თვალები
დახუჭა, მაგრამ მაინც ვერ დაიძინა.

პახგანგ ახვლედიანი

პოეტი და ევანგელისტი

მის ლექსებსა და ნოველებს ხალისით კითხულობდა ყველა. განსაკუთრებით ახალგაზრდობა ეტანებოდა, რადგან იგი სწორედ ამ ასაკზე წერდა უმთავრესად და მისი სტრიქონები გამთბარი იყო ოცნებით, მზით, ყვავილებით, ცისფერი და მაყვალა თვალებით, დახრილი წამწამებით...

იგი წერდა ყველგან — ლოგინში, ავტობუსის გაჩერებაზე, სამსახურში...

პოეტი გამხდარი იყო, დიდი მეოცნებე თავლისფერი თვალები ჰქონდა და თავისი ლექსებით იღიმებოდა ერთთავად.

ერთმა ცისფერთვალა მეცხრეკლასელმა გოგონამ დიდი ყოყმანისა და თრთოლვის შემდეგ წინადადება წამოაყენა საღამო მოეწყოთ მისთვის.

გოგონას არ ეგონა, თუ ასეთი სიხარულით შეხვდებოდნენ ამ წინადადებას ამხანაგები.

მერე მოსაწვევი გაუგზავნეს ახალგაზრდა პოეტს.

საღამოსათვის დიდი გულმოდგინებით მოემზადნენ.

ჯერ სკოლის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერებინეს.

ცისფერთვალა გოგონა უწევდა გილობას.

მერე ყვავილების პატარა კლუმბი აჩვენა. ყვავილები მისი დარგული იყო. განსაკუთრებული სიყვარულითა და თრთოლვით ელოლიავენოდა.

კლუმბში ის ყვავილები ხარობდა, რომლებსაც თავის ლექსებში უმღეროდა პოეტი.

გოგონა ცნობისმოყვარეობით სავსე ბავშვური თვალებით შესცქეროდა მას და თან გული ჩიტივით უფრთხილდებდა — იგრძნობდა თუ არა, მიხედვობდა თუ არა პოეტი?..

ახალგაზრდა კაცი დაიხარა, ყვავილებს ნაზი თლილი თითებით მოეფრა და გოგონას გემოვნება შეუქო.

სიხარულისაგან კინალამ სუნთქვა შეუჩერდა გოგონას, ზარივით აგუგუნდა...

დარბაზში ტევა არ იყო.

ცისფერთვალა გოგონა გატაცებით ლაპარაკობდა პოეტის შემოქმედებაზე, დროდადრო ზეპირად ჩაურთავდა ხოლმე სტრიქონებს პოეტის ლექსებიდან. ერთ ადგილას კი გოგო-ბიჭის დუეტიც ჩაერთო მისი ლექსის ტექსტზე.

მუსიკა თვით ცისფერთვალა გოგონას დაეწერა.

სიმღერა მეტად მელოდიური, გულშიჩამწვდომი მოეჩვენა პოეტს და თვალები დაენამა.

გოგონა ბედნიერი იყო.

ბედნიერი იყო პოეტიც.

მერე პოეტის ჯერიც დადგა.

იგი კარგად კითხულობდა. მისი თვალები ხან ნაპერწკლებს აფრქვევდნენ, ხან კიდევ მიიბნიდებოდნენ და ნისლში იძირებოდნენ.

დარბაზში ტაში არ ცხრებოდა და პოეტიც კითხულობდა და კითხულობდა.

სალამო დამთავრდა.

მოსწავლეები გარს შემოერტყნენ პოეტს და ავტოგრაფები მოსთხოვეს. იგი სიამოვნებით აწერდა აქეთ-იქიდან გამოწვდილ წიგნებზე, ფოტოსურათებზე, ფურცლებზე თავის გვარს.

მერე უცებ საათზე დაიხედა და აწრიალდა: სხვაგანაც ვარ მიწვეული საღამოზეო — შეიცხადა, ავტოკალამი ჯიბეში ჩაიღო და დარბაზიდან სწრაფი ნაბიჯით გაიკვლია გზა.

გოგო-ბიჭები მაღლიერი სახით მიჰყვებოდნენ უკან.

შენობის პირისპირ ქუჩაში ავტობუსი იდგა. ჩანდა საღაცაა დაიძრებოდა.

პოეტმა ხელი დაუქნია და ადგილს მოწყდა.

გზად ცისფერთვალა გოგონას ყვავილების კლუმბი გადაედო, მაგრამ პოეტი არ შეჩერებულა, იქნებ არც შეუშინებია...

დაძრული ავტობუსის ღია კარებში ჩანდა როგორი გულმოდგინებით იფერთხავდა შარვლის ტოტებს პოეტი.



დიდებული საღამო იყო, წყნარი და ალერსიანი. ზღვაური ჰაერით და მთელი დღის სიციხით მოთენთილ ჰაერს.

ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და დუმდნენ. სულ რამდენიმე წუთის წინ ბავშვური ცეცხლობითა და სიცილ-კისკისით იკლებდნენ ყველაფერს. ყმაწვილი ოქროსფერ თმებს უწეწავდა, ხშირად ექილიკებოდა და ზოგჯერ დასცინოდა კიდევაც. გოგონა უფრო სერიოზული იყო, მას ლამაზად გამოყვანილი თეთრი კაბა ეცვა, დახურული გულსპირით, მშობლები ღიაგულსპირიანი კაბის ტარებას უკრძალავდნენ. ყმაწვილს კი მიაჩნდა, რომ გოგონას მუქი ფერი უფრო უხედავოდა, რადგანაც ძალიან თეთრი კანი და ქერა თმა ჰქონდა, იცოდა ეს და ყმაწვილისათვის რომ ესაიამოვნებინა, ხშირად იცვამდა მუქ კაბას: ყმაწვილი მაშინ უფრო მოკრძალებული ხდებოდა.

და მაშინ მაინც სულ სხვა იყო...

სულ ნახევარი საათის წინ ყველანი ერთად იყვნენ — თოთხმეტი გოგონა და ცხრა ვაჟი. გუშინ მასწავლებლებთან ერთად შეხვდნენ განთიადს, შემდეგ რამდენიმე საათს წაიძინეს და ისევ შეგროვდნენ, ოღონდ ახლა არც ერთი მასწავლებელი აღარ ჩანდა და თავს თავისუფლად გრძნობდნენ. როგორ მხიარულობდნენ, სულ არ იგრძნობოდა, რომ ეს მათი ერთად ყოფნის უკანასკნელი დღე იყო. ცოტა რომ შეღამდა, ნელ-ნელა დაიფანტნენ წყვილები. როგორც ყოველთვის, ახლაც შინისავენ გასწიეს.

ყოველთვის ერთად მიდიოდნენ შინ გაკვეთილების შემდეგ, ზღვისპირა პატარა სკვერთან ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

ახლაც ამ სკვერთან იდგნენ... არც ერთს არ უნდოდა წასვლა...

გამვლევები ყურადღებით ათვალიერებდნენ რკინის დაბალ ლობესთან ატუხულ ლამაზ გოგონას, მერე ყმაწვილს შეხედავდნენ ერთი წამით და ისევ გოგონას ჩათვალიერებდნენ.

გოგონა გრძნობდა, რომ უკვე დიდი იყო, საკმაოდ ლამაზიც. და უხერხულად იმუშვნებოდა.

— წასვლის დროა, გამიჯავრდებიან... — თქვა წყნარად და ყმაწვილს დიდი ცისფერი თვალები შეანათა.

— ნახვამდის. — უპასუხა ვაჟმა და შეტრიალდა.

— ნახვამდის. — გოგონას გაწვდილი ხელი ჰაერში შერჩა, ვაჟმა.

თვალი შეასწრო, სწრაფად შეტრიალდა... უხერხულად ჩამოართვეს ხელი
ერთმანეთს.



ყმაწვილს არასოდეს ეგრძნო ამ ხელის ასეთი სითბო. გიგანური

— გაგაცილებ! — უთხრა ყმაწვილმა და გული ძალუმად აუძგერდა.

— კარგი! — გოგონამ კმაყოფილებით გაიღიმა.

„ღმერთო ჩემო, — დაიკვნესა ორმოციოდე წლის ქალმა და მიმავალთ ცრემლმორეული თვალები გააყოლა, — ღმერთო ჩემო, რა ბედნიერები არიან.. რა ბედნიერები ვიყავით ჩვენც მაშინ“...

ქალმა აღტაცებული მზერა გადაიტანა ქმარზე...

„ღმერთო ჩემო, რა სისულელეა, — გაიფიქრა კაცმა, — მე რომ ამა-სავით გულისთქმას არ ავყოლოდი, ახლა ამის კი არა, — მაღლა აიხედა და ცერებზე წამოიწია, — იმის ქმარი ვიქნებოდი, მანქანაც მეყოლებოდა, კარგი სამსახურიცა და აგარაკებიც მექნებოდა“...

კაცს გაახსენდა იმის სიყვარულით სავსე მზერა, ნაირნაირი კაბები, ჭათრით დაწერილი ხუთიანები და სინანულით თავი გააქნია...



ანზორ კუბა

ბრძნეული გამოქვაბული

მძლავრი ხმა ოქროს ხეობიდან დაიძრა ნიაღვარივით, მისკდა გრანიტის მთას, უკუიქცა და ოქროსავე ხეობაში მობრუნებული მისი ექო თავლის სანთელივით დაეღვენთა იდუმალებას.

შეძრწუნდა ადამიანი. სახელდახელოდ მოიმზადა საგზალი და უსასრულობის საკირეში მბორგავ ჯადოსნურ ხმას გამგელებულმა დაუწყო ძებნა. იდგა საშინელი ღრიანცელი. შუალამისას ამტყდარმა ამ უჩვეულო გნაისმა მხეცი ბუნაგიდან წამოავდო და ტყესაც ნაადრევად წამოათენდა. გაცრეცილი წყვდიადი. შებილწულმა წყვდიადმა პირი მოკუმა.

* * *

სახე იცვალა ბუნებამ, თუმცა ბნელი და ჩაყამული ღამე ჯერაც არ გაეკაწრა ნათლის სხივს. ამიტომ იყო, რომ დღეს სხვაგვარად ჟღერდა ჭოტის საუფლოც. არდაწყებულ სიმღერას ვერავინ დაამთავრებდა. აღელვებული და ათრთოლებული მწვანე ფოთოლი უფრო გამუქებულიყო და ნალველსაც სამსალასავით აწურავდა უილაჯო და დანადვლიანებულ მიწას.

იქითკენ მიეჩქარებათ, საითკენაც შებრუნებულა სიცოცხლის ცხოველი ისარი...

„არც მშობლის ძახილი ესმოდა შობილს“... ერთმანეთს ვერ ცნობდნენ ამ არეულობაში. ცისკიდურზე გამოძერწილ ოქროს ასოებს მიეპყრომათი ყურადღება. ინსტიქტი ამოძრავებდა ყველას...

ბავშვები (ჩვილები) გზაში იზრდებოდნენ, ვაჟკაცდებოდნენ და მოხუცებული მშობლებიც კვნესით ეცემოდნენ ხრიოკ მიწაზე. არავის უცდია მათი წამოყენება. უყოყმანოდ იჭერდნენ გათავისუფლებულ ადგილს. შვილები და სახეგაბრწყინებულნი განაგრძობდნენ ჯერარგათელილ გზას.

მეც გზაში დავიბადე. ვინ იცის რამდენი ტანჯვა გადაიტანა დედაჩემმა, რა სიმწარე იწვნია მაშინ, მშობიარობისას, რამდენი მლაშე ცრემლი დაღვარა, მაგრამ ამასთან მე რა ხელი მაქვს? არავის ვუმაღლო, არაფერი ჩენას... დედამ მოკლე ხანში წერილი წაიღო იმ ქვეყნად; ამაზე არავინ დაფიქრებულა.

ფეხი ავიდგი, მალე ენაც მოვიჩლიქე. წამოვიზარდე. ზოგჯერ ჩემს მესხიერებაში იელვებს ხოლმე დედაჩემის ლამაზი, თეთრი სახე და ცრემლს მოვუხმობ. ცრემლი კი არა და არ მდის. ნაადრევად დავაჟიკებული სატირლად არ მცალია. წინ ხომ გრძელი გზა გვიდევს. და არც დრო იცდის. შეყოვნდები და ვიღაც უბოდრიშოდ გადაგისწრებს, არც კი მოგხედავს, აღარავის ახსოვხარ, ვინა ხარ შენ... მწერი, მატლი თუ ბაცილა, ეს მათ არ აღარდებთ. მიყვარს სიცოცხლე... მატყვევებს ცისკიდურზე გამოძერწილი ოქროს ასოები. მიყვები ძალაგამოცლილ, წელში ორად მოხრილ მამაჩემს. მესმის მისი კვნესა-მუდარა — შვილო, მომეშველე, ვატყობ, ხვალინდელი დღე არ გამითენდებაო. ჰოდა, გათენება აღარ აცალა ხვალეს და სული განუტევა. გულს სინანული შემომაწვა, მაგრამ ვერ მივეშველე რატომღაც, ოღონდ ველარ დავტუქსე ჩემი ამღვრეული სული. მამაკაცი ვიყავი უკვე და ალბათ იმიტომ. ფეხზეც მტკიცედ ვიდექი. ძალა მერჩოდა და ძარღვებშიც მამაპაპური სისხლი მიდუღდა. მეც ჭანგების მიერ მოწამლული ისრით ვიყავი დაჭრილი და სულიც სიმწარენარევ სიტკბოთი ამვსებოდა. წინ, წინ!...

იქ რალაც ხდებოდა და სწორედ ის შეუცნობელი მიზიდავდა, მეც დამატყვევა თურმე ოქროს ასოების სიკაშკაშემ. განა დედაჩემის შობილი არ ვიყავი, განა დედაჩემს ტანჯვა-წამებაში არ ამოხდა სული?! ჩემი არსებობა გამართლებული იყო, გამართლებული იყო მიზანიც და მეც ვეძებდი საშუალებას, რომ ამ მიზნისათვის მიმეღწია.

რა უსასრულოა ეს გზა, დედაჩემო! რა მოლიპულია იგი. თავგზა მეზნევა... დახეთ, ყოველივე ეს გაელვებაა მხოლოდ და მაინც დროის ვერც ერთ მონაკვეთში ჩაატევეთ მას. შორს ფიქრი. ფიქრი მიზნის გზას გვიხერგავს, ამსხვრევს მიზანს, სამიზნე იგი ჰორიზონტს სცილდება და რძისფერით იბურება. ფიქრი მავნებელია, იგი ნაკუწ-ნაკუწად უნდა დაგლიჯო და აელვარებულ ქუჩაში შეისროლო, მერე რაც გინდა გამოძერწე მისგან.

* * *

სიკვდილი და სიცოცხლე გადაჯაჭვულივით მიაბიჯებენ სისხლით მოკირწყლულ ქვაფენილზე და ამ უჩვეულო მსვლელობაში მესმის ბორკილების შორეული, ყრუ ჟღარუნი. გამეფებულია ციებ-ცხელება და მელანქოლია. სულს წინ მივუსწრებთ და სულიც იმით გვიზლავს ამას, რომ ჩვენსავე არარაობაში გზააბნეული მოგზაურობით გვახეტიალებს. თითქოს ე-

ვანი შეუბამთ ჩემთვის ყელზე და უხილავი მწყემსიც ყურში ჩამიბნის: „ნაბიჯს მოუხშირეთ, ნაბიჯს... მართლაც რომ ადამიანებივით იგვეჩვენებთ ყველგან“!

დიახ, ჩვენი სწრაფვა შეუცნობელისავენ გაელვება მარადიული... მარადიული სიზმარი... სიზმარს კი ყველა და ყველაფერი ყურმოჭრილ მონასავით ემორჩილება და ამჯერადაც დაუსვა წერტილი მან საკუთარი ნებითვე შექმნილ მარადიულობას.

სული ჩემი ნეტარებამ შეიპყრო და წამით მივლულე თვალი. გავახი-
ლე და შევცბი. ჩემს წინ მიმავალი ჯაჭვი ადამიანებისა გამწყდარიყო და უფსკრულის პირას ვიდექი მარტოა. უკან მივიხედე და კიდევ უფრო შე-
ვკრთი; ვერც იქ დავლანდე ვინმე.

წამომეპარა უჩინარი სევდა და წამომაქცია. მერე ვილაც გულზე წა-
მომასკუბდა და ნისკარტი დამკრა. წამოვიყვირე და იმ ვილაცის ჩურჩუ-
ლიც გავიგონე: „ჩუ, ბედს უნდა უმაღლოდე, რომ გამახსენდი, ყმაწვილო! სულ სხვა გზით უნდა ვლიდე. ჩემო ვაჟკაცო, შენი არაა იმათი გზა, საშე-
ნოს ჩვენ დავაგებთ და თუკი შენსას მაინც არ დაიშლი, სვებელგამწარე-
ბულთ ახლავ იხილავ“.

ჭრილობიდან გამონაჟონი სისხლი მსწრაფლ შედედდა, პირი შეიკრა
ჭრილობამაც.

— ადამიანებთან მინდა ყოფნა, მომწყურდა ადამიანის ხმა! — შევ-
ლაღადე ჩემს კეთილისმყოფელს.

— მე ძალა მოგეც და აწ შენ იცოდე... — სათქმელი ბოლომდე არ
მიიხზრა, წეიფრთხილა და ცას გაეკრა ლურჯი ზოლივით.

გახალისებული წამოვდექი და ადამიანების ეს ერთი უწყვეტი ჯაჭ-
ვიც დავლანდე ნისლში გახვეული. ხელები ავიქნიე და მალე ავიჭერი შე-
რდულივით. ციური მწვერვალიდან ფრთების ტყლაშუნით დაბლა და-
ვეშვი.

საცოდავი ადამიანები!!! წელში მოხრილიყვნენ და მაინც არ ისვენებ-
დნენ, სანუკვარი მიზნისაკენ მიილტვოდნენ. იყო მათში რაღაც პატივსა-
ცემი, ზეადამიანური...

მიზანი?!

ამ მიზანთან წყდებოდა ყოველივე — მომავალი აწმყოში ნებივრობ-
და, აწმყო კი წარსულში იცრიცებოდა.

მიიჯაჭვებოდა დაკნინებული (იქნებ ზემადღებულის, ვინ იცის) სიცო-
ცხლე და ბოლოს მაინც უსახელო ბნელ ჯურღმულში იკარგებოდა.

გულაძგერებული წინ ვუსწრებ ადამიანებს და მიკვირს როგორღა
ინარჩუნებენ ისინი სიზხნევს. ძლივს მილასლასებენ, ლაპარაკის თავიც
ალარა აქვთ. ზოგბ ტუჩებზე დაგროვებულ ოფლის წვეთებს ენით მოი-
ლოკავს ხოლმე (ხელის განძრევა ეზარება), და წყურვილი სახეს უმაწავს.

ეცემა ერთი, მეორე, მესამე... მეასე... ჯაჭვი კი არა და არა წყდება. ჯაჭვი-
ური ძალა აერთებს მას. ამ ძალასვე უპყრია ადამიანები და როგორც მოე-
გუნებება, ისე ათამაშებს წუთისოფლის უბადრუკ ქმნილებათ: ~~მეცხრამეტე~~
ავინ კვნესის, იციან, რომ ჩივილი უაზრობაა, ანდა ვის შესჩივლონ? ნელ-
მეტი სიტყვაც კი ენერგიის გაფლანგვას ნიშნავს.

ყველას გავუსწარი და ჰოი, საოცრებაჲ!...

უზარმაზარ გამოქვაბულს ხახა დაეღო. ჯაჭვის პირველი რგოლიც
მისი საკუთრება გახდა. მაგრამ გაუმაძღარია გამოქვაბული, იმ პირველს
მეორეც დაედევნა, მესამე, მეოთხეც მათ მიჰყვა... საზარელი კივილი ათ-
როლოვდა გარე-მიდამოს. ეს ხმა ყრუვდებოდა, რომ ორიოდ წამის შემ-
დეგ უფრო გახშიანებულებოდა.

გამოქვაბულში შევიხედე და თვალი უჩვეულო სინათლემ მომჭრა.
ვერაფერი გავარჩიე და შუბლმოჩრდილულმა უკან დავიხიე: ჯაჭვს წავე-
ტანე უნებლიეთ, მაგრამ თვალის ჩინი მაინც ვერ დავიბრუნე. შევშინდი.
ვიცოდი, რომ გამოქვაბული დანაშაულის უზარმაზარი ბუდე იყო და
ბრმამ ადამიანთა გადარჩენა არ მოვინდომე?.

— მეზობლებო, ადამიანებო, სასაკლაოში საკუთარი ფეხით რად მიე-
შურებით, ვინ გიბიძგებთ დანაშაულისაკენ, შესდექით, ადამიანობას გა-
ფიცებთ! — ვიღრიალე. ასე მეგონა, უზარმაზარი ლოდი ცას შევასხებე
და მისი გაბოროტებული მეუფეც გამირისხდა-მეთქი. ამასობაში თვალის
ჩინიც დამიბრუნდა.

მაგრამ ცდუნებისაგან არც მე ვიყავი დაზღვეული. მიწოდდა ამომე-
ხსნა გამოქვაბულის საიდუმლოება, წელში მოვიხარე და შიგ შევიხედე.
თვალი ნელ-ნელა შეეჩვია კაშკაშა სინათლეს. იქ ქაოსი ვიხილე, ჯერ არნა-
ხული ქაოსი, რომლის მიახლოებითი აჩრდილი თუ დარჩება მეხსიერება-
ში. არავის ძალუძს მისი აღწერა, ადამიანის გონება უძლურია მთლიანად
შეიცნოს ამ ჯოჯოხეთში გათამაშებული არაადამიანური სცენა და არც ვი-
ნმემ უწყის, თუ როდის გამართულა მისი პრემიერა.

ძალატუნებურად თავი გამოქვაბულში შევყევი, მაგრამ ოქროს გარდა-
ვერაფერი დავინახე. გველნაკბენივით გამოვვარდი მოოქრული ჯოჯო-
ხეთიდან.

ადამიანთა ჯაჭვს კი წყდებოდა რგოლები და მათი სიცოცხლაც გაე-
ლვებასავით ხანმოკლე ხდებოდა, წყვეტდნენ მოძრაობას და მარადიული
დუმბილის დანამატად იქცეოდნენ.

ამიწრიალდა სული. — ნეტაი, სად გადავიკარგო, როგორ დავივიწყო
დღევანდელობა... წარსულში თუ მომავალში მივეცე მივიწყებას... რო-
გორ, როგორ? — ვაძლევდი ტვინს დავალებას, მაგრამ იგი გამომთვლე-
ლი მანქანა არ იყო და ეს რთული განტოლებაც ამოუცნობი რჩებოდა.

აი ერთი ოგოლიც მოწყდა ჯაქეს, გამისწორდა დ წამით შედგა. მომხედა, მერე დაიძაბა და წინ გადაქანდა.

— სადაცაა მოწყდება ჯოჯოხეთის ზღურბლს! — გამიელვა და ხელები მომწვანდა და ხელი წავავლე. ისიც მორჩილად დამყვა, ცვილივით დავიმორჩილე და რაკი შევიგრძნე ჩემი ძლიერება, ხელახლა გამოვაქანდაკე იგი. იქაურობას მსწრაფლ მოვშორდით. აღმართს შევუდექით. მხოლოდ მწვერვალზე მოვითქვით სული. კარგად დავაკვირდი ჩემს თანამგზავრს. სისხლძარღვებში სასიამო ჟრუანტელმა დამირბინა. იმასაც შეუფაცლდა ნორჩი სახე. უსიტყვოდ გავუგეთ ერთმანეთს. მოვეხვიე და ისიც ადვილად დამყვა ჩემს ნება-სურვილს. სულში ჩავუძვერი და მის ჟრუოლად ვიქეცი. მზე მუდამ მზეობდა ჩვენთვის და საკუთარი სამყაროც გამოგვიყო.

სახლი გორაკზე ავიგეთ.

— კარგია სიცოცხლე, სეზამ! — მეუბნება და კისკისებს. მთელი ტანით ცახცახებს და ნაზი ხმაც უთრთის.

— შევხაროდეთ, სეთარ, მზის ამოსვლას! მზეშია სიცოცხლე... სიცოცხლე თვით მზეა, — ვუბასუხებ.

— ჩვენ მისი ანარეკლი ვართ დედამიწაზე... — მესმის უხილავის ხმა.

— და მანამ ვიცოცხლებთ, სანამ მისი სხივები... მზის სხივები, სეზამ, ათბობენ და ასაზრდოებენ სამყაროს ჩვენსას.

* * *

დღე დღეს მისდევდა და ჩვენი ბედნიერებაც იზრდებოდა. იმაზე აღარ ვფიქრობდით, რომ ოდესღაც ჩვენს ბაღს ალტყინებასაც მოელებოდა ბოლო. ჩვენი ფიქრი მხოლოდ და მხოლოდ აწმყოს დასტრიალებდა თავს, მომავალზე ოცნება კი არ შეგვეძლო. ვიღაც ზრუნავდა ჩვენს მაგივრად და კმაყოფილი ვიყავით. ჩვენ ჩვენს სამყაროში ვფუხვდით. გვექონდა უზრუნველი ცხოვრება და ყველაფერი რაც გავგიხარებოდა. გვაკლდა კი რამე?!

მობიბინე მოლით შეზავებულ ეზოს მოჩუხჩუხე ნაკადულიც ამშვენებდა და ალამაზებდა. მის ჩურჩულში ვისმენდით ღვთაებრივ მელოდიას. ნაკადული...

ჩვენს საუფლოში უკვდავების წყალი მიკანკალებდა, ოღონდაც მისი შესმა აზრადაც არ მოგვევლია. არც წყურვილს შევუწუხებდით.

გზივართ შორიახლოს და ნაკადულს ვეჩურჩულებით.

— ნაკადულო, ნაკადულო, საიდან მორაკრაკებ და საითკენ მიგეჩქარება? — უსიტყვოდ მივმართავ და პასუხს ველი სუნთქვაშეკრული.

— უკვდავების წყალს მეძახიან, შემსვით, სანამ ღროა და უკვდავებას ეზიარეთ... მეც მაზიარეთ უკვდავებას...



ჩვენი საუბარი სეთარს არ ესმის.

— ნაკადულო, ნაკადულო, საიდან მორაკრაკებ და საით ვინ ვინაა? — კითხვას ვუმერბე.

— უკვდავენის სამეფოდან... უკვდავებაშივე მიმეჩქარება, შემსვით, მიგიმეთ...

— იქნებ არ უნდა სეთარს უკვდავება? — ვფიქრობ და მეგობარს შევეცქერი. ცხადია, იმასაც უსაუბრია ნაკადულთან. უხილავმა სხივმა გაგვინათა გონება.

— ნაკადულო, ნაკადულო, ხვალ... ალიონზე დაგეწათებით, ახლა ნავახშიმ ვართ... — ვამბობთ ორივე და ნაკადულიც ატკრციალდა, ღვთაებრივი მელოდია დაარაკრაკა და ჩვენც ფრთები გამოგვესხა. ავფრინდით მაღლა, სულ მაღლა მე და სეთარი, ერთმანეთს გადავეჭდეთ. გვიხარია სიმაღლეში სრიალი. ქვემოდან კი რაღაც ხმაური, საშინელი ზრიალ-გრიალი გვესმის, თითქოს ბუნება საკუთარ თავს აჯანყებიაო.

სულში ნაკადულის ჩურჩული ჩაგვდგომა — სიცოცხლის სონატა, რომელსაც თან ერთვოდა ბუნების გლოვა. ანგელოსებივით დაფვარფატებდით, არც ავზე გვეკონდა წარმოდგენა, არც კარგზე. სიყვარულს მოვეჯადოვებინეთ.

მოვიარეთ სულთა ქვეყანა. მოწიწებით გვესალმებოდნენ, ხელებზე გვეამბორებოდნენ და მოკითხვას გვაბარებდნენ დედამიწაზე... იქ ეგულეზოდით მათ თავ-თავიანთი ნეშტი. გაცეცხისაგან მხრებს ვიჩეჩდით, იმ პაწია მამულში არავინ დაგვიტოვებიაო, ხმადაბლა ვამბობდით.

მაღე დატოვეთ სულთა ქვეყანა და ქვევით დავეშვით. თან სულთა თხოვნა-შუღარა მოგვდევდა და მათი სევდიანი ღიმილი.

ჩვენი საბუღარიც გამოჩნდა. გახარებულმა ფრთა სეთარის ფრთას გაეკარი.

დავდგი ფეხი მიწაზე და მივხვდი, ახალი გრძნობა გამჩენოდა — მომავლის შიში.

გშფოთავდი აღელვებული.

სეთარის გაბუტული ტუჩები თითქოს ვაშლივით გაეჭრათ და მისი კოცნა მომენატრა.

გულიც მისივდება. ასე მეჩვენება და არ ვიცი რა ვიღონო. ავივსე ჰაერით და დავმიჩატი. ნიავემაც მოუქროლა და თმა აუწეწა სეთარს, მე — სულს.

— აი რა ყოფილა არსი ჩვენი არსობისა... უნდა შევერთდეთ, სეზამ, ჩვენ გადაგვაფიწყდა, რომ ადამიანები ვართ და სამშობლოც გვაქვს, — გავიგონე სეთარის მინახებული ხმა და ჩემში რაღაც ცვლილება მოხდა, თითქოს რაღაც სანუკვარი რამ ამავლიჯეს, წამართვეს ძალად და გამაშიშვლეს. — აი, ასე... — ახარხარდა უხილავი ხმა, ნიავემა რომ მოიტანა და

გამაერკოლა. — სეთარ, სეთარ, ეს ხმა ხომ ძალზე ნაცნობია, ჩვენი მოდ-
ემისა უნდა იყოს, — შევძახე და გაოგნებულმა ირგვლივ მიმოვხედე.

— შენ, სეზამ, ადამიანი ხარ და ნუ უარყოფ ამას... მოკვდები, თუ
ნიერი, ამდენხანს უბედური ქმნილება ყოფნა-არყოფნის ზღვარსა
იდექი და ბოლოს მაინც უნდა დაცალო ბედნიერებით სავსე ფიალა, შენ
კი... ახლა სეთარს მიუბრუნდა: — შენ კი ქალი ხარ, ქალი, ჰო, გაიხსენე!
ნურც სეზამის რისხვის შეგეშინდება, ვერ გავიმეტებს... რადგან შენი
ტივილი იგივე მისი ტივილია...

— მერე უკვდავების წყალი? — დაიკვნესა სეთარმა და მუხლებზე
დაეცა. ცახცახებდა მთელი არსებით. მას გაახსენდა რომ ადამიანად იყო
შობილი და მისმა თვალებმა მეც მომაგონეს ჩემი ჭეშმარიტი დანი-
შნულება. თვალებში კიდევ ერთხელ ჩავეხდე სეთარს. ნისლი დარიალე-
ბდა ამ თვალებში და თევზად ქცეული რძისფერში შევსრიალდი.

და ყველაფერი შეიცვალა ჩემს ცნობიერებაში — სხვა იერი მიიღო
ბუნებაში, ფერი იცვალეს დღე და ღამემ, მინდორმა, მიწამ. ხეც სხვა სა-
მოსელში გაეხვია. სახეცვლილებას სეთარშიც ვამჩნევდი და წაშლილ-
ვენიათ, მიხაროდა კიდევ.

— ქალი იმიტომ ხარ, რომ აცდუნო მამაკაცი! — გავიგონე უხილა-
ვის ხმა და აღმური მომეკიდა სახეზე.

აცახცახებული ქალი გულში ჩავიკარი. ჯერ დაუცვარავ მოლზე წა-
მოვწეჭით და ვარსკვლავების დასათვლელად ვედარ მოვიცალეთ. სულში
ისე ვუძვრებოდით ერთმანეთს, თითქოს მილიონი წელი ვესწრაფოდით
ამ ნეტარებას.

ძლივსღა არ შევევრთოდით?

ერთ არსებად ვიქცით და სეთარში ჩვენი პირველი პირშოც ჩაისა-
ხა. გონება წაგვერთვა, როცა პირველად შევცოდეთ და საღათას ძილს
თავი მივეციით.

გამოვიღვიძე და შევცბი.

ტრიალ მინდორზე ვეგდეთ და სიცივისაგან ვძაგდავებდით. ჩვენ,
ქალი და კაცი, კიდევ უფრო მეტად, უფრო მეტის გზნებით ვეკვროდით
ერთმანეთს, ლამის ძვლები გადაგვემსხვრა, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად
გვსიამოვნებდა კიდევ ეს ახალგაჩენილი სევდა და ნღველი. ეს მეორე
შეცოდება იყო ჩვენი და გავიფიქრეთ: — უკვდავებას ასეთი ყოფა შირ-
ჩენიაო.

ირგვლივ მთები წამოზიდულიყვნენ და მათი უზარმაზარი ჩრდილები
ეჭაჭურებოდნენ ერთმანეთს.

ალრაფერი მტკიოდა და უნებლიეთ ვთქვი: — ალბათ, ჭრილობა,
ოდესღაც ფერდში რომ მიაყენა ადამს... ღვთიურმა დასტაქარმა გაუცვე-
თელი სკალპელით, შეხორცდა... ვერც უქმარისობის გრძნობა ვიგრძენა.
ჯანვითურე ერთთავად და ღმერთს მაღლი შევასხი.

მზერა სეთარის გაბუტულ ტუჩებზე შევაჩერე და გახელებულმა კიდევ ერთხელ გადავთელეთ ორჯერ შელახული მწვანე, მობიბინე მიწ-
დორი.

გიორგი მთაწარი
თბილისი

თავს სამასი წლის ყვავმა დაგვჩხავლა და ჩვენს ფერხთით უსულოდ დაეცა.

ასე ვიხილეთ პირველი სიკვდილი, მაგრამ მალე ისიც გადაგვავიწყდა და განცხრომის ტბაში ჩავიყურყუმელავეთ.

ცოდვილნი უკვე აღარ ვთრთოდი. ერთი ჭეშმარიტებაც გავიგეთ: — როცა ცოცხალ ვართ, შორს არს სიკვდილი იგი. იმას ხელი არა აქვს სიცოცხლესთან... და როცა სიკვდილია, მაშინ არც სიცოცხლე არის!

ასე დაზავდნენ სიკვდილ-სიცოცხლე!

აღარსად იყო ჩვენი ჯადოსნური ეზო, არც ნაკადულის ჩურჩული გვესმოდა და ეს ღვთიური მელოდია ცნელ-ნელა კარგავდა თავის ცხოველ-მყოფელურ ძალას. ჩვენში ახალი მუსიკის ჰანგები დაირბა. მასში ნათლად ისმოდა შემადრწუნებელი ბგერები, მაგრამ ამასაც ვეჩვეოდით და ბოლოს ისე შევეგუეთ, რომ ნეტარების ქრუანტელს გვგვრიდა... ყოფნა-არყოფნის სამი კომპონენტიც ამოვიკითხეთ: წარსული, აწმყო და მომავალი. სიცოცხლე ყოფიერებაა, არის მისი შებრუნებული ჭეშმარიტებაც — სიკვდილი — არყოფნა, მისი განმსაზღვრელი ცნება არარაობაა, არაფერი. და არის საყოველთაო ფერისცვალება, ერთფეროვნება და მრავალფეროვნება, მაგრამ არ არის არც ერთფეროვანი მრავალფეროვნება და არც მრავალფეროვანი ერთფეროვნება. რაღაც დავკარგეთ და ამ დანაკარგის ტოლფასოვანი რაღაც შევიძინეთ. დიახ, ჩვენ მარადიულ წონასწორობას შევესისხლბორცეთ და ეს იყო ჩვენთვის აღმოჩენა.

* * *

მე ვნადირობდი, სეთარი დიასახლისობდა და ასე გაგვქონდა თავი. სიკვდილს ვთესავდი და სიკვდილიც არად მიღირდა. ვერც ვერავინ დამძრახავს, რომ მკვლელი და გარეწარი ვინმე ხარო. ვნადირობ ცხოველთა მდიდარ სამყაროში. ბუნება გულუხვია, ჩვენც გულუხვი ვართ, რადგან ჰორიზონტს მიღწეულნი ასე ადვილად ვთმობთ ესოდენ ძვირფას სიცოცხლეს.

ბარი ბარსა ვართ და ნურც აქეთ შემოგვედავებიან უგუნური გველისმჭამელები...

* * *

რაღაც მახსოვს ბუნდოვნად, მაგრამ ბურუსი ვერ ჩამომიხვევია გაურკვევლობისათვის. სადღაც წარსულში მიმიღტვის სული, დარწმუნებული ვარ ვიყავი იქ ოდესღაც და დამნაშავედ ვრაცხ საკუთარ მეს, რომ ნეტარი

ადგილი უბრძოლველად სხვას დავუთმე და უარყავი საწყისი ჩემი აზრის
მიანობისა.



სეთარიც წარსულში ჩაძირულა, მაგრამ ამოდ, ვერაფერს იმსახურებდა
ამასობაში ამ თვალუწვდენ ველ-მინდორზე ადამიანები დასასვენებლად
და ცივილიზაციაც ძვალ-რბილში გაუჯდათ.

გვიხაროდა მე და სეთარის, რომ სწორედ ჩვენ ვიყავით მათი მშობ-
ლები, პაპა და ბებო, პაპის პაპა და ბებოს ბებო...

აქ სიცოცხლე ზეიმობდა, მარადიული სიცოცხლე...

* * *

და აი როცა ნანადირევი კარის ზღურბლზე დავაგდე, სეთარი ჩემკენ
გამოეჩანა. თვლები უბრწყინავდა და მის შუბლზე ამოვიკითხე ჩვენი
წარსულიცა და მომავალიც.

— გამოქვაბული!

— გამოქვაბული!

ერთდროულად წამოვიძახეთ და ბარგი-ბარხანა შევკარით. არავის
მოუქცევია ჩვენთვის ყურადღება. ახალი თაობა სულ სხვას ფიქრობდა.
ის ახალი ცხოვრებით ცხოვრობდა. მე და სეთარი თვალის დახამხამებაში
ჩავექდეთ რგოლებად იმ უწყვეტ ჯაჭვს, გამოქვაბულის შესასვლელთან
აგერივად რომ იშლებოდა და იფანტებოდა.

ადამიანური სიჭიუტით მივიწვედით წინ. არც მიგვიხედავს უკან. ვე-
ცემოდით და მაინც ვდგებოდით, ზოგიც ველარ აგრძელებდა ძნელბედო-
ბის გზას და შუროთ შემოგვცქეროდა. ეგოიზმი და სასოწარკვეთილება
ისახებოდა მათს თვლებში და ჩვენც გაბოროტებულნი ოდნავ მფეთქავ
მკერდზე ვაბჯენდით მძიმე ჩექმებს. უძლური უხმოდ კვდებოდა და გზას
მშვიდობისას გვისურვებდა.

უცნაურია ადამიანი!!!

წამით გათავისუფლებული რგოლები კვლავ ეკვროდნენ ერთმანეთს
და გზაც ძველებურად მიიჯაჭვებოდა.

ოფლად ვიღვრებოდით. მოუბერავდა ქარი, გაგვაშრობდა და მარი-
ლიც აბჯარივით გვეტმასნებოდა ტანზე.

წინა რგოლები გაურკვეველობაში იძირებოდნენ და ჩვენც ეუხლოვ-
დებოდით ამ გაურკვეველობას. ყველას ცნობის წადილი იცვწავდა.

— ჩვენც ამოვიცნობთ ამ საიდუმლოებას, — ჩურჩულით მეუბნება
სეთარი.

— ვინ იცის ჩვენამდე რამდენმა ამოხსნა ეს საიდუმლოება, მაგრამ
საიდუმლოება საიდუმლოებად დარჩა მაინც, — ვუპასუხებ გულდამდუ-
ღრული. დამცირებდა მიმაჩნდა ისიც, რომ სულიერი არსება უსულო საგ-
ნად, რგოლად გადავიქეცი და მეზიზღებოდა ამდაგვარი ფერისცვალება.

დაუსრულებელი არაფერია და ჩვენს გზასაც ეწერა დამთავრება. შორიდანვე დავლანდუ გამოქვაბულის დაღებული ხახა. შიშმა სლანჭივით გამკრა და დავიზაფრე. სეთარიც კანკალებდა შერისხულივით. წვრილებელი იყო მისი თრთოლა, მაგრამ ცნობისწადილი მაინც წინ მიგვაგელვებდა.

გამოქვაბულიდან გამოტყორცნილმა სინათლემ დამაბრმავა და როცა თვალი გავახილე, ჩემი წინა რგოლი, ჩემი სეთარი აღარსად იყო. თავისი ხვედრით გამოქვაბულში შეგრიალდა და თან წარიტანა ამქვეყნიური ამაოებაც. იქიდან გამობრუნება არავის ეწერა.

აღლომ მცარნახა, რომ გამოქვაბულია სწორედ ის უსასრულო გზა, რომელიც სიცოცხლის დასასრულის გაგრძელებად წარმოისახება ჩვენს ცნობიერებაში. ის უნდა ყოფილიყო მარადიული სიკვდილი და ცვდილობდი, რაც შეიძლება გამეჭიანურებია დრო, რათა ჩემი წილხვედრი როგორმე ამეცდინა, მაგრამ ცვდებოდი. სულ გადამავიწყდა, რომ მე, უბრალო მოკვდავს უფლებაც არ მქონდა უკვდავებაზე მეფეობა.

მომენატრა სეთარიც, ისე მომწყურდა, რომ ავცახცახდი სულმოკლე ადამიანი.

გამოქვაბულიდან არავინ გამობრუნებულა: მხოლოდ იქ შესულთა ჩრდილები გამოფრინდებოდნენ ხოლმე. წამით შეყოვნდებოდნენ, შემოგვხედავდნენ, თავისუფლების სადღეგრძელოს შემოგვთავაზებდნენ უსასმისოდ, წაიმღერებდნენ უკანასკნელად, შეიფრთხილებდნენ და განახლებული იერით ცას მიაშურებდნენ. თითოეულს თავისი ანგელოსი მიაცილებდა და ამიტომ იყო, რომ არც ერთი არ აცილებია შორეთში გაჭრილ დაუსაბამ გზას.

მე კი ვიდექი და სულისა და ხორცის ურთიერთკავშირის კანონებზე ვფიქრობდი. ასე ჩავაბუღებულე მთელი ბიბლია და შვება ვიგრძენი.

გამოქვაბულში სიკვდილი მეფობდა!

სიკვდილის შვილები ვართ ყველანი და საოცარია, რატომ ვკრთით მისი შემობრძანებისას; რად გვაკანკალებს, როცა მისი სიცივე ჯერ ფეხის ფრჩხილებს გაგვიღურჯებს, მერე ჩნდება ყინული და ისიც იზრდება და, ადამიანის სხეულსაც შთანთქავს, მიიღებს ჩვენსაც ფორმას, ხოლო სული — ჩვენი შინაარსი, სიმაღლისაყენ აიბზეკს ცხვირს; საით, საითკენ მიგეჩქარება, სულო... ნუთუ არარაობისაყენ? არარაობისაყენ მივილტვით უგონონი...

ველოდი ჩემი სეთარის სულს, ის კი იგვიანებდა.

— პირში სული ჯერ კიდევ უდგას. — ვამბობ და მკერდი ამიდ-ჩამიდის.

უცებ ადგილს მოვწყდი, ბურთივით დავგორდი და გამოქვაბულში აღმოვჩნდი. ეს იყო უზარმაზარი დარბაზი, თვალუწვდენი იყო მისი სივრცე. იყო აქ ბრწყინვალება და ელვარება, მაგრამ არ იყო სითბო. სიცივე.

სიცივე, სიცივე იპყრობდა სულს. ოქროს კედლებზე სულთა ქვეყანა მობატულიყო. დაბორკილი აჩრდილები ახსნას ცდილობდნენ, გათავისუფლებას, მაგრამ ამოდ. გაყინულიყვნენ და სუსხში იხოცებოდნენ. გარდაცვლილი და მოცახცახე აჩრდილები... მაგრამ ყველაზე უფრო მაინც იმ ჭრელმა საზოგადოებამ გამოაცა, ნებით თუ უნებლიეთ აქ რომ მომხდარიყო. ადამიანები სასიკვდილო აგონიას შეეპყრო. ყოველივე ამას კი წინ მეჯლისი უძლოდა ჯერარანახული. მე სეთარს ვეძებდი და მისი ნახვის იმედიც კი გადამიწყდა.

აქ შემოსული მსწრაფლ ირინდება, ფეხი ოქროს ქვიშაში ეფლობა და ჭუსლიც უყვითლდება. ეს სიყვითლე ისე ინაცვლებს ზევით, თითქოს უქარება მთა ნისლის საბურველს იცვამსო.

ოქროს ტრფიალი ოქროს ქანდაკებად იქცეოდნენ და სულიც სამუდამოდ წყვეტდა ზორცთან კავშირს.

პირდადებული ოქროს ქანდაკება უქანასკნელად ამოისუნთქავდა ცოდვილიან სულს და თვითონ მარადიულ მდუმარებას შეუერთდებოდა. მაგრამ განა ყველა ღუმდა ამ ჯადოსნურ გამოქვამულში? იყვნენ ცოცხლებიც. ხელი შემოსასვლელისაკენ გაეწვდინათ, ელოდნენ ახლებს, სალამი ეთქვათ მათთვის; — ნეტაი ხელს ჩამომართმევდეს ვინმე, — ასე ფიქრობდა ყველა. ამით დამთავრდებოდა ის აუტანელი წამება, რომელიც აქ შემოსვლისთანავე ეუფლებოდა ოქროს მაძიებელს. მოკვდებოდა და ტკივილებისაგანაც გათავისუფლდებოდა.

ათასამდე წამებულის აცახცახებული ხელი დავლანდე ჩემკენ ვედრებით გამოწვდილი. ამდენხანს შიშით ვიყავი შეპყრობილი, ახლა კი უშიშარი ვაჟკაცის გული მიძგერდა. — ათას ტკივილსაც ავიტან, — გავიფიქრე და მათკენ გავიწიე, მაგრამ სეთარი გამახსენდა და შუბლზე გამონაქონი ოფლი სახელოთი შევიწმინდე. შევდექი და დარბაზს მოვავლე თვალი. — რომ ვერ ვნახო?

ისევ იმ ათას ხელს თვალემმოწყურული შევაჩერდი იმ იმედით, იქნებ ამათში სეთარისაც ერიოს-მეთქი.

— ჩემი ერთი ხელის შეხება და მოისვენებენ კიდეც, მაგრამ რამდენი ხელი მაქვს მე ღარიბ-ღატაკს? მხოლოდ ერთი წყვილი და მარჯვენა ისევ და ისევ მე მჭირდება, რომ ხელგაწვდილი ქანდაკებას დავემსგავსო... სანაცვლოდ ამისა კი ტკივილს შევიძენ... შევიძენ და ვშობ სიკვდილსაც, ვილაცას სიცოცხლეს წავართმევ... და თუ ასეა, თუ ეს გარდაუვალია, მხოლოდ ერთს დავსჯი... ეს სეთარი იქნება, რადგან ასეთი სასჯელი მისთვის ახლა ნეტარებაა!

ადამიანები გველნაკბენებივით იგრიხებოდნენ, საცრისოდენა თვალე-ბში ოქროსფერი ცრემლები უკამკამებდათ. მათ უკან კი გარინდული ქან-

დაკეხები იდგნენ. მათი ბედი შეშურდათ ცოცხლებს, ენატრებოდათ სიკვდილი, მათი ოცნება მხოლოდამხოლოდ ამქვეყნიურის დავიწყება იყო.

— სეთარ, სეთარ! — ამოვიგმინე და ჩემი ცრემლიც ოქროს ქვეშევსე ვერცხლისწყალივით დაგორდა.

— სეზამ, სეზამ! — სეთარი მეძახდა. ამ ხმაში ათასი ტკივილი დაბუდბუდიყო.

მალე სეთარიც დავინახე და მისკენ გავექანე. და აი მის წინ ვდგავარ.

— სეზამ, მომეცი ხელი!

— გამარჯობა, სეთარ, ძლივს არ მეღირსა შენი ხილვა?

— მომეცი ხელი! — აკივლდა სეთარი.

— მოკვდები, სეთარ, ნუთუ ასე აუტანელია სიცოცხლე?

— მომკალი თუ გიყვარდე, მომეც ხელი და ყველაფერი დამთავრდება.

— მერე ღმერთს რაღა ვუთხრა, სეთარ, იქნებ...

— ძნელია სიცოცხლე, სეზამ, დავიძალე, სიკვდილი მომენატრა... ამაში თვითონვე დარწმუნდები მალე, ლამის გავიგუდო, რა მწვავეს ასე, ალი მეღება, ვიწვი, ვიწვი!...

— მაპატიე, სეთარ, იყოს ნება შენი, — ვთქვი და მარცხენა წელზე მოვხვიე. იგი კი სიამოვნებისაგან დაიგრიხა, ნეტარებით გააზმორა და სახეზე ოქროს ქვიშა მომაფრქვია.

— აი ასე, სეზამ... შენა ხარ ჩემი ღმერთი... — სახე დაუმშვიდდა, ისევ ძველებური დაიბრუნა სილამაზე, ოღონდ სითეთრეში სიყვითლე გაერია და ოქროს ქანდაკებად იქცა. სუნთქვა შეწყვიტა, მე კი გამოქვაბულისკენ მიმღრიცა თავი. სეთარი დაიწრიტა ტკივილებისაგან, სამაგიეროდ ახლა მე ვივსებოდი ტანჯვით, ტუჩებს ვიკვნეტდი. უკვე ველარ ვიტანდი ტკივილს და გავიბრძოლე, ასე მეგონა სადაცაა სხეული ნაწილ-ნაწილ დამეშლება-მეთქი, მაგრამ სხეული კანს ვერაფერს აკლებდა.

ცივი იყო სეთარი ყინულისვით, უტყვი და ლამაზი, ოქროს კულულებს ქარი ველარ უშლიდა. ღვთიურ ანგელოსს ვაძარე, მაგრამ ამ დროს ტკივილმა წამომიარა და მათრახივით დამკლაკნა.

— ვინა ხარო მანდ, მომეშველეო! — ვყვიროდი და ვცდილობდი სეთარისათვის მარცხენა წამერთმია. მე ოქროს ქანდაკებას მიჯაჭვული უსუსური, უძლური ვიყავი და ავტირდი.

გამოქვაბულში შემოსულთ თვალებში შევციცინებდი. ოჰ, რა კეთილი ვიყავი მაშინ. მთელ ჩემს სიმდიდრეს, მთელ ამ ოქროს საგანძურს, მთელ გამოქვაბულს ოქროს ქანდაკებებიანად უყოყმანოდ გადავცემდი უფრო გაბედულს, იგი იქნებოდა ჩემი კანონიერი მემკვიდრე. თითქოს ყველას გადავაგიწყდი, მე კი არ მტოვებდნენ ჩემი ტკივილები.

ტკივილები, ტკივილები... ერთმანეთში იხლართებოდნენ, მერე ერთ ტკივილად შეიკვროდნენ, შემძრავდნენ და კანში ველარ ვეტეოდი. გარე-
ლიდა წამიც და ნაწილ-ნაწილ იშლებოდა ის დიდი ტკივილი და ტანში
ასი ტკივილი დამივლიდა, თავბედს მაწყევლინებდა... წამიც და
შად მომეშვებოდნენ, მაგრამ სულის მოთქმასაც ვერ მოვასწრებდი და
ისევ მომდგებოდნენ...

სიკვდილის აგონია გვაფართხალებდა. არავინ იყო ჩვენი გამკითხავი,
არავის ვახსოვდით და ეს ხომ თავისთავად ტკივილია უზარმაზარი.

— სიკვდილო, სადა ხარ, ტკბილო სიკვდილო...! — ვლადებდით.
აღამიანები შემოდრიოდნენ გამოქვაბულში, ძრწოდნენ ჩვენი საცო-
დაობით. აქ ყველა და ყველაფერი ოქროდ უნდა ქცეულიყო, ყვითელი
მასა აცდუნებდა აღამიანის გონებას. იგი მაგნიტივით მიიზიდავდა მანია-
კებს და ანდერძსაც უმაღვე აუგებდა ხოლმე.

ახარხარებდა ბუნებას ყველაზე გონიერი ცხოველების მარცხი.

— ჩემენ, ჩემენ! — გაეძახოდით სასოწარკვეთილი ეგოისტები.
აღამიანური არაფერი შეგვრჩენოდა. ცხოველური ინსტინქტი გვამოძრა-
ვებდა და ხანის იმედიც ცხვირწინ არ გვითამაშებდა?! ჩვენ არც ჩვენს
ბედში მყოფთ ვინდობდით — გვშურდა იმითი, ვინც სიკვდილს მოიპო-
ვებდა და ღრიალით ვიკლებდით გამოქვაბულს.

ჩემი აქ მოსვლის მიზეზი გადამავიწყდა, არც სეთარი მახსოვდა. იგი
ხომ მე მოვკალი და დანაშაულს სულაც არ ვგრძნობდი. თურმე მიპატიე-
ბია ჩემთვის ეს კაცთმოძულეობა და კაცთმოძულე სხვასაც ვაცდუნებდი.

ტანში სიცივე მივლის, შემძრავს და თავის ტვინში დაიცლება მერე
ეს უხილავი სიმძიმე. თავი ჭერს მინდა ვახალო. მაგრამ მიწას ვერ ვწყდე-
ბი, ჭერიც ძალზე მაღალია და ფიქრი მეკარგება. მხოლოდ ის ვიცი, რომ
სიკვდილს ველოდები.

ნუთუ აღარ დამადგება საშველი, ნუთუ არ განქარდება ტკივილების
ქაოსი, რატომ არის, რომ არყოფნაში ვეძიებთ უმომავლო აწმყოს, საიდან
გაჩნდა მიზეზი ამისა და როგორი იქნება შედეგი მისი? იქნებ სიკვდილი
ჩვენს ახლანდელ ყოფაზე ძნელად ასატანია, იქნებ მასში ტკივილების
მეტე ვერაფერი ვიპოვოთ? რატომ არავის აშინებს მომავალი, მომავალი
ხომ არაფერია, მომავალი ყველაფერია და აღრე თუ გვიან მივწვდებით
მაინც მას. გაჩნდება ორგვარი საკუთრება — ჩვენებური, ის რაც ჩვენია
და მათებური, რაც მათ ეკუთვნით ჩვენგან.

ყველაფერი წარმავალია და ჩემს ამ ყოფასაც მოეღო ბოლო.

ჩემკენ მოაბრტებს ერთი როხროხა კაცი. პირი დაუღია, ხელები დაუ-
კაპიწებია, მკერდგაღელილი მძიმედ სუნთქავს. პირველად თვალში მე მო-
ვუვედი, რადგან სხვაზე ტანადი ვიყავი და შესაძლოა ოქროს უზარმაზარ
კლდედ წარმომიდგინა.

— ოქროდ იქცევი შენც და ჩემი საკუთრება გახდები! — ცარი ბე-
ლი ჩემკენ გამოიშვირა, წამეტანა და გადაიხარხარა. ნაზმა სიომ მომისა-
ბუნა, მისი სიბო ტანში გამიჯდა და ოცნების ბურანში გამხვეჭდა. მისი
ბოდ დავიღვარე... თავი აროხროხებული კაცისკენ მივაბრუნე. იგი შეშლი-
ლიყო.

— შენ რას მეყოფი! — ღრიალებდა და ჩემზე უფრო მოსულს ეძებ-
და გაუმაძღარი. ისიც დაისაკუთრა, მაგრამ მაინც ვერ შეივსო აღუვსებე-
ლი საწყაული.

ჩემთვის კი... არ იყო ხილვები, არ იყო აზროვნება, მაგრამ იყო მშვი-
დი. ძალზე უწყინარი მდუმარება...

ჩაუიარ შაჰარაშვილი

„დედა ენის“ სახელწოდების საპითხისათვის

მადლიერი ქართველი ხალხი იუბილეს უხდის იაკობ გოგებაშვილის უკვდავ წიგნს. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება, შევეხოთ „დედა ენის“ სახელწოდების გენეზისის საკითხს.¹

ტერმინი დედაენა გვეუბნება, რომ „ენა დედაა შენი და მუდამ უნდა გახსოვდეს, უნდა უკვდავყო იგი, როგორც შეგიძლია და

რითაც შეგიძლია“. ი. გოგებაშვილმა ქართველ ხალხს აჩუქა წიგნი, რომელშიც ჩადო აუწონელი და უძვირფასესი განძი მოთხრობების, ლექსების, იგავ-არაკების, ზღაპრების, ანდაზების, გამოცანებისა და სხვ. სახით, და მას ერთი მეტად შთაშვებდავი, ყველასათვის ახლობელი და გასაგები კომპოზიტი უწოდა—„დედა ენა“.

1 ი. გოგებაშვილმა 1876 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოს „დედა ენა“ უწოდა. საანალიზო სიტყვას დიდი პედაგოგი ცალ-ცალკე და უდევსოდ ხმარობდა, მაგრამ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი ამ სიტყვას სხვა შემთხვევებში დევსით წერდა: „დედა-ენა“, რაც იმის ნიშანია, რომ ეს ლექსიკური ერთეული გაკომპოზიტებულია. ამჟამად მიღებულია ამ სიტყვის ერთად. უდევსოდ წერა ყველა შემთხვევაში, მათ შორის სახელმძღვანელოს სათაურად გამოყენების დროსაც (იხ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1966, № 1, გვ. 61).

დედა ენას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ასე ხსნის: „ენა, რომელსაც ბავშვობიდანვე ითვისებს ადამიანი მშობელთან და მახლობელთან და ყველაზე უფრო ბუნებრივია მისთვის ლაპარაკსა და აზროვნებაში; ენა, რომელზედაც პირველად ამეტყველდება ბავშვი და რომელიც ურთიერთობის საშუალებაა იმ საზოგადოებისა, რომლის წევრიც თვითონ არის, — მშობლიური ენა, ღვიძლი ენა“. „დედაენას“ მეორენაირი გაგებაც აქვს: „სა-

ხელწოდება მშობლიური ენის პირველდაწყებითი სასწავლო წიგნისა, რომლითაც ბავშვები წერაკითხვას სწავლობენ“. ამ განმარტებათა საილუსტრაციოდ ლექსიკონში მოტანილია მაგალითები ი. ჭავჭავაძიდან და ი. გოგებაშვილიდან. „ქართველი კაცი თავის ენას მშობელ დედად წარმოიდგენს და ღვიძლ „დედაენას“ უწოდებს (ა. ზურაბაშვილი). აკადემიკოსი შ. ძიძიგური სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ „მშობლიური ენის გატოლება დედის ცნებასთან თავისთავად საგულისხმოა; ენისა და დედის იდენტიფიკაცია ქართველი ხალხის მეტაფორული აზროვნების მშვენიერი მაგალითია და უტყუარად აღსატურებს ქართული ენის მნიშვნელობის ღრმა შეცნობას. კიდევ მეტიც: ქართველმა ხალხმა გააფართოვა სიტყვის „ქართული“ მნიშვნელობა და იგი საერთოდ ენის სინონიმად დასახა“.

აქ უადგილო არ იქნება მოვიტანოთ მსოფლიო სახელის ენათმეცნიერის ნ. მარის შემდეგი სიტყვები: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არა თუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ასე მდიდარია ქართული, შეიძლება

ითქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა“. ამაზე უფრო, ამაზე უკეთ თითქმის ~~არაფერს~~ შეუნიშნავს ქართული ენის სიდიადე, მისი პოტენციური შესაძლებლობა. თუმცა აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ყურნ. „რევინუ დე ქართველოლოჟის“ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგის რენე ლაფონის შთამბეჭდავი სიტყვებიც: „ამერიიდან ძალიან საჭიროა, რომ ქართული ენა გახდეს ცნობილი არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში, რადგან იგი ამაჲ იმსახურებს... ჩვენ საჭაროდ ვაცხადებთ, — წერს რ. ლაფონი, — რომ ქართული ლამაზი, ორაგინალური ენაა. ქართულ ენას ძალიან მდიდარი ლიტერატურა აქვს. ეს ენა ოსტატურად გამოიყენება თანამედროვეობის ყველა იდეისა და გრძნობის გამოსახატავად“.

დედაენა, როგორც ერთცნობიანი კომპოზიტი, რომელიც გარკვეულ ობიექტზე მიუთითებს, ძველმა და საშუალო ქართულმა არ იცის მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტები საკმაოდ ხშირად გვხვდება (დედა+ენა). კიდევ მეტი, ძველ ქართულში ბევრი შემთხვევაა ისეთი, როცა დედა კომპოზიტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია; მაგ., დედაბერი (მოხუცი ქალი), დედაზარდლი

(ობობა), დედათ მოყვარე (ქალის მოტრფიალე), დედაკაცი (დიაცი, ცოლი, ქალი), დედალ-მამალი (მდედრი და მამრი), დედა-მამა (დედ-მამა), დედამთილი (ქმრის დედა), დედამძე (ძიძა, გამდე-ლი), დედაქალაქი (მთავარი ქალაქი), დედაციხე (მთავარი ციხე), დედწული (ოჯახი), დედაქუთუზი (სარინოსი), დედის-დედა (ბებია), დედის-დისწული (დეიდაშვილი), დედის-ძმა (ბიძა) და სხვა. ეს სიტყვები იზღენად ხშირია ძველ ქართულში, რომ მაგალითების მოყვანა ზედმეტად მიგვაჩნია; ასევე ხშირია ენის ხმარების შემთხვევები, აგრეთვე კომპოზიციის შემადგენლობაში მისი მოქცევა: ენა-ბრგუნვი (ენაბორძიკა, ბლუ), ენაკუთილი (უენო), ენაუცხო (უცხო ენაზე მოლაპარაკე) და სხვ. მაგრამ, ვიმეორებ, ძველ ქართულში დედაენა არ ჩანს, არ დასტურდება იგი, როგორც აღინიშნა, არც საშუალო საუკუნეების ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებში. ამ სიტყვას არ იცნობს სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“, ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანით“, აგრეთვე იმავე ავტორის „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ და სხვა წყაროები; ლექსიკონებიდან „დედაენა“ პირველად გვხვდება დ. ჩუბინაშვილის ნაშრომში „საუნჯე ქართული ენისა“ (1897, გვ. VI).

ჩვენი დაკვირვებით, პირველად

ქართულ სალიტერატურო ენაში დედაენა როგორც გარკვეული ტერმინი, ჩნდება მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და იგი მწერლობაში, ლიტერატურაში ფოლკლორიდან შესული ჩანს.

ზეპირსიტყვიერებაში საანალიზო სიტყვა ხშირად გვხვდება და მას ნამდვილი ხალხური გაფორმება აქვს. შ. ძიძიგურს, როგორც აღინიშნა და სრულიად სამართლიანადაც, ენისა და დედის იდენტიფიკაცია ქართველი ხალხის მეტაფორული აზროვნების ნშვენიერ მაგალითად მიაჩნია. ქართულ ფოლკლორში მშობლიური ენის დაცვის ტენდენცია ნათლად ჩანს. მისდამი სიყვარული ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს, თუ მას კაცურკაცობის სახელი ჰურს ატაროს. აი, ეს აზრი როგორაა გადატეხილი ზეპირსიტყვიერებაში და თანაც იმ სიტყვიერი ქსოვილით, რომელსაც აქვამად ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს:

„სამშობლო შემრგე არს
მისთვის,

ვინც დედაენა იცისო,
ვინც არა და კაცი არ არს,
სრულ არ მწამს მისი ფიცო“
(იხ. ა. ხინთიბიძე, აღზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, თბ., 1976, გვ. 101).

ქართულ დიალექტებში დედა შედის ერთ-ერთ კომპონენტად შემდეგ კომპოზიტებში: დედაბერა (გურ., იმერ., ოკრიბ., ლეჩხ.) — დიდი მკებნარა ბუზი, საქო-

ნელს ემტერება; დედაბოძი (ქართლ., ქიზიყ., ფშ., მოხ., ხევსურ.) — მთავარი ბოძი, დარბაზის შუა ბოძი; დედათ-ბიზიონაი (ფშ.) — ცუდი, ავყია დედაკაცი; დედამანია (გურ.) — ბებია ქალი; დედაშობილა (იმერ.) — როგორც დედამ შობა, ტიტველი, ტანჩაუც-მელი.

მე-19 საუკუნის ქართულ ეურნალ-გაზეთებში გაბატონებული ადგილი ეკავა სინტაგმას — ს ა მ შ ო ბ ლ ო ე ნ ა ს, რომელიც შემდეგ მშობლიურ ენად შეიცვალა, ხოლო ეს უკანასკნელი — დედაენად.

პირველად ი. ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ქართულ ენაში გვაქვს საკმაო რაოდენობით სიტყვა, რომლებშიც მონაწილეობს სიტყვა დედა: „ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრსა და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — „გუთნის დედას“ (იხ. თხზ., ტ. III, 1953, გვ. 427-428). საყურადღებოა, რომ ი. ჭავჭავაძე თავის პირველ საპოლემიკო წერილში (1861 წ.) „დედა-ენის“ ნაცვლად ხმარობს ტერმინს „დედ-მამის ენა“.

მასასადამე, ენაში ხდება არა მარტო ფონეტიკური და გრამა-

ტიკული ცვლილებები, აქამდე სემანტიკურიც — სიტყვების მნიშვნელობა ან დაეწროფიერდა ან გაფართოვდება. ამგვარ ცვლილებებს ი. ჭავჭავაძე სოციალური მიზეზებით ხსნის. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების მაგალითად ილია ასახელებს შემდეგ ფაქტებს: ქართულმა სიტყვამ „დედა“, გარკვეული სოციალ-ისტორიული მიზეზების წყალობით, სემანტიკა გაიფართოვა (იხ. ზემოთ მოტანილი ილიას ციტატა). ასეთი ფართო მნიშვნელობა მოიპოვა დედამ, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ მშობელს აღნიშნავდა. „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“, — წერდა ილია (იხ. თხზ., ტ. VI, გვ. 107).

ცნობილია, რომ სტენდალმა „პარმის სავანე“ 52 დღეში დაწერა, ლ. ტოლსტოი „პაჭი მურატზე“ რვა წელიწადს მუშაობდა, 199-ჯერ გადაკეთება-გადამუშავების შემდეგაც დამთავრებულად არ თვლიდა; სულხან-საბა ორბელიანმა „სიტყვის კონას“ 30 წელი შესწირა, ხოლო ი. გოგებაშვილმა „დედა ენას“ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მიაწოდო: ასწორებდა, ამატებდა, აკლებდა, ხევწავდა ენობრივ-სტილისტიკურად, სრულყოფილს ხდიდა მეთოდოლოგურ-დიდაქტიკური თვალსაზრისითაც.

ი. გოგებაშვილი სწორად ხმარობს „დედა ენას“ თავის ნაწერებში, მაგრამ იგი სახელმძღვა-

ნელოს სათაურად ერთბაშად არ აუღია. გავიდა წლები, ფიქრისა და განაჩის წლები, სანამ ეს დიდი პედაგოგი ამ შესანიშნავ კომპოზიტს სახელმძღვანელოს სათაურად გახდიდა.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს სათაური „დედა ენა“ მრავალმხრივ საინტერესო ლექსიკური ერთეულია, როგორც მორფოლოგიური აღნაგობით, ისე სემანტიკურადაც და სოციალურადაც. ამ სახელწოდებაში დიდი აზრია მოქცეული. — კერძოდ, იგი ნათლად დადასტოვებს მშობლიური ენის უდიდეს მნიშვნელობაზე ერის ცხოვრებაში. ამ ერთ სიტყვაში იგივე აზრია ჩაქსოვილი, რაც ი. გოგებაშვილმა 1890 წელს გამოთქვა ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა“: „დედა-ენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიჰიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივს ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის დონით და მხნეობით“ (თხზ., ტ. 2, გვ. 208).

იაკობისეული „დედა ენა“ პოეზიაშიც შეიჭრა: „კრულია მისი ხსენება, ვინც დაჰგმობს დედა ენასა“ (აკაკი), „იმღერეთ, როდი მომკვდარა მომცემი „დედა ენი-

სა“ (შ. მღვიმელი), ხოლო ილია ასე ალაპარაკებს იაკობს:

„ჩემი აწ სცანით ყოველმან
მას გაქებ, რაცა მიქია;
დედა-ენა მიჩნს სახელად,
თავი არ გამიქიქია,
იგია ფუძე ქართვლისა,
მაგარი ვითა ჯიქია...
დედა ენითა წრთვნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია“...

დედაენას სასწაული შეუძლია მოახდინოს. „იოვანესა და ეფთუმეს ცხოვრებაში“ მოთხრობილია ასეთი საინტერესო ამბავი: ერთხელ ეფთუმე ავად გახდა. უკანასკნელ წუთებს ითვლიდა, კვდებოდა. მასთან მივიდა დედოფალი და ქართულად ჰკითხა: რა გტკივაო. მან უპასუხა: „ვკვდები, დედოფალო! მაშინ ამ უკანასკნელმა უთხრა: „არარაა არს ვნება შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ვსწილად უბნობდი“ (იხ. ცხოვრება იოვანესი და ეფთუმესი, თბ., 1946, გვ. 28). მართლაც ბერძნულ კულტურაზე აღზრდილმა და ქართულად მეტყველებას გადაჩვეულმა ეფთუმემ დაიწყო დედაენაზე მეტყველება, და მოხდა სასწაული: იგი კარგად გახდა, განიკურნა! ამის მხილველი და აღფრთოვანებული გიორგი მთაწმინდელი, ამ ნაწარმოების ავტორი, მუხლმოყრილი ევედრება ღვთის მშობელს, მადლს წირავს და აღიდებს ღმერთს. მრავლის მოქმედია ეს ეპიზოდი უაღრესად საყურადღებოა ის ფაქტი,

რომ მე-10 საუკუნის ქართველმა მწერალმა გიორგი მერჩულემ „ფრიადი ქუეყანა“, ე. ი. საქართველო დაახასიათა ენის ნიშნით, ხოლო პირველი შესანიშნავი ძეგლი, რომელშიც მდიდარი პოეტური საღებავებით შემკობილია ქართული ენა, დედა ენა, არის „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელიც ეკუთვნის ამავე საუკუნის ცნობილ მოღვაწეს იოანე — ზოსიმეს: მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე განიკითხავს და ამხელს მსოფლიოს, — გვითხულობთ ამ ძეგლში. 10 საუკუნის წინათ დაწერილი ეს სიტყვები დღესაც ეროვნული სიამაყის გრძნობას უღვიძებს ყოველ ქართველს; დიახ, ჩვენ განცვიფრებაში მოვდივართ იმ ერთი სიტყვის („დედა ენა“) სიღრმითა და ჭეშმარიტებით, რომელიც დიდი ხანია გადაიქცა ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების წყაროდ, მარად უჭკნობ ყვავილად, მუდამ ახლად რომ იფურჩქნება, ყვავილად იმ სულიერი ცხოვრებისა, რაც შორს, ისტორიის საზღვრებს იქით იწყება. დედაენაში აისახება მთელი ხალხი და მისი სამშობლო, „მასში ხალხის სულის შემოქმედი ძალით აზრად. სურათად და ბგერად აისახება სამშობლოსა, მისი ჰაერი, ფიზიკური მოვლენები, მისი ჰავა, მისი ველები, მთები და ხეობები, მისი ტყეები და მდინარეები, მისი ქარიშხლები და ჭექა-ქუხილი — მშობლიური ბუნების მთელი ის ღრმა,

აზრითა და გონებით აღსავსე ხმა, რომელიც ასე ძალუმაღლედ მოგვცვლებს იმ სიყვარულს, რასაც ადამიანი განიცდის თავისი, სოგჯერ მკაცრი სამშობლოსადმი, ხმა, რომელიც ასე ნათლად გამოითქმის მშობლიურ სიმღერაში, მშობლიურ ჰანგებში და სახალხო პოეტების ლექსებში“ (კ. დ. უშინსკი, რჩ. პედ. თხზ., თბ., 1974, გვ. 149). სწორედ დედაენაში აისახება ხალხის სულიერი ცხოვრების მთელი ისტორია, თაობები ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ თითოეული თაობის ცხოვრების შედეგები ენაში რჩება და შთამომავლობას გადაეცემა, სიტყვაში იყრის თავს. დედაენა, არა მარტო გამოხატავს ხალხის სიცოცხლის ძალას, არამედ იგი თვით არის ეს სიცოცხლე. როდესაც ქრება ხალხის ენა, თვით ხალხიც აღარ არსებობს. სანამ ცოცხლობს ხალხის ენა ხალხის ბაგეზე, მანამ ცოცხლობს თვით ხალხიც. წაართვით ხალხს ყველაფერი, მას შეუძლია დაიბრუნოს იგი, მაგრამ წაართვით ენა და ის ვერასოდეს ვერ შექმნის მას. მშობლიურ ენას რომ სწავლობს, ამით ბავშვი არა მარტო პირობით ბგერებს ითვისებს, არამედ დედაენის მშობლიურ ძუძუნად იწოვს სულიერ ცხოვრებასა და ძალას. დედაენა უხსნის მას ბუნებას ისე, როგორც ვერც ერთი ბუნებისმეტყველი ვერ აუხსნიდა, იგი აცნობს მის გარშემო მყოფი ადამიანების ხასიათს, აცნობს სა-

ზოგადობას, რომელშიაც ის ცხოვრობს, აცნობს მის ისტორიასა და მისწრაფებებს ისე, როგორც ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ გააცნობდა; მას შეჰყავს იგი ხალხის რწმენათა სამყაროში, ხალხური პოეზიის სამყაროში, ისე როგორც ვერცერთი ესთეტიკოსი ვერ შეიყვანდა; ბოლოს, იგი აძლევს მას ისეთ ლოგიკურ ცნებებს და ფილოსოფიურ შეხედულებებს, რომელთაც ბავშვს ვერ შესძენდა ვერცერთი ფილოსოფოსი, წერდა დიდებული კ. უშინსკი. დედაენის ძალა ისეთია, რომ, ვთქვათ, ოც წელიწადს იცხოვრებს გერმანელი რუსეთში და ენაში იმ ცოდნის შეძენასაც კი ვერ შეძლებს, რაც სამი წლის ბავშვს აქვს, — დასძენს იგივე პედაგოგი. დედაენა არის გასაოცარი, დიდი სახალხო პედაგოგი, „უდიდესი მოძღვარი ერისა“, რომელიც ყოველ ხალხს თავისებური და უაღრესად სპეციფიკური აქვს. დედაენა ხალხის ხასიათის საუკეთესო მაჩვენებელია. ამიტომ არის ფრანგის სიტყვა მსუბუქი, მოტიკტიკე, ცხოველი, მოკისკისე, თავაზიანი, თამამი და პეპელასავით მოფარფატე; გერმანელისა — მძიმე, ბუნდოვანი, ჩაფიქრებული და გაანგარიშებული; ბრიტანელისა — მკაფიო, მოკლე, ყოველგვარი გაურკვევლობის, გვერდის ამკვევი, პირდაპირი საქმისკენ მიმავალი და პრაქტიკული; იტალიელისა — ქლერადი, მოელვარე, ფერებით

დატვირთული და სახოვანი. უსაარულოდ მომდინარე, მინიგანი ამობობოქრებული გვერდისკენით მღელვარე და ზოგჯერ ხშიერი ჩქერით შეზავებული სიტყვა სლავისა. აი, რატომ არის ხალხის ხასიათის შესაცნობად საუკეთესო და ერთადერთი სწორი საშუალება მისი ენის შესწავლა და რამდენად ღრმად შევითვისებთ ხალხის ენას, იმდენად უფრო კარგად შევიცნობთ მის ხასიათს. ეს სიტყვებიც უშინსკისეულია, რომელიც შესანიშნავად იცოდა ი. გოგებაშვილმა. ერთი მაგალითიც: ამ რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში უმაღლესი დიპლომატიური სკოლის მიმღებმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ სახელოვანი საბჭოთა დიპლომატები, ერთ ქართველ ახალგაზრდას უარი უთხრეს სკოლაში ჩარიცხვაზე იმიტომ, რომ მან არ იცოდა დედაენა (ქართული ენა): „ჩვენ მოგვწონს შენი ცოდნა-განათლება, უცხოური ენების ბრწყინვალედ დაუფლება, მაგრამ დედაენის უცოდინარად სამშობლოს ცნება რამდენადმე გაურკვეველი იქნება თქვენთვის, ჩვენ კი სამშობლოს ცნებას მტკიცედ დაუფლებული დიპლომატები გვესაჭიროება“, — უთხრა უდანაშაულო „დამნაშავეს“ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ სერგო ქავთარაძემ (იხ. გაზეთი „სამშობლო“, 1973, აგვისტო № 15).

„დედა ენის“ ავტორს სრული-



აღაც არ აუღია შემთხვევით ეს მრავალწახნაგოვანი სიტყვა თავისი სახელმძღვანელოს სათაურად, რომელიც ნამდვილად გვეხმარება წიგნის შინაარსის გაგებაში, ავტორის პოზიციის გარკვევაში; იაკობმა შეარჩია სათაურად ყველაზე მოკლე, სადა, ბავშვებისათვის ახლობელი, ნათელი, ადვილად მისაწვდომი, ორიგინალური, შინაარსის შესატყვისი სიტყვა. სწორედ ამ სახელმძღვანელოს სათაური და შინაარსი ერთმანეთის შესატყვისია. პირველი გამოდის მეორის განმსაზღვრელად. ცხადია, ყოველივე ზემოთ ნათქვამით ხელმძღვანელობდა ი. გოგებაშვილი, როდესაც თავის სახელმძღვანელოს „დედა ენა“ დაარქვა.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ი. გოგებაშვილმა სახელწოდება „დედა ენა“ უშინსკის „როდნოე სლოვოს“ მიბაძვით იხმარაო.² „ეს მოსაზრება ეგების არ იყოს სა-

ფუძველმოკლებული. შეიძლება/ის მართლაც უშინსკის „როდნოე სლოვოს“ გავლენით იყოს დაარქმეული, მაგრამ ერთი კი უდავოა, რომ სახელწოდება „დედა ენაში“ ი. გოგებაშვილმა მეტი შინაარსი, მეტი მნიშვნელობა ჩადო, ვიდრე ეს „როდნოე სლოვოს“ სახელწოდებაშია მოცემული. (მ. თალაკვაძე, ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბ. 1952, გვ. 100). ამ სახელწოდებაში ერთგვარი მოწოდებაა ქართული ენის უფლებების დასაცავად. ამდენად ამ სათაურს თავისებური სოციალური მნიშვნელობაც კი აქვს.

ერთი ძველი მოაზროვნე ამბობდა: „მოიხსენენით წინამძღვარნი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ჳეშმარიტებათა“. დიახ. ასეთი იყო ჩვენთვის ი. გოგებაშვილი და მისი უკვდავი „დედა ენა“, ამიტომ მათ ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს.

2 ადვილი შესაძლებელია, დედაენა იყოს რუსული „როდნაია რეჩის“ კალკი, მაგრამ „როდნაია რეჩ“ მშობლიური ენა უფროა, ვინემ დედაენა, თუმცა ლექსიკონებში „როდნაია რეჩ“ დედაენადაც ითარგმნება. შეიძლება იმის დაშვებაც, რომ თავის მხრივ „როდნაია რეჩ“ გერმანულის კალკი იყოს; გერმანულ ენაში გვაქვს die Muttersprache. მაშასადამე, შეიძლება დავუშვათ, რომ გერმანუ-

ლიდან რუსულში კალკირების გზით შევიდა „როდნაია რეჩ“, ამ უკანასკნელისაგან ქართულმა გააქეთა დედაენა, რაც, რა თქმა უნდა, უფრო ახლოსაა გერმანულთან (die Muttersprache) ვიდრე რუსულთან (Родная речь). მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ ქართული კომპოზიტი დედაენა ფოლკლორული წარმოშობისაა, როგორც ეს ზემოთ ვთქვენეთ.

პარმენ ლორია 80 წლისაა

ცნობილ ქართველ მწე-
რალს პარმენ ლორიას და-
ბადების ოთხმოცი წელი
შეუსრულდა. ამ თარიღთან
დაკავშირებით საქართველ-
ოს მწერალთა კავშირის აქ-
არის განყოფილების გამგე-
ობამ მისალმებით მიმართა
ღვაწლმოსილ მწერალს.



ჩვენო ძვირფასო და საყვარელო პარმენ, ჩვენო უფროსო მეგობარო
და თანამოქალმევ! საქართველოს მწერალთა კავშირის აქარის განყოფი-
ლების გამგეობა, თქვენი მეგობარი მწერლები სულით და გულით მხურ-
ვალედ მოგესალმებით სახელმოხვეჭილ ქართველ ბელეტრისტს და საყ-
ვარელ მეგობარს დაბადების 80 წლისთავზე.

უკვე ექვსი ათეული წელია დაუღალავად ემსახურებით მშობლიურ
ხალხს და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევით. გამოაქვეყნეთ
ოცზე მეტი რომანი, რამდენიმე საყმაწვილო წიგნი და იუმორისტულ-
სატირული მოთხრობები. თქვენ ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა
პირველმა ასახეთ საქართველოს უღამაზესი კუთხის — აქარის შავბნელი
წარსული და ბედნიერი აწმყო, დამაჯერებლად აჩვენეთ ცხოვრების დიდ
გზაზე გამოსული ახალი ადამიანები. ცხოვრების ღრმა ცოდნით აღბეჭდი-

ლი თქვენი რომანები — „ჩაი“, „მევლუდი“, „განთიადი ხევში“, „ტაღლი-
ბი“, „მადაროებში“, „გზები და ბილიკები“ და სხვ. უკვე დიდი ხანი ქარ-
თველმა მკითხველმა გულით შეიყვარა. თბრობის უპრეტენზიო მანერითა
საინტერესოდ შეკრული სიუჟეტით, უშუალოებითა და გულწრფელობით
თქვენ სამართლიანად დაიმკვიდრეთ ნიჭიერი ქართველი მწერლის სახელი.
თქვენი პიესები „მეგობრობა“, „ნაირა“, „დინარა“ და „განთიადი
ხევში“ წლების მანძილზე წარმატებით იდგმებოდა მშობლიური ქალაქის
თეატრში.

თქვენ აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევით. ოცი წლის მანძი-
ლზე ხელმძღვანელობდით საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის გა-
ნყოფილებას და ხარტ ჩვენი გამგეობის უცვლელი წევრი, ფასდაუდებე-
ლი ამაგი მიგიძღვით ლიტერატურის ახალი კადრების აღზრდის საქმეში,
ხარტ მათდამი მამობრივად მომთხოვნი და გულისხმიერი მრჩეველი. აქ-
ტიურად მონაწილეობთ ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში,
რამდენჯერმე აგირჩიეს ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანო-
ებში, დაჯილდოებული ხარტ შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლე-
ბით და საპატიო სიგელებით.

ძვირფასო პარმენ, თქვენი დაბადების 80 წლისთავს მხურვალედ მო-
გილოცავთ და ერთხელ კიდევ გისურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოც-
ხლეს, მხნეობას, პირად ბედნიერებას და ახალ შემოქმედებით გამარჯვე-
ბას მშობლიური ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

საქართველოს მწერალთა კავშირის
აჭარის განყოფილების გამგეობა

უურნალ „ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგია და თანამშრომლები უე-
რთდებიან ამ მოლოცვას და უსურვებენ პარმენ ლორიას ხანგრძლივ სი-
ცოცხლეს, ჯანმრთელობას და კვლავაც ნაყოფიერ შემოქმედებით მოღ-
ვაწეობას.

ჯემალ ნაკაშიძე,

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს
პარტიული კომიტეტის მდივანი

ც ი ს შ მ რ ი ბ ზ მ ბ ი თ

„წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო - თბილისის ნავთსადენი; თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“. — ამ სიტყვებით მიმართა ვ. ი. ლენინმა პარტიის მეათე ყრილობის დელეგატებს. მაშინ, 1921 წლის მარტში, მსოფლიო და სამოქალაქო ომების უმძიმესი განსაცდელის შემდეგ, მხოლოდ კომუნისტებს შეეძლოთ ეგზომ ოპტიმისტურად, მასშტაბურად მიდგომოდნენ დანგრეულ-გაპართახებული სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარების დიდმნიშვნელოვან პრობლემებს და გაბედულად წაეყვანათ მშრომელთა მილიონები მანამდე ისტორიაში უცნობი, გაუკვალავი გზებით. დღეს საბჭოთა კავშირი მსოფ-

ლიოში ერთ-ერთი უდიდესი საზღვაოსნო ქვეყანაა. მას აქვს თანამედროვე უმაღლესი ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი ფლოტი, რომელიც წარმატებით ართმევს თავს საზღვაო ტრანსპორტის წინაშე დასახულ რთულ ამოცანებს. ამ ამოცანების განხორციელებაში თვალსაჩინო წვლილი შეაქვს საქართველოს სანაოსნოს მრავალრიცხოვან კოლექტივს. ახლა ქართველ მეზღვაურებს ყველა პარალელზე და მერიდიანზე შეხვდებით.

მომავალი წლის იანვარში ჩვენი სანაოსნო თავისი არსებობის ათი წლისთავს იზეიმებს. შედარებით მოკლე დროში სანაოსნომ დიდ წარმატებებს მიაღწია. თუ თავდაპირველად მას ჰქონდა მცირე ტონაჟისა და მოძველებული კონსტრუქციის ცხრა გემი, დღეს აქვს ორმოცდასამი გემი, რომე-

ლთა ტვირთამწეობა ხუთასი ათასს ტონას აღმატება. ამ მაჩვენებლის მიხედვით მას საბჭოთა კავშირის 16 სანაოსნოს შორის მეექვსე ადგილი უჭირავს.

ჩვენი ფლოტის ტვირთამწეობის დღევანდელი მაჩვენებელი ექვსჯერ მეტია 1967 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

ჩვენი სანაოსნო უზრუნველყოფს სახალხო-სამეურნეო დანიშნულების ნავთობის გადაზიდვას შავი ზღვის აუზში, თევზსაჩვენ ფლოტს აწვდის სათბობს ზღვებისა და ოკეანეების სხვადასხვა აკვატორიაში, ნავთობი და სხვა სახის ტვირთი გადააქვს ამერიკის, ევროპის, აფრიკისა და აზიის ქვეყნებში, ამ ქვეყნებიდანაც შემოაქვს საბჭოთა კავშირში, ბოქსიტებს ეზიდება გვინეიდან, დიდი დიამეტრის მილებს — იტალიიდან, მარცვლეულს — ამერიკის შეერთებული შტატებიდან და კანადიდან.

პირნათლად არის განაღდებული მეცხრე ხუთწლეულის დავალებები. საკაბოტაჟო ტვირთზიდვის ხუთწლიანი გეგმა შევასრულეთ გასული წლის 23 ნოემბრისათვის. სანაოსნოს სატრანსპორტო ფლოტმა ხუთ მილიონამდე მანეთის ზეგეგმითი მოგება მისცა სახელმწიფოს. მოხდა მეტად მნიშვნელოვანი ხარისხობრივი ძვრები: 1970-1975 წლებში ტვირთბრუნვა გაიზარდა სამჯერ, თვითღირებულება შემცირდა 40 პროცენტით, მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის

მწარმოებლურობა ტვირთის გადაზიდვაზე, იმატა წმინდი შემოსავალმა.

გერმანული
გეგმვა

სანაოსნოს მეზღვაურთა და მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა კომუნისტები და კომკავშირელებია. სანაოსნოს 64 პირველადი პარტიული ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს 1400-მდე კომუნისტს. გემებსა და სანაპიროზე 2200-მდე კომკავშირელი შრომობს.

ჩვენი მეზღვაურების სამოქმედო ასპარეზი მეტად ფართოა, იგი მოიცავს მსოფლიოს 60 ქვეყნას 120 პორტს. ისინი თვალსაჩინო როლს ასრულებენ სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაში, რაც საზღვარგარეთის ქვეყნებთან მებრუნული კავშირის დამყარებისა და განმტკიცების საწინდარია. ჩვენი მუშაობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საგარეო-პოლიტიკური მხარე სწორედ ამ კუთხით გვესმის.

ამ ბოლო დროს გაიზარდა უცხო სახელმწიფოთა დაკვეთით (ფრახტით) ტვირთის გადაზიდვა, რაც ჩვენს ქვეყანას დიდ მოგებას აძლევს. სანაოსნო ყოველწლიურად 50 მილიონი მანეთის შემოსავალს იძლევა.

რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში გადაწყვეტ როლს ასრულებს ფონდალტურვილობის სისტემატური ზრდა; სანაოსნოს სატრანსპორტო ფლოტში ინერგება სამეცნიერო-ტექნიკური პროგ-

რესის მიღწევები, რამაც განაპი-
რობა გემების ტვირთამწეობისა
და სიჩქარის გადიდება, წარმოე-
ბის სპეციალიზაციის გაღრმავება,
მომსახურებისა და მართვის პრო-
ცესების მექანიზაციისა და ავტო-
მატიზაციის გაძლიერება. ამის სა-
ფუძველზე მნიშვნელოვნად გაუ-
მჯობესდა საწარმოო სიმძლავრე-
თა გამოყენება, გაფართოვდა წა-
რმოების მასშტაბები. ახალი ტე-
ქნიკისა და ტექნოლოგიის დანერ-
გვის შედეგად მიღებულია ერთ
მილიონამდე მანეთის ეკონომია.

სანაოსნოს ძირითად ფონდს
ნავთობსაზადი ფლოტი წარმოად-
გენს. გემების დიდი უმრავლესო-
ბა აღჭურვილია თანამედროვე
მოწყობილობით, რაც უზრუნვე-
ლყოფს ცურვის დიდ ავტონომი-
ურობასა და უსაფრთხოებას.

სანაოსნო 1973 წლიდან ღებუ-
ლობს მშრალი ტვირთის გადასა-
ზიდ გემებს, რომლებსაც პოლო-
ნეთის სახალხო რესპუბლიკაში
აგებენ. ამჟამად ამ ტიპის ხუთი
გემი გვაქვს. მივიღეთ ამ სერიის
მოდერნიზირებული გემები „გიო-
რგი ლეონიძე“ და „გენერალი
ლესელიძე“. თითოეული მათგა-
ნის ტვირთამწეობა 32 ათასი ტო-
ნაა, ამასთან გამოირჩევა ავტომა-
ტიზაციის უმაღლესი კლასით.
საზღვაო სანაოსნოს ფლოტი სის-
ტემატურად ივსება ახალი გემე-
ბით. წლეულს ხუთი ახალი გემი
შეგვემატება. უკვე მივიღეთ თანა-
მედროვე ელექტრორადიოსანავა-
გაციო ტექნიკით აღჭურვილი „სა-

ლოტის“ ტიპის ორი ავტომატიზა-
ბული ხომალდი „სოხუმი“ და
„ქუთაისი“, რომელთა დანერგვა
ცალცალკე 24 ათას ტონას უდრის.
სულ უფრო ჩქარდება სანაოსნოს
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის
განმტკიცების პროცესი. ფოთის
ნავსადგურში შეიქმნა გემთსარე-
მონტო, ხოლო ბათუმში — ტექ-
ნიკური მომსახურების ბაზა, გა-
ფართოვდა და განმტკიცდა ფლო-
ტის მატერიალურ - ტექნიკური
უზრუნველყოფის სამსახური.
მწყობრში ჩადგა ახალი საწარ-
მოო სიმძლავრეები. ამ მხრივ
დიდი ღონისძიებანი განხორციე-
ლდება მე-10 ხუთწლედში — სა-
ქართველოს საზღვაო სანაოსნოს
ფლოტის საერთო ტონაჟი 1976-
1980 წლებში თითქმის ორჯერ გა-
იზრდება, შესაბამისად გადიდდე-
ბა ტვირთმიმოქცევის ოდენობა
და სანაპირო ბაზების სიმძლავრე.

ჩვენი სანაოსნოს საქმიანობის
მასშტაბების სისტემატური ზრდა,
ახალ-ახალი საწარმოო მიღწევები
შეუძენველი არ რჩება. საკმარი-
სია ითქვას, რომ საბჭოთა კავში-
რის საზღვაო ფლოტის სისტემა-
ში ჩვენი სანაოსნო რვაჯერ გამო-
ვიდა გამარჯვებული საკავშირო
სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს
გამარჯვებები მნიშვნელოვნად გა-
ნაპირობა ხელმძღვანელი კადრე-
ბისა და რიგითი მეზღვაურების
პოლიტიკური და ეკონომიური
სწავლების სწორად დაყენებამ,
ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და
ეკონომიური ამოცანების, მისი

საერთაშორისო მდგომარეობის სწორად გაგებაში.

საკუპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები — „მშრომელთა ეკონომიური სწავლების გაუმჯობესების შესახებ“ და „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდის შესახებ“ — ჩვენი სახელმძღვანელო დოკუმენტები გახდა; დღეისათვის ეკონომიურ სწავლებაში ჩაბმულია სანაოსნოს 2.838 მუშაკი. ისინი გაერთიანებული არიან სკოლებსა და სემინარებში. უშუალოდ გემებზე დასაქმებული 1.118 მშრომელი ეუფლება ეკონომიურ ცოდნას, რაც სამეურნეო წარმატებების საიმედო გარანტიაა.

საკმარისია ითქვას, რომ მარტო შარშან ფლოტის შენახვაზე დავხოვეთ სამი მილიონ სამასოცდაოთხი ათასი მანეთი. სათბობი და საწვავ-საცხები მასალების, მიმდინარე რემონტისა და მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების ეკონომიის შედეგად დაზოგილია ერთი მილიონ 149 ათასი მანეთი. შემცირდა საზღვარგარეთის სათბობისა და საცხები მასალების მოხმარება. შჩეკინოელთა მეთოდით ამჟამად მუშაობს სანაოსნოს 24 ეკიპაჟი.

ჩვენი სანაოსნოს დიდძალი მატერიალური და შრომითი რესურსების მაღალეფექტურად გამოყენებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფლოტის მართვის სტრუქტურის გაუმჯო-

ბესებას, სანაოსნოს სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტაში მშრომელთა ფართო მონაწილეობასა და მათი შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას.

ფლოტთან ხელმძღვანელობის უფრო დაახლოების მიზნით 1974 წლიდან ფლოტის მართვას ახორციელებენ „გემების სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საექსპლოატაციო ჯგუფები“. ამჟამად ჩვენს სანაოსნოში ორი ასეთი ჯგუფი მოქმედებს. მათში დასაქმებული სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები კონკრეტულად, ოპერატიულად წყვეტენ ფლოტის ეკონომიურად მართვის ამა თუ იმ ამოცანას. ამ ჯგუფებს თავიანთი შიგსსამეურნეო ანგარიში, ოპერატიული საწარმოო გეგმები და სხვა დამტკიცებული, დამახასიათებელი მაჩვენებლები აქვთ. ისინი ჩვენს სანაოსნოში ერთგვარ მინიატურულ სანაოსნოებს მოგვაგონებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ ცალკეულ ჯგუფებში შემავალი გემების მეზღვაურებსა და მეთაურებს პრემია ეძლევათ საკუთრივ თავისი გემის შესრულების მიხედვით და სრულიადაც არ არიან დამოკიდებული იმაზე, მთლიანად სანაოსნომ შეასრულა თუ არა სახელმწიფო გეგმა. მსგავსი სტრუქტურული რგოლების შექმნა სანაოსნოში ნაკარნახევია საშუალო რგოლის მუშაკთა თაოს-

ნობის და აქტიურობის ამოღების ინტერესებით.

ნაყოფიერად მუშაობენ საზღვაო სანაოსნოს გემებზე შექმნილი ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში არიან გამოცდილი სპეციალისტები და მოწინავე მეზღვაურები. ამ საბჭოების ინიციატივით საფუძველი ეყრება მრავალ ახალ წამოწყებას. მარტო შარშან რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვამ სანაოსნოს მისცა 400 ათას მანეთამდე ეკონომია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომიჯნავე პროფესიების ათვისებას. ამ გზით გვეძლევა საშუალება დავუახლოვოთ ერთმანეთს საგემბანო და სამანქანე შრომა, გემთწამყვანთა და მემატორეთა შრომა. თბომაველ „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ ეკიპაჟმა (კაპიტანი რ. ბერიძე) ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. აქ ჩაეყარა საფუძველი გემის მთლიანი ტექნიკური მომსახურების სისტემას. ამ გემის ეკიპაჟი საჭიროების მიხედვით ასრულებს როგორც საგემბანო, ისე სამანქანე-საქვაზე განყოფილების სამუშაოებს. ამის შედეგად გაიზარდა მეზღვაურთა შრომის მწარმოებლურობა, ტექნიკური ექსპლუატაციის საიმედოობა. ახლა ამ მეთოდით 27 გემის ეკიპაჟი შრომობს და თვალსაჩინო ეკონომიურ ეფექტს აღწევს.

მშრომელთა კოლექტივების

თაოსნობისათვის ფართო მხარდაჭერამ, კადრების ეკონომიური სწავლების ეფექტურობის გაზრდას უზრუნველყო. იჩინა თავი მნიშვნელოვანი მიმდინარე წლის პირველი ნახევრის სამეურნეო მაჩვენებლებში. დატვირთვა - გადმოტვირთვის ნახევარი წლის გეგმა განაღდებულა 106,2 პროცენტით.

გემების ეკიპაჟები და ნავსადგურთა კოლექტივები სულ უფრო ფართოდ, სულ უფრო გონივრულად ნერგავენ პროგრესულ მეთოდებს. ასე, მაგალითად, ტანკერ „ფორე მოსულიშვილის“ ეკიპაჟი იღვწის შჩეკინოელთა მეთოდით. მარტო ამ მეთოდის გამოყენებით იგი ყოველწლიურად რამდენიმე ათასი მანეთის ეკონომიას აღწევს. ამ გემზე ნაყოფიერად მუშაობენ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ჯგუფი და ეკონომიური ანალიზის ბიურო.

იტალიის ეროვნული გმირის, ქართველი ვაჟა-ფშაველას სახელის მატარებელი გემის მიღწევები განსაკუთრებული ყურადღებით არის გარემოსილი. სხვაგვარად არც შეიძლება, „ფორე მოსულიშვილს“ მარტო ნავთობი კი არ დააქვს ნავსადგურიდან ნავსადგურში, არამედ იგი სიზბოლურად აგრძელებს ხალხთა მშვიდობისათვის დაღუპული ვაჟა-ფშაველას საგმირო საქმეებსა და ტრადიციებს. წლეულს სექტემბერში, როდესაც იტალიაში საქართველოს დელეგაცია გაემგზავრება, ტანკერის ეკიპაჟის შრომითი მიღწევები გმი-

რის საფლავის შემამკობელი გვირგვინი იქნება.

სანაოსნოს პარტიული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყველა ღონეს ხმარობენ, ყველა საშუალებას იყენებენ, რომ კადრები აღზარდონ მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური გრძნობით, რათა სანაოსნოს მეზღვაურები უცხოეთში ღირსეულად ატარებდნენ საბჭოთა ადამიანის, სოციალიზმის პირველი სამშობლოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მაღალ სახელს.

გემების ეკიპაჟები უცხოელ მეზღვაურებთან, ნავსადგურისა და სხვა საწარმოო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებთან, პროგრესულ ახალგაზრდობასთან შეხვედრისას იყენებენ ინტერნაციონალური მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა მეგობრობისა და დასვენების საღამოები, საუბრები, ერთობლივი თვითმოქმედების საღამოები, საბჭოთა კინოფილმების ჩვენება, სპორტული შეხვედრები და სხვა.

თბომაველ „ბუგულმას“ ეკიპაჟის ინიციატივით საბერძნეთის ნავსადგურ ვოლოსში მოეწყო დატვირთვის დამატებითი წერტი, რომელსაც ეკიპაჟის წევრები ემსახურებოდნენ. სანამ მუშაობას შეუდგებოდნენ, ადმინისტრაციამ ნავსადგურის მუშებს აცნობა, რომ საბჭოთა ეკიპაჟმა სურვილი

გამოთქვა, დახმარებოდა მათ დაეჩქარებინათ გემის დატვირთვა. მუშები ჯერ წინააღმდეგობას ვენენ, მაგრამ როცა გაიგეს, რომ დახმარება უანგარო იყო, თანხმობა განაცხადეს.

ჩვენმა მეზღვაურებმა მაღალი ორგანიზებულობა და კვალიფიკაცია გამოავლინეს. შრომამ თავიდანვე შეჯიბრების ხასიათი მიიღო. ყველა ცდილობდა უკეთ ემუშავა და არ ჩამორჩენოდა სხვას. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ბერძენ მეშლანგეთა ბრიგადა და მძღოლები, პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის მიუხედავად, გემზე ავიდნენ და გაეცნენ საბჭოთა მეზღვაურების ყოფა-ცხოვრებას, შრომისა და დასვენების პირობებს. საბჭოთა ეკიპაჟმა ისინი გულთბილად მიიღო. სტუმრებმა დაათვალიერეს გემი და ბევრი რამ საინტერესო მოისმინეს კომუნიზმის მშენებელ ადამიანებზე.

საინტერესო საქმიანობას ეწევიან ჩვენი მეზღვაურები სოციალისტური ქვეყნების ნავსადგურებში. თბომაველ „ახალციხის“ ეკიპაჟმა კუბაში ყოფნისას სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი და ბევრ რამეში დაეხმარა მას. შარშან 21 ნოემბერს „ახალციხეს“ ეწვივნენ პავანის რადიოსა და ცენტრალური ტელევიზიის კორესპონდენტები. გემის ადმინისტრაციამ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშა-

კებთან ერთად მოაწყო პრესკონფერენცია, რომლის მასალები გამოქვეყნდა კუბის პრესაში და ტელევიზიითაც გადასცეს.

ჩვენი მეზღვაურები დახმარების ხელს უწვდიან საფრთხეში ჩავარდნილი გემების ეკიპაჟებს. 1975 წლის 25 მარტს თბომავალ „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ ვახტზე მდგომმა მატროსმა ს. სალუქვაძემ შენიშნა გადაყირავებული ტრამარანი, რომელზეც აღაშენები იმყოფებოდნენ. გემი მათ საშველად გაემართა. სტიქიასთან საათნახევარი ბრძოლის შემდეგ იხსნეს ცხრა კაცის სიცოცხლე, აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. ისინი ფრანგი ტურისტები აღმოჩნდნენ.

აი რას წერდა ამის თაობაზე ერთ-ერთი ფრანგული გაზეთი: „საბჭოთა ტანკერმა, რომელსაც ფრანგებისათვის 22 ათასი ტონა ნავთობპროდუქტი მოჰქონდა, და რომელიც ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს ატარებს, ძლიერ შტორმში, დიდი რისკის ფასად გარდუვალი დაღუპვისაგან იხსნა ცხრა ახალგაზრდა ფრანგი, რომლებიც 18 საათს იმყოფებოდნენ ზღვაში და ხსნის ყოველგვარი იმედი გადაწურული ჰქონდათ“.

ჩვენს გემებს, მეზღვაურებს ყველგან გულწრფელად და მეგობრულად ხვდებიან. ამას ისინი იმსახურებენ თავიანთი მაღალი პოლიტიკური, კულტურული და მორალური თვისებებით.

მეზღვაურთა აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ღირსეულობით ხელს უწყობს მათი ეკიპაჟთა მჭიდრო კავშირი საშეფო ორგანიზაციებთან, საწარმო-დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებთან, სასწავლებლებთან.

მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან ტახკერ „ალექსეევკისა“ და ბელგოროდის ოლქის ქ. ალექსეევკის მშრომელებს. მარძან ალექსეევკელ მშრომელთა დელეგაცია ეწვია გემის ეკიპაჟს. საპასუხო ვიზიტით ალექსეევკას ეწვივნენ მეზღვაურები კაპიტან რ. ტულუშის მეთაურობით. ასეთივე საშეფო კავშირი აქვს „ანაკლიის“ ეკიპაჟს ზუგდიდის რაიონის ანაკლიის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებთან, ხოლო ტანკერ „კაპიტან შაქარაიას“ ეკიპაჟს — ხელვაჩაურის რაიონის ტელმანის სახელობის ჩაისუბნის კოლმეურნეობასთან.

საშეფო მუშაობა ასევე კარგად არის მოწყობილი ტანკერებზე „ზუგდიდი“, „საბჭოთა საქართველოს 50 წელი“, „გენერალი ბავრატიონი“, „აქტაში“ და სხვა.

მე-10 ხუთწლედის პარტიის 25-ე ყრილობამ განსაზღვრა როგორც ხარისხისა და ეფექტურობის ხუთწლედის ამ მიმართულებით სანაოსნოს კოლექტივი სერიოზულ ღონისძიებებს ატარებს, მაგრამ გასაკეთებელი ძალიან ბევრი გვაქვს. ჯერ კიდევ მთლიანად არ

არის აღმოფხვრილი ნაკლოვანებები კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში. დიდია მუშაკთა დენადობა. ხარვეზები იგრძნობა სანაოსნოს საექსპლატაციო სამსახურში. აქ მუშაობა ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული, დახვეწილი, ხშირ შემთხვევაში მოკლებულია მეცნიერულ საფუძვლებს, სწორ ეკონომიურ განაგარიშებებსა და დასაბუთებებს. გვაქვს გამოუყენებელი რეზერვები, რომლებსაც პირველ რიგში მიეკუთვნება საბჭოთა და საზღვარგარეთის ნავსადგურებში გემების მოცდენის შემცირება, ფლოტის გადაზიდვისუნარიანობის გადიდება, ნავთობგასაღებისა და ნავთობბაზების ტერიტორიულ სამმართველოებთან, ნავსადგურებთან, კლიენტურასთან, საგარეო სავაჭრო გაერთიანებებთან და სხვა ორგანიზაციებთან კონტაქტების გაფართოება, ფლოტის ტექნიკური მომსახურების მოწინავე მეთოდების დანერგვა, რემონტის ვადების შემცირება და რემონტთაშორისო პერიოდის გადიდება, რემონტის ხარისხის გაუმჯობესება, ფლოტის უავარიო მუშაობის უზრუნველყოფა და სხვა. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო საფრაქტო ბაზარზე კონიუნქტურის მოხერხებულ გამოყენებას, ფლოტის განლაგების სწორ პროგნოზირებას, ფლოტის მართვის საკითხებისადმი კონკრეტულ მეცნიერულ მიდგომას.

ჩვენი სანაოსნოს მთელი საქმიანობის შემდგომ აღმავლობას და დად შეუწყობ ხელი იმ დიდი ნიშნობებმა, რომლებსაც წარმოადგენს ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ეგზომ თანმიმდევრულად ახორციელებს უკანასკნელი წლების მანძილზე ნეგატიურ მოვლენების ძირფესვიანად აღმოფხვრისა და რესპუბლიკაში მორალური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

სანაოსნოს მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ აკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებას საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ. ეს დადგენილება ძალაში შეფასებას აძლევს ამ უკანასკნელი ოთხი წლის მრავალმხრივი მოღვაწეობის შედეგებს და სახავს შემდგომი განვითარების პროგრამას; პარტიულ კომიტეტებს ავალებს შეუნელებლად იზრუნონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, მიაღწიონ მათი რიგების სიმტკიცესა და სიწმინდეს.

ახლა მთავარია განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებები, საბოლოოდ აღმოფხვრაო ჩვენს ცხოვრებაში ჯერაც არსებული ნეგატიური მოვლენები. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა შეაფასა, როგორც დიდი პოლი-



ტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი, მოპოვებული წარმატებებს მალე შეფასებასთან ერთად მოცემულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ნაკლოვანებათა ღრმა ანალიზი. ეს ნაკლოვანებები ეხება ჩვენს სანაოსნოსაც. რაც დღემდე გაკეთდა, ეს მხოლოდ დასაწყისია.

პარტიული ორგანიზაციე ბი ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მეზღვაურთა აღზრდა ინტერნაციონალიზმის ტრადიციებზე, რომელიც ემყარება ადამიანთა ურთიერთ პატივისცემასა და სიყვარულს. ეს ტრადიციები კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და შეივსოს თვისობრივად ახალი შინაარსით, რაც დადებითად იმოქმედებს გემების ეკიპაჟების, ნავ-

სადგურების კოლექტივების, მერალურ-პოლიტიკურ კლერკულუსის პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ამჟამად.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მრავალრიცხოვან კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებას, საქართველოს მშრომელთა მიმართ უანგარო ზრუნვის ამ შესანიშნავ გამოვლინებას, უპასუხოს ახალი საწარმოო გაპარჯებებით, შემდგომ გაზარდოს ეკონომიური მაჩვენებლები, ვაღამდე და გადაჭარბებით შეასრულოს მე-10 ხუთწლედის სახელმწიფო დავალებები.

როდესაც ჩაჩანიძე

წიგნო, შენ იყავ საგზადი...

მოხდა ისე, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ზღვაზე არაფერი იწერებოდა. ეს მაშინ, როცა ჩვენ ოდესღაც საკმაოდ ძლიერი საზღვაო სახელმწიფო გვქონდა და ფლოტიც გვაჩიან გვყავდა. აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ არ შეიძლება საზღვაო თემაზე შექმნილი ნაწარმოები ვუწოდოთ ხმელეთიდან აღწერილ ზღვას, ანდა რამდენიმე მოთხრობას, რომლის არც პლაცს არ გასცდენია (აქ შეიძლება კომპრომისი მხოლოდ და მხოლოდ პოეზიის მიმართ ვაკეთდეს).

საზღვაო პროზა ეს უპირველეს ყოვლისა მეზღვაურთა რაინდულ, საინტერესო და ფათერაკიან ცხოვრებაში შენათებაა, მათი ტყივლებისა და სიხარულის მართებულის გახსნა, სულის სამყაროში ჩახედვა. იმ მოთხრობებს კი, რომლებიც ამ პოზიციებს იქით დგანან, შეგვიძლია მხოლოდ წყაროს წყალზე დადგმული წისქვილები ვუწოდოთ.

ზღვა ადამიანში ძალიან რთულ ხასიათს ქმნის. თუ ვინმეს ჰგონია, ზღვაოსნობა მხოლოდ ისაა ბაზა, რომელშიც ტრაპზე ახვიდე და ოდესაში არხეინად ჩამობრძანდე, ძალზე შემცდარია. ზღვაოსნობა უპირველეს ყოვლისა დიდი ფსიქიური ტრაგედიით არის დატვირთული. მეჩვე ამას თუ დავუმატებთ, რომ ოკეანე ის ძუ ვეფხია, კვირაში ერთხელ გულბოლშიანად რომ ამწყვეტს ხოლმე, ყველაფერი გასაგებია. სწორედ ეს ორი კომპონენტი — დიდი ფსიქიური დატვირთვა და ოკეანის დაუოკებელი სტიქია ქმნის მეზღვაურის სულს. ამ სულს გასაღები რომ მოარგო, ბოქლომის გამოჭედვაში თავათაც უნდა გედოს წილი.

ამასწინათ თითქმის ოთხი თვე გავჭიმე ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე იუგოსლავიის პატარა სოფელ ბიელაში. წინასწარ ვიცოდი აქეთ დიდი ხნით რომ მოვდიოდი და საგზლად რამდენიმე ქართული წიგნიც გამოვიყოლე.

მათ შორის ვოლტერ ჭანტურას „პოსეიდონიკ“ აღმოჩნდა.

ვოლტერ ჭანტურია პროფესიონალი მეზღვაური და არა პროფესიონალი მწერალი. თუ როგორ ესმის მას ზღვა, ამას თქვენ შეიტყობთ წიგნის პირველი სტრიქონებიდანვე.

„ცის გუმბათის აღმოსავლეთით ტროპიკული ზეცისათვის დამახასიათებელი დიღრონი ვარსკვლავები ციმციმებდნენ, მზის დასაბუდიდან კი ყომრალი ღრუბლები მოცურავდნენ. ზღვაში თუ ოკეანეში გასული გემი მუდამეჟს ხიფათის მოლოდინში უნდა იყოს... ზღვის კაცების შრომა-საქმიანობაში დაკანონებული ეს ქარავმა სწორედ ახლა მოაგონდა ბოცმან ახვლედიანს“.

და მართლაც ასეა, რაც არ უნდა სათნო ჩანდეს ზღვა, ნამდვილი მეზღვაური მაინც ეჭვით უყურებს ამ მოჩვენებით სიჩუმეს. მან კარგად იცის, როგორც ცელქ ქალს არ შეიძლება ენდო, ასევე ზღვამაც იცის ღალატი.

მე ეს პატარა დეტალი იმიტომ მოვიტანე წიგნიდან, რომ ვოლტერ ჭანტურის ყველაზე დიდი ღირსება ესაა — ავტორი გვაჩვენებს იმაში, რასაც გვყვება. საშინელებაა, როცა მკითხველი მწერალს სიცრუეში გამოიჭერს, კარგავს მისდამი რწმენას, ბარიერი მკითხველსა და მწერალს შორის იშლება, მკითხველის თვალში მწერალი არარაობა ხდება.

ეს წიგნი ასეთი შეგრძნებისაგან

დაზღვეულია. რაზედაც არ უნდა გიყვებოდეს ავტორი, უცხოურ კაბარეზე თუ გიბრალტარულ ტრალურ ქუჩაზე, რომელსაც მაინსტრიტი ჰქვია, უბრალო მეზღვაურზე, თუ ჩხირკედელა ელექტრომექანიკოსზე, თავდაჯერებულ კაპიტანზე, ყველგან გჯერათ მისი, ენდობით და იზიარებთ გმირების ჭირვარას.

შემდეგ მინდა მეზღვაურული ხასიათის გამოკვეთაზე ვილაპარაკო. ზღვაში ადამიანი ეჭვიანი ხდება. ეჭვიანი გარეშეების მიმართ, მოვლენებისადმი, თავის თავისადმი. ეს იმის შედეგია, რომ შინაურული ინფორმაცია რადიოგრაფიის სახით აღწევს მეზღვაურებამდე. რადიოგრაფიაში კი ჩვეულებრივად ოთხი-ხუთი სიტყვა თუ სწერია.

ვ. ჭანტურია კარგად ხედავს მეზღვაურის სულს, ხასიათს, აქვს უნარი ღრმად ჩასწვდეს მის სამყაროს და გახსნას იგი. თუმცა აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ ზოგჯერ ავტორს საღებავეები არ ყოფნის მაღალმხატვრულად გადმოსცეს მეზღვაურული ტკივილები და სქემატურ ფორმას სჯერდება.

მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მოთხრობა „ადრიატიკის სერენადა“. იგი რომანტიკული, ამღერებული მოთხრობაა. პალესტოვსკის უყვარდა ასე თბილად წერა. როცა მას მკითხულობდი, განსაკუთრებულ სიხარულს განვიცდიდი. როგორ ვინანე ის, რომ

ზოგჯერ ავტორი ამ მოთხრობაშიც მარგალიტების გვერდით ქვიშასაც გვთავაზობს. მაგრამ ეს ქვიშა ისე მცირეა, კარგად თუ არ დააკვირდი, ვერც კი შეამჩნევ.

ვ. ჭანტურიას მოთხრობები გიქმნიან იმის შთაბეჭდილებას, რომ მეორედ, მესამედ თუ მეოთხედ გადახედვის შემთხვევაში კარგად გაიცრება და მაშინ უფრო მეტი სიამოვნებასაც მიიღებთ.

წიგნში დაბეჭდილია ვრცელი მოთხრობა „სიყვარულის ძალა“. მოთხრობის ცენტრში ერთი მხრით დგას ძველი, თავისთავში დაჯერებული კაპიტანი, რომელსაც განუსაზღვრელმა ძალაუფლებამ და სუსტმა კონტროლმა შეუქმნეს კონსერვატული რწმენა. მეორე მხრით დგას ჩხირკედელა ელექტრომექანიკოსი, რომელიც ყველგან და ყველაფერში სიახლეს ეძებს.

ელექტრომექანიკოსმა აღმოაჩინა შეცდომა საჭის მართვის პულტში, სურს შეცდომა გასწორდეს, რათა კატასტროფა აიცილონ. კაპიტანი მტკიცედაა დარწმუნებული ფირმის ავტორიტეტში და ყურად არ იღებს ელექტრომექანიკოსის რჩევას. პირიქით, მას ბრძანებით აქვეითებს კიდევ. შემდეგ ძველი კაპიტანი რწმუნდება შეცდომაში და საკუთარი თავის მიმართ თვითონვე გამოაქვს უმკაცრესი განაჩენი, რაც მეზღ-

ვაურისათვის ელექტრონის ბომბი ჩამოკიდებას ნიშნავს — უფრთხლოდ დებას წერს და პენსიაზე გადის.

სწორედ აქ, ამ მოთხრობაში მშვენიერად არის გახსნილი გაუკაცურის სული — ზღვის მკაცრა კანონი ყველასათვის ერთია: კაპიტანი! შენ ცუდადღი. საქმეჲან შენმაჲ მოგიტანა სახელი და დიდება. შეცდი, არა? შენვე გადასწყვიტე...

და მან გადასწყვიტა... უკან დაახია ამპარტავნობამ და პატივმოყვარეობამ. წინ წამოვიდა ის გრძნობა, რომელიც მეზღვაურის სულს განაგებს.

ასეთი სიახლოვნო, ლამაზი მოთხრობები წიგნში ბევრია. იკითხება წრფელი განცდითა და დიდი სიამოვნებით. იმ ოთხი თვის განმავლობაში, რომელიც ჩემთვის იუგოსლავიაში სარეცხის ბაწარივით გაიწელა, ეს წიგნიც მომეხმარა.

ვ. ჭანტურიასათვის, რასაკვირველია, ეს ბოლო წიგნი არ იქნება, უნდა მივესალმოთ მის გამოჩენას ლიტერატურულ სფეროში და ისიც უნდა ვურჩიოთ, რომ უფრო მეტი გულმოდგინებით იმუშაოს თვითეულ მოთხრობაზე. ის ადგილები, რომლებსაც აჩქარების ბეჭედი ატყვია, კიდევ რომ გადაეთეთრებია ავტორს, წიგნი უეჭველად უფრო მოიგებდა.

გამოცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ უეჭველად კარგი საქმე გააკეთა ამ წიგნის გამოცემით.

6 55/55 9



ფან 40 აპ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 76118